**Human Right watch** საქართველოს შეკრებების თავისუფლების შეზღუდვაზე მიუთითებს A2

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 2004 წელი. №46 (595)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

**ვლადიმირ ლუკინი: "ნუ ინერვიულებთ!"**

"საქართველოსთან დაკავშირებით მოსკოვმა უკვე განსაზღვრა გრძელვადიანი, ნათელი სტრატეგია. მომავალი პრემიერი აუცილებლად იქნება დემოკრატიული რეფორმების გამგრძელებელი. რაიმე კორექტივები ნაკლებად მოსალოდნელია და ნურც თქვენ ინერვიულებთ," - ამბობს ლუკინი.

A2

### ეკონომიკა

**რა ბედი ელის 73-მილიონიან სამთავრობო ქონებას?**

სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური ნელ-ნელა "იძირება". ამ გადაწყვეტილების ავტორი თავად სააკაშვილია. ამჟამად შექმნილია სალიკვიდაციო კომისია, რომელიც საკუთარი მუშაობის ანგარიშს პრეზიდენტს უახლოესი ერთი თვის ვადაში ჩააბარებს.

A4

### უცხოეთი

**ვლადიმირ პუტინმა მთავრობა დაითხოვა**

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტის გადაყენების თაობაზე ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

A5

### საზოგადოება

**მანანა შევარდნაძე: "მოვითხოვ, რომ პრეზიდენტი ჩვენი ოჯახის მიმართ იყოს კორექტული და ეთიკური!"**

"შევარდნაძე არის დიდი პოლიტიკოსი. რაც უნდა მოხდეს, რა პიარიც არ უნდა აუგორონ, ის ისტორიაში დიდ პოლიტიკოსად დარჩება. მამაჩემი ახლაც მოერიდება პოლიტიკურ შეფასებას, მაგრამ მომავალში რა იქნება, არ ვიცი," - ამბობს მანანა შევარდნაძე.

A6

### სამართალი

**საქართველოს საზღვარს ახალი თავმჯდომარე დაიცავს**

რამდენიმე დღის განმავლობაში თავმჯდომარის გარეშე დარჩენილ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში აყვანილი ახალი თავმჯდომარე – ბადრი ბიწაძე წარადგინეს.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | |
| ქუთაისი | 15 | |
| ბათუმი | 15 | |
| სოხუმი | 10 | |
| ფოთი | 13 | |
| თელავი | 13 | |
| ზუგდიდი | 13 | |
| გორი | 11 | |
| ახმეტა | 13 | |
| ჭიათურა | 12 | |
| ბაგრა | 8 | |
| სამტრედია | 15 | |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0450 |
| ევრო | 2.5705 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8209 |
| რუბლი | 0.0718 |

# პარლამენტი ბოლო ამოსუნთქვის წინ

გიორგი ასანიშვილი

*მკვდარი ადგა, აღარ დადგა, - გასასვენებლად გამზადებულმა, მაგრამ ვარდების რევოლუციის წყალობით რეიკარნირებულმა პარლამენტმა ბოლო ხანს უჩვეულო აქტიურობა გამოიჩინა და რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო: მოიწონა საკონსტიტუციო ცვლილებები, დაამტკიცა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა, მხარი დაუჭირა ანტიკორუფციულ ღონისძიებათა კანონპროექტების პაკეტს, შეიმუშავა თავისი "შიდა კონსტიტუცია" (რეგლამენტი), რომელიც 28 მარტს არჩეული საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ცნობისთანავე ამოქმედდება... თუმცა, ყველაფერს აქვს თავისი დასასრული - 1999 წლის მოწვევის პარლამენტი დღეს, ალბათ, უკანასკნელად შეიკრიბება.*

გაგრძელება A3 გვერდზე



პარლამენტმა კარის გაჯახუნების წინ ერთი კინკლაობაც მოაწყო.

# სავაჭრო-სამრეწველო პალატას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

## ეროსი კიწმარიშვილი ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის გამჭვირვალე ურთიერთობის მომხრეა

თამარ ხორბალაძე

*გუშინ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელად "რუსთავი 2" - ის დამფუძნებელი ეროსი კიწმარიშვილი აირჩიეს. არჩევნებს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთო კრების 97 წევრიდან 80 ესწრებოდა და გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.*

ახალი ხელმძღვანელის ვინაობა უდავოდ სერიოზულ გავლენას და ფუნქციას მიანიჭებს სავაჭრო პალატას, რომლის სამომავლო ბედი ძველი თავმჯდომარის - ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მძახლის გურამ ახვლედიანის გადადგომის შემდეგ საკმაოდ ბუნდოვანი გახლდათ.

გაგრძელება A4 გვერდზე



ეროსი კიწმარიშვილი აპირებს, სერიოზული გავლენა და ფუნქცია მიანიჭოს სავაჭრო პალატას.

# ძაფი, რომელიც პრეზიდენტს საზოგადოებასთან დააკავშირებს

მაია ჭალაგანიძე

*ირაკლი ჩუბინიშვილისადმი დაქვემდებარებულ ახალ სამსახურში, ჯერ-ჯერობით, სულ ხუთი კაცია დანიშნული. მათ არც საშტატო განრიგი, არც ხელფასი და არც ბიუჯეტი არ გააჩნიათ. უამრავი საკანცელარიო-სამეურნეო პრობლემების გამო პრეზიდენტის ადმინისტრაციად წოდებულ ახალ სტრუქტურას პოლიტიკური ძალა და უფლება ჯერ არ გამოუჩენია. ეს უნდა იყოს პრეზიდენტის თვალი, ყური და ყველაზე სანდო საინფორმაციო წყარო. ეს იქნება არასაკანონმდებლო, არააღმასრულებელი, მაგრამ პრეზიდენტთან ყველაზე უფრო დაახლოებული სამსახური, რომელიც მას ახალ რეზიდენციაში გადაჰყვება. დებულებას თუ გადავხედავთ, ეს მთავრობის ალტერნატიული სამსახურია და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, მის პარალელურად სულაც არ მუშაობს.*

გაგრძელება B1 გვერდზე



ირაკლი ჩუბინიშვილი

# ამერიკელთა განწყობა უნდა შევინარჩუნოთ

24 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდა. ამის შემდეგ კი მან ჟურნალისტებისათვის კომენტარი გააკეთა.

მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოსთან დაკავშირებით სენატს ძალზე დადებითი განწყობა აქვს და მან ეს განწყობა ეიფორიულ მდგომარეობასაც კი შეადარა.

**"ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში მომხდარმა რევოლუციამ ეიფორია გამოიწვიაო,** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, - **თუ ამ ფაქტმა სადმე ეიფორია მართლაც გამოიწვია, ეს ამერიკის კონგრესში მოხდა. ქართველ ხალხს ამერიკის საზოგადოებრიობაც გმირად აღიქვამს. საქართველოს ხელისუფლებას, მათი მხრიდან, დიდი მხარდაჭერა აქვს და ამას გამოყენება უნდა. ასეთი რამ არასოდეს ყოფილა შევარდნაძის დროს, მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ის დიდი ფიგურა იყო. ამერიკა არც ჩვენ გვაპატიებს შეცდომებს, რადგან მისთვის უმთავრესია დემოკრატიული პრინციპებისა და თავისუფლების შენარჩუნება, საქართველოს მოქალაქეებისათვის პროგრესის განცდის რეალობად ქცევა."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# "მე ვხედავ ძალზე ნათელ ურთიერთობებს აშშ-სა და საქართველოს შორის"

## ინტერვიუ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო განყოფილების მრჩეველთან საქართველოს თავდაცვის საკითხებში ოთარ შალიკაშვილთან

**- საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რა აუცილებელი ნაბიჯებია გადასადგმელი ნატო-ში გაწევრიანების პროცესის დასაჩქარებლად?**

- შეერთებულ შტატებს ესმის და მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის სურვილს ნატო-ში გაწევრიანების შესახებ. ამასთან სრულიად ნათელია ყველასათვის ისიც, რომ საქართველო, ჯერჯერობით, შორს იმყოფება იმ მოთხოვნებიდან, რაც დააკმაყოფილებს ამერიკის მხარეს. ახლახან საქართველოს პარლამენტმა ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ნატო-ში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად დანიშნა.

მე დარწმუნებული ვარ, ეს დააჩქარებს ამ პროცესს.

იმისათვის, რომ შეიქმნას გაწევრიანების აუცილებელი პირობები, არ არის საკმარისი, მხოლოდ სამხედრო ასპექტში მოხდეს ცვლილებები.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დაკავებულ ბათუმელ სტუდენტებს მომიტინგეების დარბევაშიც ადანაშაულებენ

*პოლიტიკური გაერთიანება "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" გუშინ მთელი დღის მანძილზე ავრცელებდა ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, თბილისში დააკავეს სტუდენტები. ისინი აჭარაში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო ბათუმში თანატოლებთან მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ, თბილისში დაბრუნებულები კი თბილისის პოლიციამ დააკავა. "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის განცხადებით, ინფორმაცია სტუდენტთა ჯგუფის იმ წარმომადგენელმა მიაწოდა, რომელიც დაპატიმრებას გადაურჩა.*

მოგვიანებით გაირკვა, რომ აჭარის ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის მხარდამჭერი ორი ბათუმელი სტუდენტი მერაბ მიქელაძე და ლაშა ჩახვაძე ვაკე-საბურთალოს პოლიციამ იარაღის უკანონო ტარებისთვის დააკავა. ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსის ზურაბ გავაშელაშვილის ინფორმაციით, აბაშიძის მხარდამჭერი სტუდენტების დაკავება ოპერატიული შეტყობინების საფუძველზე მოხდა. **"პოლიციაში დარეკა მოქალაქემ და შეგვატყობინა, რომ ერთ-ერთი მანქანით გადაადგილდებოდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ,"** – განაცხადა გავაშელაშვილმა, რომლის თქმითაც, ოპერატიულმა ჯგუფმა შეტყობინების საფუძველზე შემოვლა ჩაატარა და მიქელაძე და ჩახვაძე "ბუკიას ბაღთან" დააკავა, პირადი ჩხრეკის ჩატარებისას, ერთს "მაკაროვის" სისტემის იარაღი, ხოლო მეორეს - "ნაგანის" სისტემის რევოლვერი აღმოაჩნდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

# ვეტერანი მეომრები უკანონოდ გაყიდული სამხედრო ქონების უკან დაბრუნებას ითხოვენ

*იმერეთის რეგიონის "გაერთიანებულ ომის ვეტერანთა კავშირი" თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ქონების უკანონო დატაცების წინააღმდეგ ილაშქრებს და იმერეთში ყველაზე დიდი, ეგრეთ წოდებულ "კეჩის" ბაზრობის მფლობელებს უპირისპირდება, ხოლო თავდაცვის სამინისტროს ქონების გაყიდვა-განიავებაში სდებს ბრალს. ყოფილი მეომრები სამხედრო ქონების გაყიდვაში თავდაცვის ყოფილ მინისტრს ვარდიკო ნადიბაიძეს, იმერეთის ყოფილ გუბერნატორს თემურ შაშიაშვილსა და დღევანდელ ვიცე-გუბერნატორს ზურაბ ქაჯაიას ადანაშაულებენ.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

"კეჩის" ბაზრობა ყოფილი საბჭოთა არმიის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზეა განთავსებული. მისი მეპატრონეები ცოლ-ქმარი - ზელიმხან და ტურფა გიორგაძეები არიან. "მეომართა კავშირის" წევრები აცხადებენ, რომ თავის დროზე აღნიშნული სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელი ზელიმხან გიორგაძე გახლდათ, რომელმაც ნაწილის ტერიტორია ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით საკუთარ მეუღლეს გადასცა. თუმცა, ეს ერთი მაგალითია იმ მრავალრიცხოვანი ფაქტებიდან, რომლებიც ბაზრობის მეპატრონეების წინააღმდეგ "გაერთიანებული მეომართა კავშირის" ხელმძღვანელობამ წარმოადგინა. უახლოეს დღეებში ისინი აპირებენ კონკრეტული დოკუმენტები პროკურატურას გადასცენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# ვლადიმირ ლუკინი: "ნუ ინერვიულებთ!"


ვლადიმირ ლუკინი

კასიანოვის მთავრობის დემონტაჟზე მოსკოვში დიდი ხანია, ლაპარაკობენ. დღეს კი გაჩნდა ახალი ნიუანსი: რუსეთის მთავრობის სრული შემადგენლობით გადაყენებით პრეზიდენტმა პუტინმა საკუთარი ამომრჩევლის ყურადღება მიიპყრო. მოსკოველი პოლიტოლოგების აზრით, პუტინის ბრძანება მისი პიარსვლაა; ოპოზიციის კომენტარით კი ვლადიმირ პუტინი იძულებული გახდა, მოსკოვური ტერაქტების შემდეგ მასების მზარდი სოციალური უკმაყოფილების გასანეიტრალებლად, ასეთი ძნელადპროგნოზირებადი ნაბიჯი გადაედგა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პრემიერ კასიანოვის გარდა ყველა მინისტრი ახალი კაბინეტის დაკომპლექტებამდე მოვალეობის შემსრულებელი იქნება. მოსკოვში ხმები დაირხა, რომ ქვეყანაში გამეფებული ავტორიტარიზმისა და მოსალოდნელი დიქტატურის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, პრეზიდენტობის კანდიდატი მემარჯვენეთა ბლოკიდან - ირინა ხაკამადა საკუთარი კანდიდატურის მოხსნას აპირებს.

როგორი იქნება რუსეთი 14 მარტის შემდეგ, როგორ საპრეზიდენტო გუნდთან ერთად ივლის კრემლის ადმინისტრაცია? - ამ შეკითხვაზე მოსკოვში ასეთი პასუხი აქვთ: სახეზეა პუტინის სურვილი, კიდევ ერთხელ განსაზღვროს ქვეყნის განვითარების სტრატეგია. რაც შეეხება პუტინის გუნდს, კრემლის ადმინისტრაციის უფროსის ვოლოშინის გადაყენების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ პეტერბურგელებმა საბოლოოდ დაიპყრეს კრემლი.

ცნობილი რუსი პოლიტოლოგი, ომბუდსმენი ვლადიმირ ლუკინი "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში ასეთ კომენტარს აკეთებს:

- ჩვენი პრეზიდენტის ქმედება არ სცილდება კონსტიტუციის სფეროებს, რადგანაც რუსეთის კონსტიტუციის 117-ე მუხლი ამის უფლებას იძლევა. პუტინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას აკმაყოფილებს ძველი მთავრობის მიერ გაწეული მუშაობა, მაგრამ მას, როგორც პრეზიდენტს, საკუთარი წინასაარჩევნო პლატფორმაც აღელვებს. პრეზიდენტის გადაწყვეტილება ძლიერი და ლოგიკური გაგრძელებაა მიმდინარე რეფორმების. ვისთან ერთად სურს პუტინს მუშაობა, ეს მისი პრობლემა და მისი გემოვნების საქმეა. ამ ეტაპზე მთავარია, ვინ იქნება ვიცე-პრემიერი: გერმან გრეფი თუ გრიგორი იავლინსკი.

**- სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს დელეგაციამ რუსეთის უკვე ყოფილ ხელისუფლებასთან საინტერესო პროექტების განხორციელებაზე ისაუბრა. ხომ არ ემუქრება საფრთხე ძლივს დაწყებულ ნორმალურ, საქმიან დიალოგს?**

- პუტინმა კასიანოვი გამოცვალა, არა მგონია, მას ერთ კვირაში გემოვნება და კურსი შეეცვლოდეს. რუსეთში დაწყებული რეფორმები აუცილებლად გაგრძელდება და საქართველოს ხელისუფლებას სანერვიულო ნამდვილად არაფერი აქვს. აქ მთავარია ის, რომ საქართველოსთან დაკავშირებით მოსკოვმა უკვე განსაზღვრა გრძელვადიანი, ნათელი სტრატეგია. მომავალი პრემიერი აუცილებლად იქნება დემოკრატიული რეფორმების გამგრძელებელი. რაიმე კორექტივები ნაკლებად მოსალოდნელია და ნურც თქვენ ინერვიულებთ.

*რუსუდან ნიკურაძე, საკ. კორ. მოსკოვში*

# რაულ ხაჯიმბა მოსკოვში საპენსიო საკითხებს განიხილავდა

გასულ კვირას მოსკოვში იმყოფებოდა აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა. მან შეხვედრები გამართა რუსეთის საპენსიო ფონდის თავმჯდომარესთან მიხაილ ზურაბოვთან. საინტერსოა, რომ საქართველოს ავტონომიის პრემიერ-მინისტრისა და რუსეთის საპენსიო ფონდის შეხვედრის მთავარი საკითხი აფხაზთა "საპენსიო უზრუნველყოფის" საკითხები იყო:

**"ჩვენ ის ძირითადი საკითხები განვიხილეთ, რაც მოქალაქეებისათვის პენსიების გაფორმებას ეხება. ამ პირებს საჭირო დოკუმენტები არ გააჩნიათ, უფრო სწორად, დაკარგული აქვთ საბჭოთა პერიოდის შრომის წიგნაკები. ამ შემთხვევაში ასეთი კატეგორიისაგან ასაკის და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი მოწმობები მოითხოვება. ამის შემდეგ საბუთები სოჭის საკონსულოში გაიგზავნება, სადაც დამოწმდება კიდეც ბეჭდით,"** – განაცხადა ხაჯიმბამ.

ცნობისათვის, ამჟამად რუსული პენსია 670 რუბლს შეადგენს. რუსეთის საპენსიო ფონდში მიმდინარე შეხვედრებზე ერთ-ერთ საკითხად განიხილებოდა 70 წლის ზევით პირებისათვის პენსიების მომატება.

# სომხეთიდან თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტის პერსპექტივები

მოსკოვში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულლა გიული იმყოფება. იგი შეხვედრებს მართავს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. როგორც სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრე იაკოვენკომ თურქულ გაზეთ "ხიურრიეტს" განუცხადა, **"ჩვენი შეფასებით, საქართველოს გავლით რუსეთიდან თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტთან დაკავშირებით ახალი პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციის კარგი პერსპექტივები არსებობს. ასევე განიხილება თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი სომხეთის იმ ელექტრობლოკებიდან, რომლის გადაცემაც რუსეთის ფედერაციის კუთვნილებაში იგეგმება."**

ამასთან, იაკოვენკომ იმედი გამოთქვა, რომ თურქეთის საგარეო მინისტრის მოსკოვში ვიზიტი სასიამოვნო ფონს შექმნის რუსეთ-თურქეთს შორის ევრაზიაში თანამშრომლობისთვის.

*24 საათი*

# ეული "სოციალისტები"

"სოციალისტური პარტია" 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს. ეს გადაწყვეტილება პარტიამ მთავარი კომიტეტის, რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელების საგანგებო თათბირის შემდეგ მიიღო. პარტიის თავმჯდომარის ირაკლი მინდელის თქმით, "სოციალისტურმა პარტიამ" ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ წინასაარჩევნოდ ოპოზიციური პარტიების ერთ ბლოკში გაერთიანება მომხდარიყო, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. მინდელის განცხადებით, ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობასთან ერთად, იხილებოდა ასევე მათ მიერ არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადების საკითხიც, მაგრამ შეთანხმება ვერც ამ საკითხზე მოხერხდა. "ამ ვითარებაში "სოციალისტურ პარტიას" ჰქონდა არჩევანი - ან ამომრჩევლებისთვის ეღალატა, ან, ყველაფრის მიუხედავად, არჩევნებში მონაწილეობა მიეღო. "სოციალისტური პარტია" აცხადებს, რომ მზად არის, ხელისუფლებასთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაებას და არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძოლოს," - განაცხადა მინდელმა.

*ინტერ-პრესი*

# "ბურჯანაძე-დემოკრატები" და "ნაციონალები" სიას დაძაბულ ვითარებაში აზუსტებენ

ცესკო-სთვის სიების წარდგენის ვადა პარტიებს 26 თებერვალს 18 სათისათვის ეწურებათ. არაოფიციალური ინფორმაციით, "ნაციონალების" და "დემოკრატების" საერთო სიაში პირველ ასეულში სამოცი ადგილი "ნაციონალურ მოძრაობას" ეკუთვნის, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანძე 35 ადგილს ითხოვს, რაც პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას, ცოტა არ იყოს, არ მოსწონს. დაძაბული ვითარების ფონზე, წუხელ გვიან ღამით, პარლამენტში ბურჯანაძემ და ჟვანიამ კონსულტაციები დაიწყეს. ღამის ორი საათისთვის შეხვედრა დასრულდა, მაგრამ სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს სააკაშვილის გარეშე ხდებოდა. როგორც წუხანდელ სატელევიზიო გამოსვლაში პრეზიდენტმა ბრძანა, იგი ინფორმაციებს "ჭორის დონეზე" იგებდა. სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ სიების დაკომპლექტება თანაპარტიელებს და თანაბლოკელებს მიანდო. თუმცა, რასაკვირველია, იგულისხმებოდა, რომ ბატონი პრეზიდენტი მათ უყურადღებოდ არ დატოვებდა და "ჭორის დონეზე" ყველა ინფორმაციას და დეტალს შეიტყობდა.

ორი სახელისუფლებო პარტიის საერთო სიის თემაზე გუშინ ვნებათაღელვა არ ცხრებოდა. ჯერ იყო და ჟვანიამ დააკონკრეტა იმ ადამიანის სახელი, ვინც არც თუ ისე შორეულ წარსულში **"მის დისკრედიტაციას ცდილობდა"** და ვისი სიაში მოხვედრასაც, ჟვანია გამორიცხავდა. ეს პიროვნება, როგორც მოსალოდნელი იყო, დავით ბერძენიშვილი აღმოჩნდა. მეტიც, ჟვანიამ ბრძანა, ბერძენიშვილი სიაში ვერ მოხვდება, თუ ბოდიშს არ მოიხდისო. პრემიერ-მინისტრს თანაპარტიელებმაც დაუკრეს კვერი. **"ზურაბ ჟვანია ბევრ რამეს "ჩაყლაპავს", მაგრამ თუკი რაიმეს იტყვის, ეს უკვე პრინციპული გადაწყვეტილება იქნება,"** - ასეთი იყო "დემოკრატების" საერთო აზრი.

საკითხი კიდევ უფრო გაამწვავა საზოგადოებრივი მოძრაობა "ჩვენი აჭარის" მიერ გაკეთებულმა განცხადებამ: **"ასლან აბაშიძესთან დაახლოებული წყაროები დაუფარავად საუბრობენ აჭარის ლიდერსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს შორის არსებულ გარიგებაზე "ნაციონალების" სიიდან ბერძენიშვილის "ამოგდების" თაობაზე".**

დავით ბერძენიშვილმა დიპლომატიას უხმო და სიტუაცია მეტისმეტად რომ არ დაძაბულიყო, მასმედიასთან ზომიერი კომენტარები გააკეთა. მან "24 საათს" განუცხადა, რომ არ აპირებს ჟვანიასთან ურთიერთობის გამწვავებას, მაგრამ არც ბოდიშს მოიხდის და, თანაც, საარჩევნო სიაშიც აუცილებლად იქნება. ბერძენიშვილის სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ ის და პრემიერ-მინისტრი იძულებულნი არიან, საერთო ენა გამონახონ. საკითხს კიდევ უფრო ნათელს ჰფენს პრეზიდენტ სააკაშვილის წუხანდელი სატელევიზიო განცხადება: **"ჩემთვის მთავარია ერთიანობა. მზად ვარ, ერთიანობისთვის კვოტებიც დავთმო."** სააკაშვილი ჟვანიასაც და ბერძენიშვილსაც უცხოეთიდან მიანიშნებდა: **"ყველა ადამიანმა უნდა გაარკვიოს ურთიერთობა."**

საკუთარი ინტერესებისთვის ბრძოლაში ჟვანია-ბურჯანაძე-სააკაშვილის სამეული, ჯერჯერობით, თავს კონტროლს უწევს და, მიუხედავად ყველაფრისა, ერთიანობას ახერხებს. სხვათა შორის, გუშინდელ მოვლენათა ორომტრიალში მათ არ დავიწყებიათ, საზოგადოებისთვის პირდაპირი თუ ირიბი ფორმებით მიენიშნებინათ - მავანი ჩვენში ამაოდ ცდილობს განხეთქილების შეტანასო.

*ვერიკო თევზაძე*

# Human Right watch საქართველოს ხელისუფლებას შეკრებების თავისუფლების შეზღუდვაზე მიუთითებს

**"აშშ-მ საქართველოს ხელისუფლებას უნდა განუცხადოს, რომ ამერიკის მხრიდან საქართველოსთვის ეკონომიკური დახმარების გაწევა ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვაზე იქნება დამოკიდებული,"** - ნათქვამია ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის "Human Right watch"-ის მიმართვაში, რომელიც მან აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს გაუგზავნა. "Human Right watch"-ი აშშ-ს პრეზიდენტს მოუწოდებს, ეს საკითხი საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრაზე დასვას. "Human Right watch"-ი მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ქვეყანაში შეკრებების თავისუფლება შეიზღუდა.

თეთრი სახლის პრესსამსახურის ინფორმაციით, ჯორჯ ბუშისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრაზე განხილული იქნება ტერორიზმთან ბრძოლაში პარტნიორობის გაღრმავების, რეგიონული კონფლიქტების მოგვარების, კასპიის ზღვის ენერგეტიკისა და სხვა საკითხები. ასევე საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული და საბაზრო რეფორმები. გარდა ამისა, ორი ქვეყნის პრეზიდენტები რუსეთთან, თურქეთსა და ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე ისაუბრებენ. ჯორჯ ბუშთან მოლაპარაკების დაწყებამდე საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებს შეხვდება. კომიტეტის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართება.

*ინტერ-პრესი*

# მიწის მართვის სამსახურის ახალი უფროსი

იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე დავით ეგიაშვილი თანამშრომლებს წარუდგინა.

როგორც იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, დავით ეგიაშვილი საკმაოდ გამოცდილი კადრია, რაც უმნიშვნელოვანესია სისტემის განვითარებისთვის. მისივე თქმით, საქართველოში საკუთრების დაცვის სისტემა მოქნილი, იაფი და ხელსაყრელი უნდა გახდეს ნებისმიერი მოქალაქისთვის. პაპუაშვილის განმარტებით, მიწის მართვის დეპარტამენტს ბევრი ახალი ფუნქცია ექნება.

"უქმდება ტექბიურო, ამიტომ მთელი ეს ინფორმაცია დეპარტამენტში გადმოვა, გარდა ამისა, მოძრავ ქონებასთან ურთიერთობას (ისევე, როგორც მიწის კადასტრთან დაკავშირებულ ურთიერთობას) ეს ორგანიზაცია დაარეგულირებს," - განაცხადა პაპუაშვილმა. მისივე თქმით, სისტემა არ დაკომპლექტდება ნათესაური, ან პოლიტიკური ნიშნით. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახლად დანიშნული თავმჯდომარე დავით ეგიაშვილი უშიშროების საბჭოს მდივნის ვანო მერაბიშვილის ახლო ნათესავია. თავად ეგიაშვილის განმარტებით, მათი მამები ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან იგი სისტემაში 8 წელია მუშაობს და მას ვანო მერაბიშვილთან "დისკუსია-საუბრები" არ ჰქონია. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის განცხადებით, რეფორმების პაკეტს იუსტიციის სამინისტროს მალე წარუდგენენ. მისივე თქმით, მომავალში მიწის მართვის ფუნქცია არ იქნება გაერთიანებული მიწის რეგისტრაციის ფუნქციასთან. დავით ეგიაშვილი 2003 წლიდან დღემდე გაერო-ს განვითარების პროგრამის მიწის მართვის პროექტის ტექნიკურ მრჩევლად მუშაობდა.

*ინტერ-პრესი*

# EBRD ახალ გეგმას შეიმუშავებს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) საქართველოსთან მიმართებაში ახალი ორწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას აპირებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ბანკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა ოლივერ დესქამპსმა განუცხადა. მისი თქმით, EBRD საქართველოს დამატებით 100 მილიონ დოლარს გამოუყოფს, რომელიც, ძირითადად, ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰ-დენიზი-ერზერუმის გაზსადენის პროექტებზე გადანაწილდება. "70 მილიონი დოლარი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტისთვის გამოიყოფა, ხოლო 20 მილიონ დოლარს საქართველო შაჰ-დენიზი-თბილისი-ერზერუმის გაზსადენისთვის მიიღებს. დანარჩენი თანხა კერძო სექტორზე გადანაწილდება,"- განმარტა დესქამპსმა. მან აღნიშნა, რომ ევრობანკი საქართველოში სპეციფიკურ პროექტებს ახორციელებს და, ძირითადად, კერძო სექტორთან თანამშრომლობს. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში EBRD-მა საქართველოში 180 მილიონი დოლარის ოდენობის 28 პროექტი დააფინანსა.

*ინტერ-პრესი*

# პარლამენტი "საკუთარ თავზე მუშაობს"


პარლამენტის რეფორმების პროგრამის პრეზენტაცია.

**"პარლამენტი აუცილებლად უნდა შეიცვალოს და დაკარგული ავტორიტეტი დაიბრუნოს. საქართველოში ევროპული ტიპის პარლამენტი უნდა ჩამოყალიბდეს,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ პროგრამის პრეზენტაციაზე, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს რესტრუქტურიზაციასა და რეფორმირებას ითვალისწინებს.

ეს პროგრამა თავად პარლამენტის ინიციატივით შემუშავდა და გამიზნულია მისი საქმიანობის ეფექტურობის და ტრანსპარენტულობის გასაძლიერებლად. **"პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, პარლამენტი ეფექტურად შეასრულებს როგორც საკანონმდებლო, ისე მთავრობაზე ზედამხედველობის ფუნქციას,"** - ვარაუდობს პარლამენტის სპიკერი.

პროგრამის კომპონენტების დამუშავებაში მონაწილეობდნენ პარლამენტის სპიკერატი, გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, საერთაშორისო საქმეთა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი და საზოგადოების კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი.

*24 საათი*

# ჯოხთაბერიძის პატიმრობის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გასაჩივრდა

კომპანია "მაგთიკომის" დამფუძნებლის გია ჯოხთაბერიძის ადვოკატმა ბრალდებულისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შესახებ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გუშინ გაასაჩივრა.

გია ჯოხთაბერიძის ადვოკატის გიორგი ყავლაშვილის განცხადებით, სარჩელი თავად გადაგზავნა საოლქო სასამართლოში.

ჯოხთაბერიძეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა 22 თებერვალს შეუფარდა. სასამართლომ გირაოს - მილიონი ლარის გადახდაზე, რომელიც სადავო თანხას აღემატებოდა, უარი განაცხადა.

კომპანია "მაგთიკომის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის სიძე გია ჯოხთაბერიძე 20 თებერვალს, თბილისის აეროპორტში დააკავეს. მის წინააღმდეგ გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადების დაფარვის მუხლით არის აღძრული. პროკურატურა მას სანქცია-საურავებიანად ბიუჯეტისთვის 740 ათასამდე ლარის გადაუხდელობას ედავება. როგორც ცნობილია, გია ჯოხთაბერიძის საქმეში ევროპელი და ამერიკელი იურისტები ჩაერთვებიან. გიორგი ყავლაშვილმა საჭირო დოკუმენტაცია მათ უკვე გაუგზავნა.

ადვოკატის თქმით, პროკურატურა ჯოხთაბერიძეს აბსურდულ ბრალდებებს უყენებს. "ეს საქმე სამართლის ისეთ უცნაურ კატეგორიას განეკუთვნება, რომლის მსგავსი პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა. მაგალითად, ბრალმდებელთა არგუმენტებით, საწარმოში როდესაც პირი შეიძენს წილს, იმ წილისთვის თვითონ კიდევ უნდა დაიბეგროს", -განაცხადა ყავლაშვილმა. მისივე განმარტებით, როგორ გამოიყვანა გენერალურმა პროკურატურამ სადავო 700 ათასი ლარი, ამას შვეიცარიელი იურისტებიც ვერ მიხვდნენ.

ყავლაშვილის თქმით, ამ თანხასთან დაკავშირებით ექსპერტიზის დასკვნაც არ არსებობს, ბრალდებას მხოლოდ სპეციალისტის შემოწმების აქტი მოეპოვება.

*ინტერ-პრესი*

# ტრეინინგი ენერგეტიკოსებისთვის

"სახელმწიფო ელექტროსისტემის" მმართველებმა თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელება დაიწყეს. "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ირლანდიელმა მმართველებმა შრომითი რესურსის ეფექტური გამოყენების მიზნით დაიწყეს კომპანიის თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების პროგრამის განხორციელება. როგორც "ინტერ-პრესს" მომზადება-გადამზადების სამსახურის უფროსმა ზურაბ ბაბუნაშვილმა განუცხადა, ტრეინინგ-ცენტრისთვის ორი ოთახის გარემონტებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის შემდეგ სწავლება სარელეო დაცვისა და ავტომატიკის, ექსპლუატაციის და რემონტების სამსახურების, აფხაზეთის ფილიალის თანამშრომლებმა დაიწყეს. "ორგანიზაციამ დასახულ მიზანს რომ მიაღწიოს, საჭიროა, კარგად მომზადებული, კვალიფიცირებული კადრების აღზრდა. დარგში ამ მიმართულებით სათანადო ღონისძიებები არ ტარდებოდა. კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს სავალდებულო წესით გაივლიან კომპანიის როგორც ტექნიკური, ისე არატექნიკური სამსახურების თანამშრომლები. სწავლების ხანგრძლივობა ორი თვეა," - განაცხადა ბაბუნაშვილმა.

კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ტექნიკური სამსახურის პერსონალის გადამზადებით დაიწყო. ტრეინინგებს ფინანსური, იურიდიული, კომერციის, ადმინისტრაციული, რეგულირების და სხვა სამსახურების თანამშრომლებიც გაივლიან. გარდა ამისა, ყველა მათგანი კომპიუტერზე მუშაობის წესებს შეისწავლის და ინგლისური ენის მოკლევადიან კურსს გაივლის.

*ინტერ-პრესი*

# ფრთხილად, ამ ქათამს გრიპი სჭირს!

ფრინველის გრიპის მაღალპათოგენური ვირუსი აშშ-ის კიდევ ერთ შტატში, ტეხასში გამოვლინდა, სადაც ფერმერებმა ფრინველების მასობრივი განადგურება დაიწყეს. ამის გამო ქათმის ხორცის, ძირითადად - ბარკლების იმპორტი უკვე აიკრძალა რუსეთში, რომელიც "ბუშის ბარკლების" უმსხვილესი შემომტანი და მომხმარებელია. თუკი ფრინველის გრიპის ვირუსი ტეხასის შტატის ფარგლებს გასცილდება, რუსეთი ქათმის ბარკლების იმპორტს აშშ-დან მთლიანად აკრძალავს. საქართველოს ვეტდეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში ქათმის ხორცის შემოტანა აშშ-ს მხოლოდ ორი – დელავერის და კონექტიკუტის შტატებიდანაა აკრძალული, სადაც ფრინველის გრიპის შემთხვევები ადრე გამოვლინდა. ტეხასის შტატზე ეს შეზღუდვა არ ვრცელდება, რადგან მათ მსოფლიო ეპიზოოტიური ბიუროდან რეკომენდაცია ჯერ არ მიუღიათ. ვეტდეპარტამენტი აკრძალვაზე ბრძანებას მას შემდეგ გამოსცემს, რაც ეპიზოოტური ბიურო ოფიციალურად დაადასტურებს, რომ ტეხასში გავრცელებული ვირუსი ადამიანებისთვის საშიშროებას წარმოადგენს.

*მედია-ნიუსი*

# "ჩვენი აჭარა" ზურაბ ჟვანიას გამოხმაურებას სთხოვს

საზოგადოებრივი მოძრაობა "ჩვენი აჭარა" პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასაგან მოითხოვს, ოფიციალური კომენტარი გააკეთოს ბათუმში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, თითქოს საპარლამენტო არჩევნებში "ნაციონალების" სიიდან "რესპუბლიკური" პარტიის თავმჯდომარის დავით ბერძენიშვილის "ამოგდების" საკითხში აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე და ზურაბ ჟვანია 50-100 მილიონ დოლარად გარიგდნენ. "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერის კახა მიქელაძისა და ამავე მოძრაობის პრეს-მდივნის ავთანდილ გადახაბაძის ინფორმაციით, ასლან აბაშიძესთან დაახლოებული წყაროები დაუფარავად საუბრობენ აჭარის ლიდერისა და პრემიერ-მინისტრის გარიგებაზე "ნაციონალების" სიიდან აბაშიძის "სტაჟიანი ოპონენტის" დავით ბერძენიშვილის "ამოგდებასთან" დაკავშირებით. მათი მტკიცებით, ასლან აბაშიძის გარემოცვა ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანიას იტალიაში ვიზიტამდე იყო დარწმუნებული, რომ "რესპუბლიკელი" ბერძენიშვილი მომავალ პარლამენტში არ მოხვდებოდა. ასლან აბაშიძესთან დაახლოებული წყაროები ასევე დაუფარავად საუბრობენ იმის შესახებ, რომ დავით ბერძენიშვილის პოლიტიკური მომავლის საკითხი იტალიაში, ასლან აბაშიძის წარმომადგენლისა და ზურაბ ჟვანიას შეხვედრაზე ფინანსური გარიგებით გადაწყდა.

"ჩვენი აჭარის" წარმომადგენელთა განცხადებით, ეს ეჭვები კიდევ უფრო გააღრმავა იტალიიდან დაბრუნებული პრემიერის მიერ ბერძენიშვილისთვის წაყენებულმა ულტიმატუმმა, რომლის დროსაც ჟვანიამ ბერძენიშვილს საარჩევნო სიაში მოსახვედრად ამჟამინდელი ხელისუფლების კრიტიკისთვის ბოდიშის მოხდა მოსთხოვა. "ჩვენი აჭარის" წარმომადგენლები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ იმ დროს, როცა "მოსახლეობის სრული მხარდაჭერის მქონე პრეზიდენტი სააკაშვილი თავს უფლებას არ აძლევს, საჯაროდ იმსჯელოს დავით ბერძენიშვილზე, საარჩევნო სიაში პიროვნებათა მოხვედრის საკითხს "რევოლუციური სამეულს" შორის ყველაზე არაპოპულარული ფიგურა - ზურაბ ჟვანია წყვეტს".

*ინტერ-პრესი*

# "ლეიბორისტები" ბოიკოტისთვის ემზადებიან

"საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ" 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს შესაძლოა ბოიკოტი გამოუცხადოს. როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ განაცხადა, იმის გათვალისწინებით, რომ "ქვეყანაში სახელისუფლებო ტერორია, საარჩევნო ადმინისტრაციები ხელისუფლების მიერაა ოკუპირებული და საინფორმაციო სივრცე განსხვავებული აზრისთვის დახშულია", "ლეიბორისტულ პარტიაში" არჩევნების ბოიკოტირების საკითხი განიხილება. მისივე თქმით, არჩევნების ბოიკოტირება იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ ამ გადაწყვეტილებაზე ყველა ოპოზიციური ძალა შეთანხმდება. "არ გვაქვს სურვილი, ჩვენი კუთვნილი მანდატები ცრუ ოპოზიციამ დაიკავოს, რომელსაც ხელისუფლება აკონტროლებს, მაგრამ ამგვარ ვითარებაში არჩევნებში მონაწილეობა აზრს კარგავს," - განაცხადა გუგავამ.

ჯერჯერობით უცნობია, "ლეიბორისტული პარტია" საბოლოო გადაწყვეტილებას როდის მიიღებს.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა „მედია-ნიუსთან" საუბრისას განაცხადა, რომ იგი არ აპირებს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან ურთიერთობის გამწვავებას და "ნაციონალებისა" და "ბურჯანაძე-დემოკრატების" ერთობლივ საარჩევნო სიაში ისიც აუცილებლად იქნება წარმოდგენილი **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში საპარლამენტო არჩევნებზე ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი, ელჩი მაიკლ ვაიგანტი იმედს გამოთქვამს, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში "მოქალაქეებს კონკურენტუნარიან საარჩევნო პირობებში საკუთარი არჩევანის გაკეთების საშუალება ექნებათ". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საარჩევნო ბლოკი "ნაციონალური აღორძინება" 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 120-კაციან პარტიულ საარჩევნო სიას წარუდგენს. ბლოკში გაერთიანებულია ორი პოლიტიკური პარტია - "საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი" და "საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყოფილი საპარლამენტო ფრაქცია "XXI საუკუნის" წევრები ელიზბარ ჯაველიძე და ანზორ აბრალავა ხელისუფლებას ერის ცნობიერების, კულტურის, ზნეობის, ეკონომიკის მიზანმიმართულ ნგრევაში ადანაშაულებენ.

მათი თქმით, დასავლეთიდან ნაკარნახევი ბრძოლა კორუფციასთან, რომელსაც "სოროსის მიერ დაფინანსებული ყმაწვილები (ჟვანია, სააკაშვილი) აწარმოებენ, არის პოლიტიკური ანგარიშსწორება იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც თავის დროზე ე.წ. ვარდების რევოლუცია არ დააფინანსა". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის" თავმჯდომარე გიორგი კობახიძე 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებს სკეპტიკურად უყურებს და მასში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისში ჩამოვლენ ბრიტანელი სამხედრო მრჩევლები, რომლებიც ქართველ ოფიცრებს სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებას შეასწავლიან. ბრიტანელი სამხედრო ექსპერტები კონსულტაციებს, ძირითადად, უმცროს ოფიცერთა შემადგენლობას ჩაუტარებენ. ბრიტანელ ექსპერტებთან ერთად, ექვსი ქართველი ოფიცერი ჩამოვა, რომლებიც წვრთნებს ბრიტანეთის სამხედრო საწვრთნელ ცენტრში გადიოდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად აშშ-ში გამგზავრებამდე რამდენიმე საკადრო ცვლილება უკვე განახორციელა. მისი ბრძანებით, მინისტრის აპარატის უფროსად ბრიგადის გენერალ ალეკო მჭედლიშვილის ნაცვლად, სამოქალაქო პირი, ლევან ჭოლაძე დაინიშნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარ ანზორ აბრალავას განცხადებით, უშიშროების საბჭოს მდივნის ივანე მერაბიშვილის და კონფლიქტების დარეგულირების საკითხში სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას კაბინეტებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობის გეგმები იხილება. მისი თქმით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსაც ავტონომიის მეთაურის ასლან აბაშიძის ძალისმიერი დამხობა სურს, რაც მისი განცხადებების ქვეტექსტებში იგრძნობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების სამზადისის მონიტორინგის განსახორციელებლად 25 თებერვალს საქართველოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია ეწვევა. 28 თებერვლამდე მოვლენილ, 5 სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულ დელეგაციას მათიას იორში უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. რეკომენდაციები, რომლებიც ევროსაბჭოს მუდმივმოქმედი კომიტეტის საპარლამენტო დელეგაციამ 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციის სახით დატოვა, ჯერ კიდევ არ შესრულებულა, - აცხადებენ ფონდ "სამართლიან არჩევნებში". ფონდის პრეზიდენტის ზაზა დარასელიას თქმით, ამ დელეგაციის ვიზიტი ადასტურებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის არა მხოლოდ რეკომენდაციების გაცემა, არამედ მათი შესრულებაც მნიშვნელოვანია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ედპ-ტრადიციონალისტების" საარჩევნო ბლოკი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 150-კაციან პარტიულ სიას წარუდგენს. პარტიული სიის პირველი ნომერი "ტრადიციონალისტი" აკაკი ასათიანი იქნება, მეორე კი - "ეროვნულ-დემოკრატი" ბაჩუკი ქარდავა. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ამერიკელთა განწყობა უნდა შევინარჩუნოთ



ამერიკელი სენატორები საქართველოს სამეგობროდ ეპატიჟებიან.

პირველი გვერდიდან

უკვე გადაწყდა, რომ ამერიკის ხელისუფლება საქართველოსათვის ფინანსურ დახმარებას 200 მილიონი დოლარით გაზრდის, შეიარაღებული ძალების "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" გაგრძელდება და ინვესტიციებიც ჩაიდება ქართულ ეკონომიკაში.

**"ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ "ექსიმ ბანკი" ავიაკომპანია "აირზენას", ბოინგის შესაძენად, თანხას გამოუყოფს,** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, - **ჩვენი ავიაკომპანია ამას საკუთარი სახსრებით ვერ მოახერხებდა. ეს პირველი თვითმფრინავი იქნება, რომელსაც ქართული ავიაკომპანია კი არ იქირავებს, არამედ იყიდის - მართალია, ამერიკის ფულით, მაგრამ საქართველოს ინტერესებს მოემსახურება. მინდა, რომ ყოველი ჩემი გამგზავრების შემდეგ, საქართველოში 100-ჯერ და 1000-ჯერ მეტი ფულით დავბრუნდე, ვიდრე მგზავრობა მოითხოვს. სენატში ყველა დემოკრატი მხარს გვიჭერს და ეს, სხვათა შორის, პირველი შემთხვევაა. როგორც აქ მითხრეს, ისინი ყოველთვის ეჭვქვეშ აყენებენ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეს და მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია, ყველაფერი ისე კარგად იყოს, როგორც ამბობენ. ამიტომაც ბოლომდე იკვლევენ, არის თუ არა დარღვევები. ეს ბუნებრივიცაა. დღეს საქართველოს მიმართ იმდენად კარგი დამოკიდებულებაა, რომ მსგავსი არც კი მახსოვს. ეს უნდა შევინარჩუნოთ და მათი ნდობა გავამართლოთ, რათა ეს დამოკიდებულება პოლიტიკურ თანადგომასა და ეკონომიკურ დახმარებაში გადაიზარდოს."**

შეერთებული შტატების პრეზიდენტთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრისას, საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხსაც შეეხება. თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ძლიერი არმიისა და ძლიერი ეკონომიკის გარეშე ამ პრობლემას ვერც ამერიკა გადაჭრის და ვერც რუსეთი. ამიტომ ამისათვის საქართველოშივე უნდა მომზადდეს მყარი ნიადაგი.

მიხეილ სააკაშვილმა, ასევე, ისაუბრა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მნიშვნელობაზე და განაცხადა, რომ მოსკოვში ვიზიტის დროს პრეზიდენტ პუტინთან მოლაპარაკებისას გამოიკვეთა ურთიერთობის მოწესრიგების რეალური შესაძლებლობა. ეს კი ჩვენთვისაც მისაღებია და ამერიკისთვისაც.

უკვე დადასტურებული ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტი საქართველოს სექტემბრის პირველ ნახევარში ესტუმრება.

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

# "მე ვხედავ ძალზე ნათელ ურთიერთობებს აშშ-სა და საქართველოს შორის"

პირველი გვერდიდან

არ ვიცი, რა დროა ამისთვის საჭირო, მაგრამ ვიცი, რომ საჭიროა დიდი ძალისხმევა საქართველოს მთავრობის მხრიდან. საჭიროა მრავალი პრობლემის გადაჭრა, თუნდაც ისეთის, როგორიცაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები.

**- რამდენად პროგრესული ნაბიჯია ბატონ თევზაძის ამ თანამდებობაზე დანიშვნა?**

- მე მხოლოდ შემიძლია, ვივარაუდო, თუ რატომ გზავნის საქართველოს ხელისუფლება თევზაძეს ნატო-ში. ვფიქრობ, მისი სამხედრო გამოცდილებისა და ამ პროექტის წევრებთან წლების განმავლობაში ახლო თანამშრომლობის გამო იგი მიიჩნიეს ის სათანადო პიროვნებად. თუმცა, მე არა ვიცი და არ მაქვს შესაბამისი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ყოფილმა ელჩმა არ შეასრულა თავისი მოვალეობა სათანადო დონეზე.

**- რამდენად რეალურად მიგაჩნიათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა?**

- ყველაფერია შესაძლებელი. ამერიკა და მსოფლიო თანამეგობრობა მხარს უჭერს საქართველოს პოზიციას იმ საკითხში, რომ აფხაზეთი მისი ფედერალური ნაწილია. ჩვენ ყველას გვაქვს იმედი, რომ საერთაშორისო ძალისხმევით საქართველო სწორად გადაჭრის ამ პრობლემას.

შევარდნაძის მთავრობამ დაარწმუნა აშშ, რომ ეძებს მშვიდობიან გამოსავალს აფხაზეთის კრიზისიდან.

**- როგორ განვითარდება აშშ-საქართველოს ურთიერთობები?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ურთიერთობები სამომავლოდ ისეთივე თბილი იქნება, როგორიც დღესაა და უფრო შორსაც წავა. ამისათვის საჭიროა აღსდგეს საქართველოს ძირითადი სტრუქტურები, დაიწყოს სერიოზული ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ. საქართველო ამით უფრო მეტად მიიპყრობს ამერიკის ყურადღებას და გააღრმავებს სურვილს, აშშ-მ შეინარჩუნოს ახლო ურთიერთობები საქართველოსთან. აშშ დარწმუნდება, რომ ქვეყანას აქვს სურვილი, დარჩეს დასავლური თანამეგობრობის წევრად, გაერთიანდეს ნატო-ში და საბოლოოდ გახდეს დასავლურად ორიენტირებული ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ასე რომ, მე ვხედავ ძალზე ნათელ ურთიერთობებს აშშ-სა და საქართველოს შორის.



ოთარ შალიკაშვილი საქარველოს პრეზიდენტის ინაუგურაციაზე.

**- ქართულ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული შიში იმისა, რომ საქართველო შეიძლება იქცეს ორი დიდი სახელმწიფოს - შეერთებული შტატებისა და რუსეთის დაპირისპირების ასპარეზად.**

- მესმის თქვენ რასაც გულისხმობთ, რომ საქართველო მოექცა ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესების სფეროში, მაგრამ, ვფიქრობ, ეს იქნება თვით საქართველოსთვის სასიკეთო, რათა შეინარჩუნოს ნორმალური და ახლო ურთიერთობები თავის მეზობელ ქვეყნებთან. გარდა ამისა, ისიც საქართველოს ინტერესებშია, რომ შეინარჩუნოს ახლო ურთიერთობა დასავლეთთან, რისი ნაწილიცაა შეერთებული შტატებიც. ამერიკის მხარე დაინტერესებულია, დაეხმაროს საქართველოს, შეინარჩუნოს ტერიტორიული მთლიანობა და სტაბილურობა. ასე რომ, საქართველოს შეუძლია იქონიოს უდიდესი მხარდაჭერის იმედი ამერიკის მხრიდან.

რას ფიქრობს რუსეთი პერსპექტივაში, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ წლების მანძილზე რუსეთი აცხადებდა - კონფლიქტები საქართველოსა და მის ახლომდებარე ტერიტორიებზე იყო მისი გავლენის სფეროში. მე, როგორც ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელს, ასეთი მიდგომა არ მიმაჩნია მართებულად. ყოველი ქვეყანა უნდა იყოს თავისუფალი, გადაწყვიტოს საშინაო პრობლემები.

**- რამდენად მოსალოდნელია თვით რუსეთის გაწევრიანება ნატო-ში?**

- ვერ გეტყვით, თუმცა ვიცი, რომ რუსეთი ნატო-ს პარტნიორია სამშვიდობო პროგრამებში. მე ვერ ვხედავ რუსეთის მთავრობის მონდომებას, რომ შეუერთდეს ნატო-ს.

**- საქართველოში ცხოვრებაზე თუ გიფიქრიათ?**

- მართალი გითხრათ, მე ვფიქრობ ამის შესახებ პერიოდულად, მაგრამ ვიცი, რომ ეს არ მოხდება. ჩემი ძირი აქ, ამერიკაშია. აქ მყავს ოჯახი, შვილები, შვილიშვილები. ასე რომ, ნაკლებად სავარაუდოა, საქართველოში ვიცხოვრო.

# პარლამენტი ბოლო ამოსუნთქვის წინ

პირველი გვერდიდან

ადრეც ხშირად მომხდარა და გუშინ გამართული ბოლოსწინა სხდომა "ორგანყოფილებიანი" გამოდგა. დილით დეპუტატები კანონშემოქმედებით იყვნენ დაკავებულნი, დღის მეორე ნახევარში კი აჭარაში შექმნილ სიტუაციაზე და მასმედიასთან დაკავშირებულ საკითხებზე მწვავე პოლიტიკური დებატები გამართეს.

საკმაოდ მოულოდნელად, ერთობ მშვიდად ჩაიარა იმ კანონპროექტების განხილვამ, რომლებიც თვითმმართველობის საკითხებს შეეხებოდა. იუსტიციის მინისტრის, გიორგი პაპუაშვილის მიერ პარლამენტში წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სახელმწიფო რწმუნებული დაინიშნება პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, ხოლო რაიონის გამგებელი - პრემიერის მიერ პრეზიდენტთან შეთანხმებით.

ერთადერთი, ვინც აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების წინააღმდეგ გაილაშქრა, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე, ფრაქცია "სოციალისტის" წევრი ნუგზარ ნავაძე იყო. მისი თქმით, კანონპროექტების მიღება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე უკანგადადგმული ნაბიჯი იქნება. ნავაძის აზრით, დღევანდელი ხელისუფლება ასეთ გზას იმიტომ დაადგა, რომ ბევრ ასოცირებულ საკრებულოში თავისი დეპუტატები არა ჰყავს, სხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებს კი არ ენდობა. ოპოზიციონერი პარლამენტარის განცხადებით, ხელისუფლების შიში უსაფუძვლოა. **"ბოლო დროს რამდენიმე რაიონში ისეთი გამგებლები დაინიშნნენ, რომ მათზე უარესს ხალხი ნამდვილად ვერ აირჩევდა,"** - ამტკიცებს ნუგზარ ნავაძე.

თავის მხრივ, იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელების ცენტრიდან დანიშვნა მხოლოდ დროებითი ღონისძიებაა და 2005 წლის ნოემბრის შემდეგ იგი არჩევითობით შეიცვლება. **"მანამდე დარჩენილი დრო კი საკანონმდებლო ბაზის მოსაწესრიგებლად და თვითმმართველობის ორგანოების არჩევითობის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობა მხოლოდ ბუტაფორია იქნება,"** - აღნიშნავს გიორგი პაპუაშვილი.

მშვიდი დისკუსიისგან აღარაფერი რჩება, როგორც კი დეპუტატები კანონშემოქმედებითი საკითხებიდან პოლიტიკურ დებატებზე გადადიან. აჭარაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გუშინ გაჩაღებული პოლემიკა, თავდაპირველად, ოპოზიციის "უპირატესობით" წარიმართა.

გურამ შარაძე, ბორის კაკუბავა, ელიზბარ ჯაველიძე და ანზორ აბრალავა ბევრს საუბრობდნენ საქართველოსგან აჭარის ჩამოცილების საშიშროებაზე, თუმცა, ხმა არ ამოუღიათ იმ ვანდალიზმზე, რაც ბოლო დღეებში ბათუმში ხდებოდა. ასლან აბაშიძის მხარდამჭერები ძალიან გააღიზიანა მათი მისამართით დეპუტატ მიხეილ მახარაძის ნათქვამმა, რომ ამ თავხედობისთვის პასუხი მოეთხოვებათ.

**"თუ ომი გინდათ, დაიწყეთ,"** - "სთავაზობდა" ხელისუფლებას ელიზბარ ჯაველიძე, რომელიც გასული წლის ნოემბრის მოვლენებს "მორფინისტების რევოლუციად" აფასებს.

**"ომის სუნს ვგრძნობ, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს,"** - პოლიტიკური ყნოსვა გამახვილებია ანზორ აბრალავასაც.

მათგან განსხვავებით, "აღორძინების" წევრი ვახტანგ აბაშიძე გუშინ მხოლოდ მიხეილ მახარაძის ლანძღვა-გინებითა და მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებით "შემოიფარგლა".

სახელისუფლებო ფრაქციები ოპოზიციას "თამაშში" არ აყვნენ და ამიტომ, აჭარის თემაც შედარებით მშვიდად გადაგორდა. სიტუაციის განმუხტვაში დიდი როლი შეასრულა ნინო ბურჯანაძის გამოსვლამ. პარლამენტის თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ **"ის გაუგებრობები, რომლებიც ცენტრალურ და აჭარის ხელისუფლებას შორის არსებობს, მალე გაირკვევა და ვითარება გამოსწორდება."**

მეორე კოზირი, რომლის გათამაშებასაც გუშინ ხელისუფლების ოპონენტები შეეცადნენ, მასმედიის გარშემო ბოლო დროს ატეხილი აჟიოტაჟი იყო. მომხსენებლად დანიშნულმა არჩილ გოგელიამ კოლეგებს წარუდგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ შეჩერდა სამი ტელეკომპანიის ღამის საინფორმაციო გადაცემები.

**"სამივე ტელეკომპანიის ხელმძღვანელებს და მასმედიის წარმომადგენლებს ცალ-ცალკე ვესაუბრე. ეროსი კინწმარიშვილმა განმიცხადა, რომ "ღამის კურიერი" პირადად მისი ინიციატივით გაჩერდა და ეს გადაცემის რეორგანიზაციის გამო გაკეთდა. როგორც ირკვევა, ეს ჯერ კიდევ შარშან ყოფილა ჩაფიქრებული, მაგრამ მისი განხორციელებისთვის ვარდების რევოლუციას შეუშლია ხელი. ეროსი კინწმარიშვილის თქმით, განახლებული ფორმატით "ღამის კურიერი" 1 მარტიდან გავა ეთერში. დაახლოებით იგივე გაიმეორა ტელეკომპანია "მზის" ხელმძღვანელმაც. მანაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანალოგიური გადაწყვეტილების მიღება ხელისუფლების მხრიდან რაიმე ზეწოლას არ უკავშირდება,"** - განაცხადა არჩილ გოგელიამ. ამასთან, მან "აღმაშფოთებელი" უწოდა იმას, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ "ომეგა-ჯგუფის" შემოწმების გამო, ფერხდება გაზეთ "ახალი ეპოქისა" და ჟურნალ "ომეგას" გამოცემა. დეპუტატის თქმით, შესაძლებელია ისეთი პირობების შექმნა, როდესაც მათ ბეჭდვას ხელი არ შეეშლება.

გარდა ამისა, არჩილ გოგელია შეშფოთებით საუბრობდა "ბოლო დროს გაჩენილ ცუდ ტენდენციაზე", - მასმედიის წარმომადგენლების ერთმანეთთან დაპირისპირებაზე, რამაც, პარლამენტარის თქმით, "შეიძლება, სავალალო შედეგები მოიტანოს".

გოგელიას მოხსენებამ ოპოზიციას იმედი გაუცრუა. რადგან ტელეკომპანიებზე ხელისუფლების ზეწოლის დამადასტურებელი ინფორმაცია ვერ მოისმინა, ასეთი ვერსიების დეკლარირებას ზოგიერთი დეპუტატი თავად შეეცადა. სახელისუფლებო ბანაკიდან ამის პასუხი კი ის იყო, რომ მასმედიის თავისუფლების შეზღუდვაზე თავისი კოლეგების მიერ ატეხილ ისტერიას დავით ტყეშელაშვილმა "ნიანგის ცრემლების ღვრა" უწოდა.

ასეთი აურზაურის მიუხედავად, გუშინდელი დღე მაინც "ცივილურად" - კენჭისყრებით დასრულდა. პარლამენტმა სამივე მოსმენით მიიღო კანონი "ფინანსური პოლიციის" შესახებ; დროებით შეაჩერა დადგენილება, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებისთვის დაბრკოლებების შექმნას ითვალისწინებდა.

29 თებერვლიდან მეცხრე არხზე
სოსო ცისკარიშვილის საავტორო გადაცემა
„საზოგადოება და ხელისუფლება"



კვირა საღამოს ვიმსჯელოთ ერთად
20:30 საათზე, მეცხრე არხზე

ქირავდება ქალაქის ცენტრში
პრესტიჟულ ადგილას
400 კვ.მ. ფართის ტერიტორია.
საუკეთესოა რესტორნის, ღამის კლუბის ან სხვა გასართობი საქმიანობისათვის.
ქალაქის ცენტრში 400 კვ.მ
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 893 200035

# სავაჭრო-სამრეწველო პალატას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

პირველი გვერდიდან

ამ ორგანოს ბოლო პერიოდამდე ედუარდ შევარდნაძის ოჯახის მიერ კონტროლირებად ორგანოდ იცნობდნენ და მის ფუნქციონირებას სერთიფიკაციასა თუ საქართველოში შემომავალი ინვესტიციების "კონტროლის" სფეროში სწორედ ახვლედიანის ოჯახის ინტერესებს უკავშირებდნენ.

ახალი ხელმძღვანელის ვინაობა გადამწყვეტი გახლდათ ამ ორგანოსთვის ახალი ფუნქციის შესაძენად, რომელიც ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ერთგვარ "ხიდადაც" იქცევა; თუმცა, ამას გარდა, მას ინვესტიციების რეალურად მოზიდვის ფუნქციაც ეკისრება.

**"ამ პოსტზე დანიშვნა არის საშუალება, რომ მონაწილეობა მივიღო ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მესმის, რომ მომავალში საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა მე და ჩემს მეგობრებს დაგვეკისრება."** - განაცხადა თავის საპროგრამო სიტყვაში ეროსი კიწმარიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ, არაერთგზისი შემოთავაზების მიუხედავად, სახელმწიფო ჩინოვნიკად ქცევაზე უარს ამბობდა, რადგან მის მფლობელობაში მყოფი მედიისა და ამ მედიაში მომუშავე ჟურნალისტების "ცუდ მდგომარეობაში" ჩაყენება არ სურდა.

**"ქვეყნის განვითარებაში მონაწილეობის მისაღებად ერთადერთი გზა არის ბიზნესის კეთება; თუმცა ბიზნესს აქვს პრობლემები, რომელიც ჩვენ ერთობლივად უნდა გადავჭრათ,"** - ასეთია განწყობა, რომლითაც სავაჭრო-სამრეწველო პალატის ახალი ხელმძღვანელი ახალ პოსტზე მივიდა.

ეროსი კიწმარიშვილმა სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებს "თამაშის ახალი წესი" შესთავაზა:

**"მე გთავაზობთ მარტივ თამაშის წესს - პალატის თავმჯდომარის არჩევის ვადა ოთხი წელია. მოდით, ყოველ წელს მოვიზიდოთ ერთი მილიარდი დოლარის ინვესტიცია. თუ ჩვენ შევძლებთ ამის გაკეთებას, ეს ნიშნავს, რომ 4 წლის შემდეგ საქართველოში ბავშვები უკეთესად იცხოვრებენ..."** - განაცხადა მან.



"მოდით, ყოველ წელს მოვიზიდოთ ერთი მილიარდი დოლარის ინვესტიცია."

ახალი თავმჯდომარის საპროგრამო გამოსვლაში იყო ბევრი საყურადღებო მესიჯი, რომელთაგანაც რამდენიმე, ალბათ, აუცილებლად უნდა გამოიყოს:

**"ფული სამყაროში ძალიან ბევრია. მთავარია, სწორად შევთავაზოთ... "**

**"მოზიდული თანხებიდან მინიმუმ 250 მილიონი უნდა იყოს ორიენტირებული რუსთავზე, ამ ქალაქს გადარჩენა სჭირდება."**

**"სიტუაცია იცვლება და მე, როგორც ამ სიტუაციის შეცვლაში დაინტერესებული პირი, გთავაზობთ ჩემს შესაძლებლობებს."**

განსაკუთრებით საინტერესო კი მაინც ბოლო პერიოდში გააქტიურებულ სადამსჯელო ღონისძიებებზე რეაქცია გახლდათ:

**"ბოლო პერიოდში სასამართლო თუ ძალოვანი უწყებების მხრიდან აქტიურმა მუშაობამ, რომელსაც მიჩვეული არ ვიყავით და რომელიც გადაჭარბებულად მოგვეჩვენა, შექმნა სერიოზული დაძაბულობა ბიზნესელიტაში და, ზოგადად, ბიზნესმენებში. ჩვენი ამოცანა ისაა, რომ ჩვენ და სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ თეთრ და გამჭვირვალე ურთიერთობას,"** - განაცხადა ეროსი კიწმარიშვილმა და პალატის წევრებს სასწრაფოდ შეკრება და სამომავლო ქცევის წესებზე მოლაპარაკება შესთავაზა.

**"სახელმწიფო ძალიან სუსტია დღეს და ჩვენც ძალიან სუსტი ვართ იმიტომ, რომ სახელმწიფოა სუსტი. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს,"** - ამბობს ახალი თავმჯდომარე, რომელიც დასახული მიზნების მისაღწევად პალატის რეორგანიზაციას, მისი მასშტაბების გაზრდას, გრანტების მოზიდვასა და ინფორმაციის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფას აპირებს.

ხელისუფლების მხრიდან სავაჭრო პალატასთან აქტიური თანამშრომლობისთვის მზადყოფნა კი დაადასტურა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც სავაჭრო-სამრეწველო პალატის ახალი თავმჯდომარის არჩევამდე განაცხადა: **"ეროსი კიწმარიშვილმა არაკეთილგანწყობილ გარემოში მოახერხა წარმატებული ბიზნესის აწყობა. იმედი მაქვს, რომ პალატის ხელმძღვანელის პოსტზე იგი მთავრობის სერიოზული პარტნიორი იქნება."**

# რა ბედი ელის 73-მილიონიან სამთავრობო ქონებას?

*სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური ნელ-ნელა "იძირება". სახელმწიფო კანცელარიის ახალ ჩინოვნიკებსა და ქვეყნის პრეზიდენტს ამ სამსახურის გარეშე მოუწევთ მუშაობა. ამ გადაწყვეტილების ავტორი თავად სააკაშვილია. ამჟამად შექმნილია სალიკვიდაციო კომისია, რომელიც საკუთარი მუშაობის ანგარიშს პრეზიდენტს უახლოესი ერთი თვის ვადაში ჩააბარებს.*

ეთერ მამულაშვილი

სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური, ძირითადად, კანცელარიის თანამშრომელთა მუშაობის კომფორტულ პირობებს უზრუნველყოფდა. ის საბოლოო ლიკვიდაციას მარტის ბოლოსთვის გამოაცხადებს. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი სახელმწიფო ქონება პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად განაწილდება. როგორც "24 საათმა" გაარკვია, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური საკმაოდ სოლიდური ქონების მფლობელია, რომლის საერთო ღირებულება 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 73 მილიონ ლარს აღემატება. აქედან მხოლოდ უძრავი ქონება 64.711.597 მილიონ ლარად არის შეფასებული.

ამასთან, როგორც "24 საათმა" გაარკვია, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ბიუჯეტის მიმართ დაგროვილი საგადასახადო დავალიანება (2004 წლის 1 თებერვლის მონაცემებით) დაახლოებით მილიონი ლარია. ვალის დიდი ნაწილი ჯარიმა-საურავებზე მოდის, ძირითადი ვალის ნაწილი კი - ქონებისა და მიწის გადასახადებზე. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის გაუქმების შემდეგ ხსენებული დავალიანების გასტუმრება ამ ქონების სამართალმემკვიდრეს დაევალება.

ჯერჯერობით, გაურკვეველია სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციის შემდეგ რა ფორმით იარსებებს მის დაქვემდებარებაში არსებული მოძრავი თუ უძრავი ქონება, რომელთა შორის არის: კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია, სახელმწიფო კანცელარიისა და იმელის შენობა, წყნეთის, ოქროყანა-კოჯრის საგარეუბნო აგარაკები, საგამომცემლო-პოლიგრაფიული ცენტრი "კრწანისი", წყალტუბოსა და ქობულეთის სახელმწიფო რეზიდენციები, წინანდლის და ვარციხის სამთავრობო რეზიდენციები, ტრანსპორტის სამმართველო, "ბორჯომ-ლიკანის" სახელმწიფო რეზიდენცია, მათ შორის არის ცნობილი რომანოვების სასახლე და სხვა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ქონებიდან გარკვეული ნაწილის პრივატიზაცია გადაწყდეს; მით უმეტეს მაშინ, როცა ამაზე გადაკვრით პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოსკოვში ვიზიტის დროს ისაუბრა. სააკაშვილის თქმით, კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია, რომელიც დაახლოებით 2 მილიონ 300 ლარად არის შეფასებული, "მას არაფერში სჭირდება", წელს აუცილებლად გაიყიდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ წყალტუბოს, წინანდლის, ქობულეთის რეზიდენციებს და სხვა მსგავს "წვრილმანებს" სახელმწიფო უფრო იოლად შეელევა. სავარაუდოდ, უახლოეს რამდენიმე წელიწადში სახელმწიფო კანცელარიის, იმელისა და ბორჯომ-ლიკანის რეზიდენციის (მათ შორის - რომანოვების სასახლის) ნებისმიერი ფორმით გასხვისება არ მოხდება – ასე ფიქრობენ ჯერ კიდევ არსებული სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.

| N | ორგანიზაციის დასახელება | უძრავი ქონება | სხვა ძირითადი საშუალებები |
|---|---|---|---|
| 1 | სახელმწიფო კანცელარიის მომსახურების სააგენტო | სახ.კანცელარიის შენობა 2.949.295 იმელის შენობა 47.254.500 | 1.963.271 |
| 2 | კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია | 2.258.106 | 1.877.200 |
| 3 | წყნეთის საგარეუბნო აგარაკების სამმართველო | 2.095.374 | 250.516 |
| 4 | ოქროყანა-კოჯრის საგარეუბნო აგარაკების სამმართველო | 2.237.589 | 193.144 |
| 5 | წყალტუბოს სახელმწიფო რეზიდენცია | 1.625.951 | 706.927 |
| 6 | სახელმწიფო რეზიდენცია "ბორჯომ-ლიკანი" | 1.164.295 | 403.733 |
| 7 | ქობულეთის სახელმწიფო რეზიდენცია "ივერია" | 2.180.737 | 174.533 |
| 8 | ტრანსპორტის სამმართველო | 1.318.215 | 1.872.230 |
| 9 | საგამომცემლო-პოლიგრაფიული ცენტრი "კრწანისი" | 290.101 | 109.363 |
| 10 | წინანდლის სამთავრობო რეზიდენცია | 773.197 | 231.318 |
| 11 | ვარციხის სამთავრობო რეზიდენცია | 564.237 | 335.781 |
| | ს ულ | 64.711.597 | 8.118.016 |

პრეზიდენტის 21 თებერვლის ბრძანებულებით შექმნილ სალიკვიდაციო კომისიას, პირველ რიგში, სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ბალანსზე არსებული მატერიალური ფასეულობებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების სრული ინვენტარიზაციის ჩატარება ევალება. ცნობისათვის - კომისიის შვიდკაციან შემადგენლობაში შედიან: ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ირაკლი რეხვიაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი ჩუბინიშვილი, სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარე ერეკლე ქიქოძე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი პეტრე მამრაძე. კომისიას "დეტალებზე" მუშაობა ჯერ არ დაუწყია.

# გსეკ-ი მცირე ლიცენზიანტების წინააღმდეგ

*"გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (გსეკ) გენერალურმა დირექტორმა დანიშვნისთანავე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ე.წ. "მცირე ლიცენზიანტებს" – ადგილობრივ მცირე მოცულობის კომპანიებს, რომლებსაც რეგიონებში საკუთარი მომხმარებლები ჰყავთ და მათ ელექტროენერგიით ამარაგებენ. ეს კომპანიები გსეკ-ის ძველი ხელმძღვანელების უკმაყოფილებას აქამდე არ იწვევდა იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ისინი, ფაქტობრივად, მათთან კორუფციულ გარიგებებს აწარმოებდნენ და ენერგეტიკაც სოლიდურ შემოსავლებს კარგავდა.*

მაია ურუშაძე

მალე "მცირე ლიცენზიანტებს" ჩაძირავენ. ყოველ შემთხვევაში, სათბობ-ენერგეტიკული სექტორის კურატორების მიერ აღებული კურსი ამას მიუთითებს. რეგიონებში შექმნილ ენერგოკრიზისში გსეკ-ის ხელმძღვანელობაც სწორედ ამ კომპანიებს, ოღონდ უკვე ღიად ადანაშაულებს. როგორც გუშინ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა განაცხადა, კომპანიის მიერ რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია გსეკ-ის 51 რაიონულ ფილიალს ხშირ შემთხვევაში არ მიეწოდება, რადგან მომარაგების სქემაში სწორედ ეს "მცირე ლიცენზიანტები" არიან "გაჩხერილები". დინ უაითის თქმით, გსეკ-ის მიერ რუსეთიდან შემოტანილ დენს სწორედ ისინი იტაცებენ და დენს მარტო საკუთარ მომხმარებლებს აწვდიან. ენერგოკომპანიის ხელმძღვანელები მიიჩნევენ, რომ გსეკ-ის რაიონულ ფილიალებს ლიმიტის დაცვაც იმის გამო უჭირთ, რომ "მცირე ლიცენზიანტებთან" ვერ რიგდებიან.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გამო გსეკ-ი ამ კომპანიებს დენს აღარ მიაწვდის. ეს კი ნიშნავს, რომ მათი აბონენტები ელექტროენერგიის გარეშე დარჩებიან. გსეკ-ი თავის გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ კომპანია ვალდებულია, რუსეთიდან თავისი სახსრებით იმპორტირებული ელექტროენერგია, პირველ რიგში, თავის აბონენტებს მიაწოდოს. იმპორტის მოცულობის გათვალისწინებით აშკარაა, რომ დენი დანარჩენებისთვის, უბრალოდ, აღარ დარჩება. შეგახსენებთ, რომ გსეკ-ი რუსეთიდან 200 მეგავატი დენის იმპორტს გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტით აწარმოებს. მართალია, ამჟამად კომპანიამ იმპორტი 100 მეგავატით გაზარდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითია: თბილსრესში მეცხრე ენერგობლოკზე გამომუშავების გაზრდისთანავე იმპორტის ოდენობა 50 მეგავატით შემცირდება, რამდენიმე დღეში კი ისევ ძველ ნიშნულს დაუბრუნდება. ბუნებრივია, ენერგოდეფიციტის პირობებში, როდესაც რეგიონებისთვის დადგენილი ლიმიტების დაცვა მკაცრად გაკონტროლდება, დენის გარეშე სწორედ ის მცირე კომპანიები დარჩებიან, რომელთა წინააღმდეგაც ენერგოსადისტრიბუციო გიგანტი უკვე კარგა ხანია ილაშქრებს.

ამ ვითარებაში "მცირე ლიცენზიანტებს", უბრალოდ, გადაშენება ელით. მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო ხომ სწორედ ის სადისტრიბუციო მარჟაა, რომელიც თავის დროზე სემეკ-მა დენის ტარიფიდან დაუწესა.

ამ ეტაპზე გსეკ-ს ამ კომპანიებთან ბრძოლის სხვა მეთოდი არ გააჩნია. საქმე ისაა, რომ მათი არსებობა კანონით არის დაშვებული და სემეკ-ის გადაწყვეტილების გარეშე ვერავინ ალკვეთს. სემეკ-ს კი, ჯერჯერობით, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა არ ძალუძს, ვინაიდან მას დღესდღეობით სრულუფლებიანი თავმჯდომარე არ ჰყავს: ამ მოვალეობას დავით მირცხულავას დაპატიმრების შემდეგ კომისიის უხუცესი წევრი დემურ ჩომახიძე ასრულებს.

გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგი "მცირე ლიცენზიანტი" თავად არის იმ ელექტროქსელების მფლობელი, რომლის საშუალებითაც თავის აბონენტებს ემსახურება (ცნობისათვის: უმეტესობა ამ კომპანიებისა მსხვილი მომხმარებელი ფაბრიკა-ქარხნების კუთვნილი შიდა ელექტროქსელების ბაზაზეა შექმნილი, რომელთაც მერე ნელ-ნელა გაიფართოვეს სამოქმედო არეალი და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისა თუ კომერციული ობიექტების ელექტრომომარაგებასაც მიჰყვეს ხელი). ამ შემთხვევაში, გსეკ-ს ერთადერთი გამოსავალი რჩება – მან უნდა შეისყიდოს ამ კომპანიების ქონება (რისთვისაც გსეკ-ს თავად ამ "მცირე ლიცენზიანტების" თანხმობა დასჭირდება, რაც საეჭვოა, იოლად მიიღოს). იმ შემთხვევაში კი, თუ "მცირე ლიცენზიანტი" იჯარის უფლებით სარგებლობს, გსეკ-მა მას დანაშაულებრივ ქმედებაზე უნდა წაასწროს და ეს ქონება სასამართლოს მეშვეობით ჩამოართვას. ამას, ბუნებრივია, გაწელილი სასამართლო პროცესები და დიდი დრო დასჭირდება. დრო კი დღეს ენერგეტიკის რეფორმების საწინააღმდეგოდ მუშაობს.

გარდა ამისა, "მცირე ლიცენზიანტებთან" გსეკ-ის მიერ დაწყებულ ბრძოლას აუცილებლად მოჰყვება კონტრშეტევები. მართლაც, ეს კომპანიები, რომელთა რაოდენობაც დღეს 20-ს აჭარბებს, საბითუმო ბაზარს დენის საფასურს, ფაქტობრივად, მთლიანად უხდიან. მართალია, გსეკ-ის ხელმძღვანელები ამას ეჭვქვეშ აყენებენ, მაგრამ "მცირე ლიცენზიანტების" 100-პროცენტიან შედეგს ოფიციალური მონაცემები ადასტურებს.

შედეგად, გსეკ-ი ეკონომიკურ ბერკეტებს მიმართავს და მათ გაკოტრებას ლამობს. ბუნებრივია, გსეკ-ის მიერ ახლად დაწნულ წნეხში მოჰყვება განურჩევლად ყველა "მცირე ლიცენზიანტი", მიუხედავად იმისა, იხდის თუ არა მოხმარებული დენის ფულს პირნათლად და შედის თუ არა გარიგებაში "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ქვესადგურების ან გსეკ-ის ადგილობრივ თანამშრომლებთან. ენერგოსექტორის კურატორებს კი, ჯერჯერობით, არავითარი ბერკეტი არ შეუმუშავებიათ იმისათვის, რომ მგლის შიშით ყველა "ცხვარი" ერთად არ გაწყვიტონ.

# ყაზახური ნავთობი ჩინეთში წავა

თორნიკე შარაშენიძე

მიმდინარე წლის ბოლოდან ყაზახეთში ჩინეთისკენ მიმავალი ნავთობსადენის მშენებლობა დაიწყება. ეს სენსაციური განცხადება ყაზახეთის ეროვნული ნავთობკორპორაციის პრეზიდენტმა გააკეთა. ასე რომ, კასპიის ყაზახური ნავთობი, რომელსაც აქამდე ან რუსეთის, ან საქართველოს გავლით გასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, სრულიად ახლებურ დანიშნულებას პოულობს.

მოგეხსენებათ, ჩინეთი მსოფლიოს უდიდესი ბაზარი და ერთ-ერთი ყველაზე უფრო მზარდი ეკონომიკაა. ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს ეს ქვეყანა ნავთობის იმპორტს ეწეოდა, მაგრამ მას შემდეგ მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ ჩინელებს აქეთ ესაჭიროება ნავთობი. საერთოდ, მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი ბუნებრივი რესურსებით სულაც არ არის მდიდარი, ამიტომ ჩინეთი ახლა დიდი რაოდენობით ეწევა ნავთობის ექსპორტს, მაგრამ მის მოთხოვნილებას ეს მაინც ვერ აკმაყოფილებს.

გასულ წელს აქტიურად განიხილებოდა რუსეთიდან ჩინეთზე გამავალი ნავთობსადენის მშენებლობა და ამ პროექტის განხორციელებას წინ აღარაფერი ედგა. მაგრამ საქმე ისაა, რომ პროექტის განხორციელებას "იუკოსი" აპირებდა, რომლის თავკაცი მიხაილ ხოდორკოვსკი ოლიგარქებთან ბრძოლას შეეწირა.

ასე რომ, ოლიგარქებთან ბრძოლამ პუტინს ჩინეთში რუსული ნავთობის ექსპორტზე ათქმევინა უარი. ყაზახეთმა კი ამ ვითარებით მშვენივრად ისარგებლა. ცხადია, ყაზახური ნავთობის იმპორტირება ჩინეთისთვისაც დიდი მიღწევაა. ეს სახელმწიფო ხომ დიდი ხანია ცდილობს შუა აზიის ქვეყნებთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების დამყარებას და ამ საკითხში რუსეთი მისი ერთ-ერთი უმთავრესი მეტოქეა.

ჩინეთზე მიმავალი ნავთობსადენის სიგრძე 3 ათასი კოლომეტრი იქნება, თუმცა ყაზახეთს ამ ტერიტორიაზე სამუშაოების ჩატარება არ სჭირდება – სადენი ფრაგმენტული სახით უკვე არსებობს და ახლა მათზე დანამატის გაკეთებაღა იქნება საჭირო.

პროექტის განხორციელება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ყაზახეთი, საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული, უაღრესად დაბალანსებულ და გონივრულ საგარეო პოლიტიკას ატარებას. ამ ქვეყანას გააჩნია დიდი მეხუთე კოლონა რუსული დიასპორის სახით, რომლის გამოც ყაზახეთი თავის საგარეო მანევრებში მნიშვნელოვნად არის შეზღუდული. მაგრამ, ამის მიუხედავად, ყაზახეთი მაინც ახერხებს დასავლეთთან კარგი ურთიერთობების დამყარებას და ზოგჯერ არც იმას ერიდება, რომ კასპიის ყაზახური ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გავლით შესაძლო ექსპორტირებაზე ილაპარაკოს. ცხადია, ამგვარი საუბარი რუსეთის უკიდურეს გაღიზიანებას იწვევდა. ასეთ ვითარებაში ნავთობის ჩინეთში გადაშვება "შესანიშნავი სვლაა".


## საველე ინჟინერი

**BP-ს პროექტებისათვის, BP-ს სრული ზედამხედველობით, IRA Ltd. ეძებს სათანადო კვალიფიკაციის პირს საველე ინჟინრის თანამდებობის დასაკავებლად.**

**სამუშაოს აღწერა:**

ობიექტებთან და პროექტთან დაკავშირებული ტექნიკური და საინჟინრო საკითხების მენეჯმენტი, საველე და ადგილზე მომუშავე საინჟინრო ჯგუფების კოორდინირება და მხარდაჭერა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ობიექტების პროექტების წარმატებით განხორციელების მიზნით.

საველე ინჟინრის სამუშაო ადგილი იქნება ველზე, იგი იცხოვრებს საველე კემპში.

**როლები და პასუხისმგებლობები**

- ველზე კონტრაქტორის სამშენებლო საქმიანობის ტექნიკური მონიტორინგი, კონტრაქტის მოთხოვნების გათვალისწინებით
- ველზე საერთო ხარისხის უზრუნველყოფისთვის ობიექტების საველე ინჟინრის დახმარება
- ხარისხის მენეჯერის დახმარება კონტრაქტორის მიერ ტექნიკური მოთხოვნების დაცვის შემოწმებისას
- კონტრაქტორის მეთოდებთან დაკავშირებული დოკუმენტების გადასინჯვა
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემოწმებების ჩატარება
- კონტრაქტორის მიერ აღჭურვილობის მოვლა-მომსახურების მონიტორინგი
- დახმარება ექსპლუატაციაში გამშვები ჯგუფისათვის სისტემების გადაცემისას
- მშენებლობის დროს ძირითადი პუნქტების დამოწმება

**მოთხოვნები:**

- შესაბამისი ინჟინრის ხარისხი
- პროგრამების MS Word, Excel, PowerPoint, MS Project, MS Outlook და ინტერნეტის კარგად ცოდნა
- სასურველია გამოცდილება ობიექტების მშენებლობის სფეროში
- შესაბამისი საინჟინრო დისციპლინის საფუძვლიანად ცოდნა, სხვა დისციპლინების კარგ ტექნიკურ ცოდნასთან ერთად
- ინგლისური, რუსული და ქართული ენების კარგად ცოდნა
- ადამიანებთან ურთიერთობის და გუნდური მუშაობის კარგი უნარი, მოტივირებულობა და ტაქტის გრძნობა
- შესაძლებლობა იმოგზაუროს, ბევრი დრო გაატაროს ველზე და იცხოვროს ბანაკში
- კომუნიკაციისა და ადამიანებთან ურთიერთობის კარგი უნარი
- სურვილი და შესაძლებლობა, მჭიდროდ ითანამშრომლოს კონტრაქტორის შტატთან და ველზე კონტრაქტორის საქმიანობაზე გავლენის მოხდენის უნარი
- იყოს ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტი პიროვნება
- ჰქონდეს სურვილი, უზრუნველყოს BP-ს ძირითადი ფასეულობების და ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი უფლებების (GHSER) განხორციელება

**განცხადების შეტანა / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ თვლით, რომ გაგაჩნიათ ამ როლის შესრულებისათვის საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) და შეავსოთ განაცხადის ფორმა, რომლის მიღებაც შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2004 წ 1 მარტი, 18:00 საათი.

აუცილებელია იყოთ საქართველოს მოქალაქე.

**განხილული იქნება ყველა მიღებული განცხადება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველას მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**კადრების განყოფილება**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია BP**
**საბურთალოს ქ. N 38, თბილისი, საქართველო**


## ორი სიტყვით

**თბილისი.** ცენტრალური სუპერმარკეტის დირექციას ბაზრის ტერიტორიის მოსაწესრიგებლად და სანიტარიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თბილისის მერიამ და საქალაქო სამსახურებმა ერთი თვის ვადა მისცეს. სანიტარიული სამსახური ტერიტორიის სასწრაფოდ დასუფთავებას, წყლისა და საკანალიზაციო სისტემების შეკეთებას, სახურავის რემონტს, დახლების მოწესრიგებას და სარეალიზაციოდ შემოსული ყველა საკვები პროდუქციის მკაცრ კონტროლს ითხოვს. ეს მოთხოვნები ცენტრალური სუპერმარკეტის დირექციამ მარტის ბოლომდე უნდა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სავაჭრო ობიექტს დახურვა ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თებერვლის პენსიების დაფინანსება დაიწყო. დღეისთვის დაფინანსებულია რეგიონებში "სახალხო ბანკის" მეანაბრე პენსიონერთა პენსიები. თბილისის, აფხაზეთისა და გალის რაიონის პენსიონერთათვის და მათთვის, ვინც პენსიას ფოსტაში იღებს, თანხა დღეს გადაირიცხება, ხოლო ხვალ ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა და რეგრესიულ პენსიებს დააფინანსებენ. თებერვლის პენსიებს ამ კვირაში მიიღებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პენსიონერებიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების პრემიერმა რაულ ხაჯიმბამ გასცა საგანგებო განკარგულება, მკაცრად გაკონტროლდეს ჯართის გატანა აფხაზეთის ტერიტორიიდან. აფხაზეთის ავტოტრასებზე საგზაო პოლიციის ყოველკვირეული რეიდები დაწესდება. აფხაზეთიდან ჯართის გატანაზე სახელმწიფო კომპანია "აფხაზვტორრესურსი" მუშაობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები გამოჩნდა. აქამდე ითვლებოდა, რომ ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი არსებობდა, მაგრამ ამას ორგანიზებული სახე არ ჰქონია. გუშინდელ ვაჭრობაზე ერთი გარიგებით 20 ცალი სახაზინო ვალდებულება 13-14 პროცენტად გაიყიდა. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ჰაიტი.** ამბოხებული ოპოზიციის შეიარაღებულმა ძალებმა ჰაიტის სიდიდით მეორე ქალაქი კაპ-აიტენი დაიკავეს. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ეს პრეზიდენტ არისტიდის რეჟიმის დასასრულს ნიშნავს. ქალაქზე შეტევა საერთაშორისო დიპლომატების მიერ მომზადებული სამშვიდობო გეგმის წარდგენას დაემთხვა. გეგმის თანახმად, არისტიდი პრეზიდენტად რჩება, მაგრამ უფლებამოსილება მკვეთრად შეეზღუდება. გარდა ამისა, ჰაიტიზე შეიქმნება ახალი მთავრობა, რომლის დაკომპლექტებაში ოპოზიციური ძალებიც მიიღებენ მონაწილეობას. არისტიდი ამ გეგმის პირობებზე თანახმაა. ოპოზიცია კი დუმს. არ არის გამორიცხული, რომ ამბოხებულებმა ჰაიტის დედაქალაქისკენ დაიწყონ მარში. პორტო-პრენსისკენ მიმავალი გზები არისტიდის ერთგული ძალებით არის ბლოკირებული.

გუშინვე, დედაქალქ პორტო-პრენსში აშშ-ს საზღვაო ქვეითის 50 მებრძოლი ჩავიდა. ისინი აშშ საელჩოს და სხვა ამერიკულ ობიექტებს დაიცავენ.

■ ■ ■

**ევროკავშირი.** ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, დნესტრისპირეთის 17 ლიდერის წინააღმდეგ შარშან მიღებული აკრძალვა ერთი წლით გააგრძელეს. მოლდოვას სეპარატისტული რეგიონის ლიდერებს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ. მათ შორის არიან თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი იგორ სმირნოვი და მისი ორი ვაჟი. მოლდოვა ბრიუსელის გადაწყვეტილებას მიესალმა. ევროკავშირი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ესწრაფვის. მით უფრო, რომ 2007 წლისთვის დაგეგმილია თანამეგობრობაში რუმინეთის გაწევრიანება, რის შემდეგაც მოლდოვა ევროკავშირის უშუალო მეზობელი გახდება. ევროკავშირს კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის გაჭიანურება აშფოთებს და დნესტრისპირეთის ლიდერების პოზიციით უკმაყოფილოა. "მათ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება არ სურთ," – თქვეს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ევროკავშირ-მოლდოვას თანამშრომლობის საბჭოს მორიგ შეხვედრაზე.

■ ■ ■

**ქაშმირი.** პაკისტანსა და ინდოეთს შორის მოლაპარაკებების განახლების პარალელურად, სადავო რეგიონ ქაშმირში ერთმანეთს ინდოელი და პაკისტანელი საველე მეთაურები შეხვდნენ. შეხვედრა ქაშმირის გამყოფ ხაზზე გაიმართა, რომელიც რეგიონს 1949 წლიდან ინდურ და პაკისტანურ ნაწილებად ჰყოფს. მხარეებმა თქვეს, რომ საუბრისას სამხედრო ხასიათის მონაცემების გაცვლა მოხდა. ინდოელმა სამხედრომ აღნიშნა, რომ ბოლო დროს პაკისტანის ტერიტორიიდან ქაშმირში ტერორისტების შეგზავნა შემცირდა. პაკისტანი არ ეთანხმება მეზობლის ბრალდებას, რომ ის, თითქოსდა, ქაშმირელ აჯანყებულებს უჭერს მხარს. მიუხედავად ამისა, ისლამაბადი პირობას იძლევა, რომ საკუთარ ტრიტორიაზე ტერორისტული ბანაკების არსებობას აღარ დაუშვებს. პაკისტანელი და ინდოელი სამხედროები ამიერიდან მოქმედებათა კოორდინაციას აპირებენ, რათა გაუგებრობები თავიდან იქნეს აცილებული. ადგილობრივი სავალე მეთაურების შეხვედრა, უკვე სამი წელია, არ გამართულა. 2001 წელს ინდოეთის პარლამენტზე თავდასხმა მოხდა, რაშიც დელიმ ისლამაბადი დაადანაშაულა. მას მერე ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები ჩიხში იყო შესული. საუბრების განახლება მხოლოდ წელს მოხერხდა.

■ ■ ■

**მაროკო.** გუშინ დილით მაროკოში მომხდარმა მიწისძვრამ ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ნანგრევებში უკვე ნაპოვნია 200-ზე მეტი დაღუპული, ვარაუდობენ, რომ მსხვერპლი 300-ს გადააჭარბებს. აშშ-ს გეოლოგიური ცენტრის ცნობით, მიწისძვრის სიმძლავრე 6.5 ბალი იყო რიხტერის შკალით. თუმცა, ევროპის სეისმოგრაფების მონაცემებით, მიწისძვრა 6.3 ბალს არ აღემატებოდა. მიწისძვრის ეპიცენტრი გიბრალტარის სრუტეში მდებარეობდა. მაროკოს ტურისტული კურორტი ალ ჰოკეიმა და მის გარშემო მდებარე სოფლები ყველაზე მეტად დაზიანდნენ. სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, ერთი სოფელი მთლიანად დაინგრა. მსხვერპლის სიმრავლე გამოიწვია იმან, რომ მაროკოს სოფლებში სახლები, ძირითადად, ტალახისგანაა აშენებული და ასეთ ძლიერ მიწისძვრას, ცხადია, ვერ გაუძლეს. მაროკოში ყველაზე დიდი მსხვერპლით 1960 წელს მომხდარი მიწისძვრა აღინიშნა. მაშინ იქ 12 ათასი ადამიანი დაიღუპა.

■ ■ ■

**ლიბია.** სენსაციად შეფასდა ლიბიის პრემიერ-მინისტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ 1988 წელს შოტლანდიის ქალაქ ლოკერბის თავზე მომხდარ თვითმფრინავის აფეთქებაში ლიბიას ბრალი არ მიუძღვის. შარშან ლიბიამ ოფიციალურად აღიარა ამ ტერაქტში მონაწილეობა და დაღუპულთა ოჯახებს კომპენსაციის სახით 2,7 მლრდ აშშ დოლარიც კი გადაუხადა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კომპენსაციის გადახდა არ ნიშნავს, რომ ლიბია დანაშაულს აღიარებს. შუქრი განემის სიტყვებით, მათ ამ ფულით დასავლეთისაგან მშვიდობა "იყიდეს". ლიბიელთა აზრით, სანქციების გამო ლიბია გაცილებით მეტად ზარალდებოდა. ეს განცხადება მოულოდნელი იყო დიდი ბრიტანეთის მთავრობისათვის, რომლის ურთიერთობებიც ამ აფრიკულ ქვეყანასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც ლიბიამ მასობრივი განადგურების იარაღზე უარი თქვა.

ბოლო დროს ლიბიის ლიდერი მოამარ კადაფი, საერთაშორისო იზოლაციიდან თავის დასაღწევად, ყველა დათმობაზე მიდის, თუმცა ამავდროულად, ცდილობს, ამ დათმობების მნიშვნელობა შეამციროს.

# ვლადიმირ პუტინმა მთავრობა დაითხოვა

რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტის გადაყენების თაობაზე ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად ვიცე-პრემიერი ვიქტორ ხრისტენკო დანიშნა.

**"ეს გადაწყვეტილება არ უკავშირდება მთავრობის წინა შემადგენლობის მუშაობის შედეგებს, რომელსაც მთლიანობაში დამაკმაყოფილებლად ვთვლი. გადაწყვეტილება ნაკარნახევია სურვილით, კიდევ ერთხელ დავაფიქსირო ჩემი პოზიცია, თუ როგორი იქნება ქვეყნის განვითარების კურსი 2004 წლის 14 მარტის შემდეგ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა პუტინმა.

**"მიმაჩნია, რომ რუსეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ, იცოდნენ ჩემი წინადადება სახელმწიფოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს შემადგენლობის შესახებ, პრეზიდენტად ჩემი არჩევის შემთხვევაში. სახელმწიფოებრივი და სოციალ-ეკონომიკური წინსვლა სწორედ მთავრობაზეა დამოკიდებული. ამიტომ მართებულად ვთვლი, სწორედ ახლა, არ დაველოდო საარჩევნო კამპანიის დასრულებას და გამოვაცხადო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს შემადგენლობა, რომელმაც თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობის ნაწილი ჩვენი ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე,"** - ახსნა რუსეთის პრეზიდენტმა თავისი გადაწყვეტილების მიზეზი.



*ვლადიმირ პუტინი მთავრობის დათხოვნის ბრძანებას აწერს ხელს.*

პუტინი პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას უახლოეს მომავალში წარუდგენს სახელმწიფო დუმას. დამტკიცებიდან ერთ კვირაში კი ახალი პრემიერ-მინისტრი ახალ კაბინეტს შექმნის. მანამდე კი, თავიანთი მოვალეობის შესრულებას ისევ ძველი მინისტრები განაგრძობენ. ასეთია ვლადიმირ პუტინის ორწუთიანი განცხადების შინაარსი.

რუსი პოლიტიკოსების ძირითადმა ნაწილმა ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა. ზოგმა კი საერთოდ უარი თქვა კომენტარის გაკეთებაზე. **"მე ასეთი ქმედების კომენტირებას არ ვაპირებ. ვთვლი, რომ ეს არის ხელისუფლების ნერვული კურსის გაგრძელება. ლოგიკურად ეს საკითხი არჩევნების შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო,"** - განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა ივან რიბკინმა.

საპრეზიდენტო არჩევნებში კომუნისტების კანდიდატი ნიკოლაი ხარიტონოვი კი პრეზიდენტის აღნიშნულ გადაწყვეტილებას საზოგადოებრივ აზრზე გათვლილ ნაბიჯად აფასებს.

# ჩინეთს რუსეთის ნავთობი სურს

ნიკა თარაშვილი

რუსეთს, ენერგორესურსების გამო, რიგ-რიგობით უფუჭდება ურთიერთობები მეზობლებთან. გასული კვირა ბელორუსისათვის ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხის ირგვლივ ატეხილი სკანდალით აღინიშნა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნავთობსადენის სხვადასხვა მარშრუტების ირგვლივაც რუსეთს არაერთი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. რუსეთი ერთ-ერთი უდიდესი ნავთობექსპორტიორია მსოფლიოში. მისი ნავთობის მოხმარების სურვილს, ევროპის გარდა, ჩინეთი და იაპონიაც გამოთქვამენ.

პეკინში არ მალავენ შეშფოთებას იმ ინფორმაციის გამო, რომ რუსეთი ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთთან დამაკავშირებელი ნავთობსადენის პროექტის შეჩერებას აპირებს.

დღეს ჩინეთში რუსეთისა და იაპონიის დელეგაციებს ელოდებიან, რომელთაც ჩრდილოეთ კორეის კრიზისის დარეგულირებისათვის გამართულ ექვსმხრივ მოლაპარაკებებში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

თუმცა, სავარაუდოდ, იაპონიისა და რუსეთის წარმომადგენლებს არამარტო ფხენიანის ბირთვულ ამბიციებზე მოუწევთ მსჯელობა. ორმხრივი საუბრები შეეხება იმასაც, თუ საით წავა ციმბირის ნავთობი - ჩინეთში თუ იაპონიაში. მოსკოვი არჩევანის წინაშე იდგა – პორტ ნახოდკის მარშრუტი იაპონიისა და აშშ-ს ბაზრებზე გასვლას გულისხმობს, ხოლო დაცინის მარშრუტით ნავთობი ჩინეთში წავიდოდა. ბოლოდროინდელი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთმა არჩევანი იაპონიაზე შეაჩერა. გასულ კვირას რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა, იგორ იუსუფოვმა განაცხადა, რომ მოსკოვს ურჩევნია, ნავთობსადენი წყნარი ოკეანის სანაპიროს მიმართულებით გაიყვანოს. ეს ნიშნავს, რომ ალტერნატიული პროექტი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ნავთობის გადაქაჩვას ითვალისწინებდა, სავარაუდოდ, უარყოფილი იქნება. ამ პროექტის ღირებულება, წინასწარი გათვლებით, 2,5 მლრდ დოლარს შეადგენდა.

ჩინეთი ბოლო დროს მსოფლიოში ნავთობის იმპორტიორთა შორის მეორე ადგილზე ინაცვლებს. ქვეყნის მზარდი ეკონომიკა ენერგორესურსების უწყვეტ მიწოდებაზეა დამოკიდებული. ამდენად, ნავთობსადენის მშენებლობის საკითხი, შესაძლოა, მოსკოვსა და პეკინს შორის დაძაბულობის მიზეზი გახდეს.

ნახოდკაზე არჩევანის გაკეთება, შესაძლოა, იმანაც განაპირობა, რომ ჩინეთის მარშრუტს "იუკოსის" ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი მიხაილ ხოდორკოვსკი ლობირებდა. თუმცა, ბევრი მიიჩნევს, რომ "იუკოსის" ფაქტორი გადამწყვეტი არ ყოფილა და ამ შემთხვევაში ორი ქვეყნის ურთიერთობების პოლიტიკური მომენტი აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. მოსკოვში ჩინელების მიერ რუსეთის ნაკლებად დასახლებული შორეული აღმოსავლეთის კოლონიზაციის საფრთხე უფრო აფიქრებთ. ამას გარდა, გავრცელდა ხმები, რომ იაპონიამ ნახოდკის პროექტის განხორციელების სანაცვლოდ, რუსეთს უფრო ხელსაყრელი ფინანსური პირობები შესთავაზა. ვარაუდობენ, რომ იაპონიამ რუსეთს ენერგეტიკის სფეროში გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივები დაუსახა და ქვეყნის ღარიბ რეგიონებში მრავალმილიარდიანი ინვესტიციების დაბანდებას დაჰპირდა. ამდენად, სამმხრივი მოლაპარაკებების შედეგისგან დამოუკიდებლად, უახლოეს მომავალში რუსეთისა და ამ ქვეყნების ურთიერთობებს ნავთობის სუნიც ექნებათ.

# ხაკამადა კანდიდატურის მოხსნით იმუქრება

რუსეთის საპრეზიდენტო კამპანიას შეიძლება ერთი კანდიდატი გამოაკლდეს. მემარჯვენე ძალთა გაერთიანების წარმომადგენელი ირინა ხაკამადა ამბობს, რომ მისი უფლებები სისტემატურად ირღვევა და, ამდენად, კამპანიის გაგრძელებას აზრი არ აქვს.

ირინა ხაკამადას ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ განცხადებაში საუბარია შვიდ ფაქტზე, რომლებიც, ხაკამადას თქმით, პრეზიდენტობის კანდიდატის კანონიერი უფლებების დარღვევაზე მიუთითებს.

პირველ ფაქტად ხაკამადა ასახელებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მისი და ნიკოლაი ხარიტონოვის სარჩელის უარყოფას. ამ სარჩელით ხაკამადა ტელეკომპანია "როსიას" უჩიოდა, რომელმაც, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით, პუტინის კამპანიის ამსახველი ნახევრსაათიანი სიუჟეტი გადასცა. მაშინ კომისიამ მიიჩნია, რომ რუსეთის სახელმწიფო ტელეარხები ქვეყნის მოსახლეობას მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას, ხოლო ინფორმირება ტელეარხების უმთავრესი დანიშნულებაა. ხაკამადა ცესკო-ს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა და მის სასამართლოში გასაჩივრებას აპირებს.

ხაკამადა ასევე მოითხოვს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატების სატელევიზიო მიმართვები პრაიმ-ტაიმში გადაიცეს, როგორც ამას კანონმდებლობა ითვალისწინებს. კანდიდატების გამოსვლები იმ დროს გადაიცემა, როცა მოსახლეობა სამსახურშია და ტელევიზიის საყურებლად დრო არ აქვს. საინტერესოა, რომ პუტინმა სახელმწიფო საეთერო დროის გამოყენებაზე უარი თქვა. ამისთვის მას, როგორც ჩანს, დრო არ ჰყოფნის.



REUTERS

*ირინა ხაკამადა*

ხაკამადას აღშფოთებას იწვევს ისიც, რომ ცესკო-ს სარეკლამო რგოლში გამოყენებულია პუტინის მომხრე "ერთიანი რუსეთის" წინასაარჩევნო კლიპის მასალები, რაც მოსახლეობაში, ცხადია, პუტინთან ასოციაციებს იწვევს. ანუ, საარჩევნო კომისია არჩევნების ნაცვლად, ფაქტობრივად, პუტინს უწევს რეკლამას.

ხაკამადა ამბობს, რომ 23 თებერვალს მისი მომხრეები მოსკოვში ორი მიტინგის გამართვას აპირებდნენ, სადაც მთავარი თემა ჩეჩნეთის ომი და ჩეჩნების დეპორტაციის 60 წლისთავი იყო. მოსკოვის ხელისუფლებამ აქციების გამართვაზე სანქცია არ გასცა. ხაკამადა ასევე ირწმუნება, რომ ერთ-ერთი დაწესებულების ხელმძღვანელებმა მას ამომრჩეველთან შესახვედრად დარბაზის გამოყენებაზე უარი უთხრეს.

"საპრეზიდენტო კამპანიაში სულ უფრო იზრდება უკანონობა და ტყუილი. ამგვარ პირობებში იდეებითა და პროგრამებით პაექრობა აზრს კარგავს. თუ ვითარება უახლოეს ხანებში არ შეიცვალა, ჩემს კანდიდატურას მოვხსნი," – ამბობს ხაკამადა და ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ სხვა კანდიდატებსაც მოუწოდებს.

ირინა ხაკამადამ საკუთარი კანდიდატურა დამოუკიდებლად წარადგინა, მაგრამ იგი მემარჯვენე ძალების მხარდაჭერით სარგებლობს. ნახევრადიაპონელი ხაკამადა პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის რღვევის ბოლო ეტაპზე გამოჩნდა და მუდამ ლიბერალების ბანაკში მოიაზრებოდა. გასული წელს, დუმის არჩევნებში მემარჯვენეების მარცხი მოწმობს, რომ ხაკამადას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მინიმალური შანსიც კი არ აქვს. ამდენად, მის განცხადებას რუსეთში ისეთივე რეზონანსი ექნება, როგორიც ცოტა ხნის წინ ივან რიბკინის გაუჩინარებას ჰქონდა.

# პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე ბინ ლადენს ეძებენ



*ბინ ლადენი*

პაკისტანი ბოლო დღეებში ავღანეთთან საზღვრის გასწვრივ "ალ-ქაიდასა" და "თალიბანის" მებრძოლების ძებნას ააქტიურებს. გუშინ რეგიონში კიდევ ერთი სამხედრო ოპერაცია ჩატარდა. ოპერაციაში ვერტმფრენები და სპეცდანიშნულების რაზმები მონაწილეობდნენ. აქციის შედეგები ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა, ვარაუდობენ, რომ ოპერაციის მთავარი სამიზნე ოსამა ბინ ლადენი უნდა იყოს.

ახლახან, ბრიტანული გამოცემა "სანდი ექსპრესი", აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში არსებულ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ოსამა ბინ ლადენის ზუსტი ადგილსამყოფელი უკვე დადგენილია. მის ადგილსამყოფელად სწორედ პაკისტან-ავღანეთის საზღვრის მთიანი რაიონები სახელდებოდა. გაზეთის ცნობით, იქვე იმყოფება მოძრაობა "თალიბანის" ლიდერი მოლა ომარიც.

ისლამაბადში არ ადასტურებენ, რომ აქციის უშუალო სამიზნე ბინ ლადენია. პაკისტანის ხელისუფლების მტკიცებით, ოპერაცია უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს და მისი მიზანი ტერორიზმში ეჭვმიტანილი პიროვნებების დაკავებაა. ადრე ხელისუფლებამ რეგიონში მცხოვრები თემების ლიდერებს ძებნილი პირების გადაცემა მოსთხოვა. ულტიმატუმის შემდეგ 58 ადამიანი დააკავეს, ხოლო 38-ს კიდევ ეძებენ. პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა თემის უხუცესებს აღუთქვა, რომ, მათ, ვინც ხელისუფლებას საკუთარი ნებით ჩაბარდება, ამერიკელებს არ გადასცემენ. პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ხურშიდ კასურიმ კი თქვა, რომ ტერორისტებს ამერიკელებს გადასცემენ.

პაკისტანელები ოპერაციაში ამერიკელი სამხედროების მონაწილეობას უარყოფენ. თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს, რომ მათ რეგიონში აშშ სპეცდანიშნულების რაზმები შეამჩნიეს. ისლამაბადი და ვაშინგტონი "სანდი ექსპრესის" ინფორმაციასაც უარყოფენ. **"ჩვენ რომ ვიცოდეთ, ავღანეთში სად აფარებს თავს ბინ ლადენი, მას იმავე წამს დავაკავებდით. ის რომ პაკისტანში იყოს, პაკისტანელებიც ასევე მოიქცეოდნენ,"** – თქვა ავღანეთში აშშ-ს სამხედროების პრესმდივანმა ბრაიან ჰილფერტიმ.

ბინ ლადენის ალყაში მოქცევა უარყო "თალიბანის" წარმომადგენელმა მოჰამად საითულ ადელმა. მან გავრცელებულ ინფორმაციას "აშშ-ს პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი" უწოდა. "ალ-ქაიდას" ლიდერები თავს კარგად გრძნობენ და აშშ-სა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ახალ აქციებს გეგმავენ," - განაცხადა ადელმა. პარალელურად, არაბულმა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" ბინ ლადენის უახლოესი თანამებრძოლის, აიმან ალ ზავაჰრის აუდიოჩანაწერი გადასცა, რომელშიც იგი ჯორჯ ბუშს ახალი თავდასხმებით დაემუქრა. მისივე მეორე აუდიოჩანაწერი გადასცა კიდევ ერთმა არაბულმა ტელევიზია "ალ-არაბიამ". ამ გამოსვლაში ალ ზავაჰრი საფრანგეთში რელიგიური სიმბოლოების აკრძალვას გამოეხმაურა და ეს კანონი მუსლიმებზე ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებას შეადარა. მიმართვაში მან ტრადიციულად აშშ, დიდი ბრიტანეთი და მათი მოკავშირეები შეაჩვენა. ალ ზავაჰრიმ დაგმო იმ ისლამური ქვეყნების მთავრობებიც, რომლებიც დასავლეთთან მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობენ და საკუთარი მოსახლეობის ვესტერნიზაციას ცდილობენ. "ამერიკა თავის თავს უფლებას აძლევს, მოკლას ან დააკავოს ნებისმიერი ადამიანი და ნებისმიერ ადგილას ნებისმიერი ვადით განათავსოს... ყველა ეს დანაშაული მორალურ უპირატესობას ანიჭებს ანტისიონისტურ მოძრაობას," – ამბობს ალ ზავაჰრი.

ეს განცხადებები მოწმობს, რომ "ალ-ქაიდას" საბრძოლო სულისკვეთება ისევ ურყევია. მიუხედავად ამისა, პაკისტანის გააქტიურება ავღანეთთან სასაზღვრო მონაკვეთში უნდა მიუთითებდეს, რომ "სანდი ექსპრესის" ინფორმაცია მთლად უსაფუძვლო არაა. მით უფრო, რომ აშშ უახლოეს მომავალში ბინ ლადენის შეპყრობას არ გამორიცხავს.


## ვიტამინები თქვენს ბავშვებთან ერთად იზრდებიან




ბავშვებს ზრდის პერიოდში ვიტამინები და მინერალები ყოველდღიურად ესაჭიროებათ. პიკოვიტის სხვადასხვა ფორმები შემუშავებულია მზარდი ორგანიზმის მოთხოვნების შესაბამისად.

პიკოვიტი სიროფის მიცემა ბავშვისათვის შესაძლებელია 1 წლის ზემოთ. სიროფის შემადგენლობაში შედის ნატურალური ხილის ექსტრაქტები და ამის გამო ბავშვებს განსაკუთრებულად უყვართ ის.

პიკოვიტის შემოგარსული აბები, რომლებიც ვიტამინებთან ერთად დამატებით შეიცავენ კალციუმსა და ფოსფორს, განსაზღვრულია ბავშვებისათვის 4 წლიდან. პიკოვიტის ახალი ფორმებია: პიკოვიტი D ბავშვებისათვის 4 წლიდან და პიკოვიტი ფორტე სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის.

პიკოვიტი ფორტეს ერთი შემოგარსული აბი უზრუნველყოფს 11 ვიტამინის დღიურ ნორმას.

პიკოვიტი D და პიკოვიტი ფორტე არ შეიცავენ შაქარს და არ აზიანებენ კბილებს. დამატებით, ისინი არ შეიცავენ მღებავ ნივთიერებას, რომელსაც შეუძლია ალერგიის გამოწვევა.

პიკოვიტის პროდუქტები შესაძლებელია მიეცეთ ბავშვებს როგორც ყოველდღიური საკვების დანამატი, განსაკუთრებით გონებრივი და ფიზიკური გადატვირთვის, ავადმყოფობის ან უმადობის დროს. ეს პროდუქტები უზრუნველყოფენ ჩვენს ბავშვებს ყველა საჭირო ვიტამინით, რაც აუცილებელია მათი ჯანმრთელი განვითარებისათვის.

KRKA ქრკა

პიკოვიტი დიდი და პატარა ბავშვებისათვის

# მანანა შევარდნაძე: "მოვითხოვ, რომ პრეზიდენტი ჩვენი ოჯახის მიმართ იყოს კორექტული და ეთიკური!"

**- ქალბატონო მანანა, თქვენი მეუღლის დაპატიმრება ბოლო დღეებში მედიისთვის მთავარ თემად იქცა. როგორ აფასებთ იმ ბრალდებას, რომლის საფუძველზეც სასამართლომ გია ჯოხთაბერიძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა?**

- მთავარი ბრალდება არის გადასახადების დიდი ოდენობით დამალვა. მაგრამ თავად ბრალდება, მე მგონი, ძალზე სუსტია და არაკვალიფიციურადაა შედგენილი. საქმე მხოლოდ იურიდიულ ტერმინოლოგიაში არაა. დოკუმენტი ძალზე ბევრ ურთიერთგამომრიცხავ დებულებას შეიცავს და საკმაოდ გაუმართავია.

**- რა თანხაზეა საუბარი?**

- თუ სწორად მახსოვს, ლაპარაკია 720 000 ლარზე.

**- საიდანაა შედგენილი ეს თანხა?**

- იმ 51 პროცენტში, რომლის მფლობელიც "მაგთიკომში" ამჟამად გიაა, თავიდან იყო ფირმა "G-კომი". დაახლოებით ერთი წლის წინ გიამ გამოისყიდა ეს წილი. საბრალდებო დასკვნაც ამ ურთიერთობებზეა შედგენილი. აგრეთვე, საუბარია "G-კომის" კუთვნილ რაღაც შენობაზე თუ შენობებზე. მე ამაში ცუდად ვერკვევი, მაგრამ როგორც ჩვენი ადვოკატები ამბობენ, ეს ბრალდება სრული აბსურდია და იურიდიულად აშკარა ნონსენსია. მისი საშუალებით ბრალის დამტკიცება ყოვლად შეუძლებელია და იმედი მაქვს, გამოძიების პროცესში გაირკვევა ყველაფერი.

**- რამდენი ადვოკატი დაიცავს გია ჯოხთაბერიძეს და თუ არის ჩამოყალიბებული დაცვის სტრატეგია?**

- დაცვის სტრატეგია ახლა ყალიბდება, რადგან ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ველოდით მოვლენათა ასეთ განვითარებას. მართალია, გია ორჯერ დაკითხეს მოწმის სახით, მაგრამ იმდენად აბსურდული გვეგონა გიას დაპატიმრება, რომ ამაზე არც კი გვიფიქრია. ადვოკატი უკვე გვყავს, მაგრამ მიმდინარეობს მოლაპარაკება უცხოურ ფირმებთან, რათა ევროპელი ადვოკატებიც დავიქირავოთ. ძირითადი მონაცემები და დოკუმენტაცია გადაგზავნილია ამერიკულ საადვოკატო ფირმებშიც; ისინი მუშაობენ და უახლოეს მომავალში ჩამოვლენ.

**- თვითონ პარტნიორი კომპანია - "მეტრომედია" თუ აპირებს რაიმე სახით ამ პროცესში ჩართვას?**

- თავიდან, როდესაც ეს გამოძიება დაიწყო, საგამოძიებო ორგანოები საყოველთაო, შეიძლება ითქვას, ტოტალურ შემოწმებას ატარებდნენ "მაგთიკომში". მათ ეგონათ, რომ გია კომპანიაში იყო იურიდიულად პასუხისმგებელი პირი. მოგვიანებით "აღმოაჩინეს", რომ გია არის დამფუძნებელი და იგი პასუხს არ აგებს კომპანიის ფინანსურ ოპერაციებზე. ამაზე პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი. ამის შემდეგ დაიწყო ნაჩქარევი ძიება იმ საბაბისა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა გიას დაკავება. ამიტომაც არის ასე სასწრაფოდ შედგენილი საბრალდებო დასკვნა - ასეთი უაზრო და აბსურდული; ამიტომაცაა ასე დარღვეული თავად დაკავების პროცედურაც. ამის თაობაზე დაწვრილებით, ალბათ, ჩვენი ადვოკატები ისაუბრებენ.

**- ხომ არ გგონიათ, რომ არსებულ ვითარებაში შეცდომა იყო ამერიკაში გამგზავრება?**

- გია შინაგანად იმდენად პატიოსანი ადამიანია, რომ, სამწუხაროდ, ვერ წარმოიდგინა, თუ დააპატიმრებდნენ. დაკითხვებზე მას იბარებდნენ მოწმის სახით, მოწმეს კი, იურიდიულად, გადაადგილების სრული თავისუფლება აქვს. სიცრუეა პროკურორის განცხადება, რომ გია გაფრთხილებული იყო გაუსვლელობის შესახებ. ამგვარი გაფრთხილება არ ყოფილა, არც სიტყვიერად და არც წერილობით.

**- მაგრამ ითქვა ისიც, რომ ბილეთი დაიჯავშნა გვარის მიუთითებლად და აეროპორტშიც, გაფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე მივიდა...**

- ზუსტად არ ვიცი, ბილეთი, შეიძლება, მართლაც გვარის მიუთითებლად დაიჯავშნა, მაგრამ ბილეთი მან დღისით აიღო - რასაკვირველია, შუაღამისას ვერ აიღებდა. თუმცა ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს - გია გაფრინდებოდა თუ არ გაფრინდებოდა, მას მაინც დაიჭერდნენ. საერთოდ, ეჭვი მაქვს, რომ იგი სპეციალურად არ გააფრთხილეს, რათა ვითომდა გაქცევის საბაბით დაეჭირათ. თანაც, რა ფორმით დააპატიმრეს? - კაცს უკვე გადალახული აქვს საზღვარი, ასულია თვითმფრინავში... რა, მანამდე არ შეეძლოთ დაპატიმრება?

**- იქნებ ესეც სწორედ იმ ეგრეთ წოდებული ტელედაჭერების გამო მოხდა...**

- რასაკვირველია, ეს იყო სანახაობა. ხომ შეეძლოთ, მანქანიდან გადმოსვლისას აეყვანათ. გამომძიებელმა ქაჩიბაიამაც არაერთხელ უთხრა, რომ მას ქვეყნიდან გასვლა შეეძლო. რატომ? იმიტომ რომ შემდეგ ეს შოუ მოეწყოთ.

**- ერთ-ერთ ჟურნალისტთან საუბარში თქვენ თქვით, რომ თქვენი ოჯახი განიცდის პოლიტიკურ ზეწოლას და არ გამორიცხავთ, პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვოთ; მაგრამ იქვე არ ისურვეთ იმაზე საუბარი, თუ რით გამოიხატება ეს პოლიტიკური ზეწოლა. ახლა ხომ არ დააკონკრეტებდით?**

- ასეთი ზეწოლა ნამდვილად არის, მაგრამ ის აშკარად არ ჩანს. უფრო მეტად ჩანს ამჟამინდელი ხელისუფლების დამოკიდებულება ჩვენი ოჯახისადმი; არა მხოლოდ იმით, რომ ჩვენი პრეზიდენტი, რომელიც ხალხმა 96 პროცენტით აირჩია, მომენტს არ უშვებს, შევარდნაძე გალანძღოს, არამედ, არსებობს დეტალები, დეტალებიც არა, მნიშვნელოვანი მომენტები, რომელთა შესახებ არც ამჯერად მსურს საუბარი. შევარდნაძე გადადგა. შეიძლებოდა მოვლენები სხვაგვარადაც განვითარებულიყო, მაგრამ ის სისხლის დაღვრას მოერიდა. წავიდა ეს ადამიანი. ეს გუნდი ხომ ოთხი წელიწადი ცდილობდა მის გადაყენებას; ახლა მაინც დაანებონ თავი! მით უმეტეს, ორივე ლიდერი ამბობდა, რომ უზრუნველყოფენ მის ხელშეუხებლობას, საყოფაცხოვრებო პირობებს და ა.შ.

ერთ ელემენტარულ რამეს ვიტყვი მხოლოდ: ამდენი ხნის განმავლობაში არ არის განსაზღვრული გადამდგარი პრეზიდენტის სტატუსი და მდგომარეობა. ვთქვათ, აქვს თუ არა იმუნიტეტი; ენიშნება თუ არა პენსია - ის 14 ლარი მაინც, ან უფრო მეტი; რა ეკუთვნის მას ან რა არ ეკუთვნის; დაცვა არის, მაგრამ ისიც თანდათან მცირდება და ა.შ. რატომ უნდა ამყოფონ ეს ხანშიშესული ადამიანი მუდმივად სტრესის ქვეშ? ან ის რას ნიშნავს, როცა აცხადებენ, რომ შევარდნაძეს არ დაიჭერენ და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება? ეს ხომ სიცოცხლის წვეთ-წვეთად მოსწრაფებაა. როდესაც მისი ოჯახის წევრს იჭერენ, ეს ხელშეუხებლობის დამადასტურებელია?

**- რა რეაქცია ჰქონდა ედუარდ შევარდნაძეს სიძის დაპატიმრებაზე?**

- რასაკვირველია, ძალიან განიცადა და აღიქვა, როგორც შევარდნაძის ოჯახის წინააღმდეგ მიმართული აქცია. გარდა ამისა, "მაგთიკომი" არის საათივით აწყობილი, ამერიკულ ყაიდაზე გამართული კომპანია და არ არის გამორიცხული, ან მისი ხელში ჩაგდება, ან საერთოდ გაჩერება უნდოდეთ.

**- კონკრეტულად თუ იცით, ვის უნდა "მაგთიკომის" ხელში ჩაგდება?**

- ასეთი ადამიანები არიან, მაგრამ არ მინდა დავარღვიო მათი, ასე ვთქვათ, უდანაშაულობის პრეზუმპცია და წინასწარ განვაცხადო სახელები.

**- "მაგთიკომი" მართლაც მდიდარი და წარმატებული კომპანიაა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეს წარმატება მიღწეულია იმით, რომ გია ჯოხთაბერიძე სარგებლობდა პრეზიდენტის სიძეობით...**

- ეს აბსურდია. გია ნამდვილი ბიზნესმენია და ამ მხრივ იგი ნამდვილი მებრძოლია. რაც შეეხება შევარდნაძის შიშს - ვის ეშინოდა შევარდნაძის? მე მგონი - არავის. თანაც, შევარდნაძე ყოველთვის ყველას აფრთხილებდა, რომ ჩემს ნათესავებს არავითარი შეღავათი არ გაუწიოთო. საჯაროდ ხდებოდა ეს და ასეთი ცილისწამება უნდა დამთავრდეს.

ერთადერთი ის შემიძლია ვთქვა, რომ გია არის ძალიან აქტიური, ცოტა აგრესიულიც, კარგი გაგებით. ახლა ტელეკომის ხელმძღვანელი რომ ამბობს, მაგინებდაო, ვთქვათ ასეა, მაგრამ ამის გულისთვის ხომ არავის იჭერენ?! რაც არ უნდა ეგინებინა, რატომ აკეთებდა თავისი კომპანიის საწინააღმდეგოს? თავადაა დამნაშავე და პასუხიც უნდა აგოს. იგივე შემიძლია ვთქვა იაშვილზეც. თვითონ ხელისუფლება უბიძგებს მათ აქეთკენ - ე.წ. ჩაშვების ინსტიტუტით. იგივე მოტივაციით მოქმედებს "G-კომიც". მგონი მისი დირექტორიც დაიჭირეს და იძულებულია, მისცეს ცრუ ჩვენება, იმიტომ, რომ ეშინია. ეს ტერორია.

**- არაქართულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია ბადენ-ბადენის სახლზე. ამას წინათ პრეზიდენტმა შევარდნაძე-ჯოხთაბერიძეების 350 მილიონი დოლარის ქონებაც ახსენა. საიდან ჩნდება ეს ციფრები თუ ლეგენდები?**

- მე მგონი, ამაზე სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები მუშაობენ, ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსის დახმარებით. ბადენ-ბადენი ვინ გამოიგონა, არ ვიცი - ეს სრული სისულელეა. ან დაუფიქრდით თანხას - 350 მილიონი. წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა ფულია? წარმოუდგენელია, ფანტასტიკურია. სად არის ეს ფული, ვისა აქვს?

ვფიქრობ, რომ პრეზიდენტს ჰყავს არასწორი ინფორმატორები. ადრე შევარდნაძეზე ამბობდნენ ამას და ახლაც, მგონი, ასე გრძელდება. ალბათ პრეზიდენტს უთხრეს, რომ "მაგთიკომის" ქონება შეადგენს ამდენს. 350 მილიონის არ არის, მაგრამ კომპანიის ქონება საკმაოდ დიდი ციფრით გამოისახება. ეს კი ის უზარმაზარი ქსელია, რომელიც სერიოზული ინვესტიციების და დიდი შრომის ფასად აიგო. თუნდაც მაღალმთიან რაიონებში გადამცემების დამონტაჟება რად ღირს. ეს ხომ კომპანიისთვის წამგებიანი იყო. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ქონების ღირებულება, რომლის ნახევარიც ამერიკელებს ეკუთვნით, სადღაც დევს.

ქონება, რა თქმა უნდა, გვაქვს. აი, ეს სახლი არსებობს საგურამოში, ატენის ქუჩაზეც გვაქვს ბინა...

**- ბატონი ედუარდი, ამ ბოლო დროს, ძალიან ლოიალურ განცხადებებს აკეთებდა ახალი ხელისუფლების მიმართ. ახლა რას ამბობს - ისიც ფიქრობს, რომ პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდება?**

- შევარდნაძე არის დიდი პოლიტიკოსი. რაც უნდა მოხდეს, რა პიარიც არ უნდა აუგორონ, ის ისტორიაში დიდ პოლიტიკოსად დარჩება. მამაჩემი ახლაც მოერიდება პოლიტიკურ შეფასებას, მაგრამ მომავალში რა იქნება, არ ვიცი.

**- 70-იანი წლების დასაწყისში, როცა შევარდნაძე გახდა საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანი, მანაც კორუფციასთან ბრძოლით და დაჭერებით დაიწყო. პარალელებს ხომ ვერ ხედავთ დღევანდელ სიტუაციასთან?**

- შეიძლება მაშინაც მოჰყვა უდანაშაულო ხალხი, მაგრამ პარალელს მაინც ვერ ვხედავ. ის ხომ სულ სხვა წყობა იყო. მაშინ ამას ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა ერქვა და მიმართული იყო ე.წ. კომბინატორების წინააღმდეგ. იმ წყობაში ბიზნესი არ არსებობდა. ხალხი მდიდრდებოდა სახელმწიფოსთვის ფულის მოპარვით. არა, ამის შედარება არ შეიძლება.

ამასთან, ერთმანეთს ვერ შევადრი შევარდნაძეს და სააკაშვილს. შევარდნაძე შურისმაძიებელი არასოდეს ყოფილა. გაიხსენეთ, რაიმე ცუდი თუ აქვს ნათქვამი თავის წინამორბედზე. ესენი კი, რატომ არიან ასე გაბოროტებულები, ვერ ვხვდები. ჩართეთ საინფორმაციო გადაცემები და უსმინეთ პრეზიდენტს. ერთ-ერთ ინტერვიუში მან პირდაპირ თქვა, რომ უნდა დავანგრიოთ შევარდნაძის კლანი. გამოდის, რომ მე ვარ კლანი. სხვათაშორის, იგივე ბრალდებით გამოდიოდა იგორ გიორგაძეც, რომელმაც, მაგალითად, თქვა, რომ მე ვაკონტროლებ მთელ მედიას. გიორგაძისგან ეს არ მიკვირს, მაგრამ მიკვირს ჩემი პრეზიდენტისგან, რომელიც თავის მოქალაქეზე ამბობს, მის ლაპარაკზე გული მერევაო.

ამიტომაც, მე მოვითხოვ, რომ პრეზიდენტი ჩვენი ოჯახის მიმართ იყოს კორექტული და ეთიკური! გარდა ამისა, მოვითხოვ, რომ დაცული იყოს როგორც შევარდნაძეების, ისე ჯოხთაბერიძეების ოჯახის უსაფრთხოება. რაიმე ექსცესის შემთხვევაში, მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დაეკისრება. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვაცნობეთ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს.


მანანა შევარდნაძე.

# რეპრესირებულთა შთამომავლები მერიას უჩივიან

ნანა ქადაგიშვილი

*საზოგადოება "მემორიალის" წევრები თბილისის მერს ვანო ზოდელავას 3 წლის წინათ გაყიდულ შენობას სთხოვენ. მერია მათ შევჩენკოს ქ. №5-ში მდებარე შენობის პირველი სართულის სსრკ-ს დროს რეპრესირებულთა მუზეუმისთვის გადაცემას შეჰპირებია. თუმცა, დღეს ეს შენობა თბილისის ომის დროს დაზარალებულ მოქალაქეს ეკუთვნის.*

**"არსებობს 1989 წლის საქართველოს მაშინდელი მთავრობის დადგენილება და 1992 წლის 25 მაისის დეკრეტი, რომელთა თანახმადაც, თბილისის მუნიციპალიტეტს რეპრესირებულთა ხსოვნის უზრუნველსაყოფად ღონისძიებების განხორციელება ევალება. ამის მიუხედავად, თბილისის მერიამ მუზეუმისთვის 200 კვადრატული მეტრი ფართის შენობა ვერ გაიმეტა,"** – აცხადებს "მემორიალის" თავმჯდომარე ზურაბ რცხილაძე.

3-4 წლის წინათ "მემორიალის" წევრებს პრეზიდენტ შევარდნაძისთვის განცხადებით მიუმართავთ და საბჭოთა პერიოდში რეპრესირებულთა მუზეუმისთვის შენობის გამოყოფა უთხოვიათ. შევარდნაძეს ეს საქმე ზოდელავასთვის დაუვალებია. ეს უკანასკნელი კი "მემორიალის" წარმომადგენლებს ყოფილი სუკის ტერიტორიაზე ახლად აშენებული შენობის პირველ სართულს შეჰპირებია. **"მერიის სხდომებზე ეს საკითხი რამდენჯერმე გაიტანეს განსახილველად, მაგრამ არ დაამტკიცეს, რადგან შეპირებული შენობის აუქციონზე გაყიდვას აპირებდნენ. ტენდერი სპეციალურად წინასაახალწლოდ, 28 დეკემბერს გამოაცხადეს, რათა ჩვენ არაფერი გაგვეგო,"** - აცხადებს "მემორიალის" ყოფილი თავმჯდომარე მინდია სალუქვაძე.

შევჩენკოს ქ.№5-ში მდებარე შენობა აუქციონზე თბილისის ომში დაზარალებულ მოქალაქეს მერი რამიშვილს მიყენებული მატერიალური ზარალის საფასურად გადაეცა. **"1997-2000 წლებში მუნიციპალიტეტმა, თბილისის ომში დაზარალებულთა ბინებით დაკმაყოფილების გარდა, მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებაც ითავა. მერიას დაზარალებულებისთვის ზარალი ან ფულით უნდა აენაზღაურებინა, ან მის სანაცვლოდ, არასაცხოვრებელი შენობები გადაეცა. მერიამ დაზარალებულ მერი რამიშვილს, მატერიალური ზარალის საფასურად, შევჩენკოს ქ.№5-ში მდებარე შენობა, აუქციონის წესით, მისცა,"** – განმარტავს დაზარალებულ თბილისელთა კონტროლის კომისიის ხელმძღვანელი ნინო ჯანდიერი.

ასეთივე განმარტებას იძლევა მერიის ქონების მართვისა და პრივატიზების სამართველო. **"მერია "მემორიალის" წევრებს შენობის მიცემას კი შეჰპირდა, მაგრამ აღნიშნული შენობა დაზარალებულებისთვის იყო აშენებული და მოქალაქეებმა ერთი ამბავი ატეხეს. მერიას ფული არ ჰქონდა, რომ მათთვის ზარალი აენაზღაურებინა, ამიტომ შენობა აუქციონზე გაიტანა და ერთ-ერთ დაზარალებულს მატერიალური ზარალის საფასურად მისცა,"** – აცხადებს სამმართველოს წარმომადგენელი ზურაბ ლომინაძე.

"მემორიალის" წევრების უკანასკნელი იმედი ახალი პრეზიდენტია. **"მიხეილ სააკაშვილმა რეპრესირებულთა შესახებ კანონი პარლამენტში "კბილებით გაიტანა". იმედი გვაქვს, რომ იგი რეპრესირებულების შთამომავალთა თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებს და მუზეუმის გახსნაში დაგვეხმარება,"** – აცხადებენ "მემორიალის" წარმომადგენლები.

# პროკურატურის შეტევა მეტალურგიულ კომბინატზე და რუსთაველი ჭორები

მაია მოსიაშვილი

ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურამ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საქმეზე მუშაობა ათი დღის წინ დაიწყო. დღეისათვის ამ უწყებას ორი საქმე აქვს აღძრული: "რმკ"-ს ხელმძღვანელი მუშაკების მხრიდან 1997-2003 წლებში ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულებრივ ფაქტებზე და, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, სხვისი ქონების მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე.

პირველ საქმესთან დაკავშირებით მხარის პროკურორი მამუკა ცაავა კომენტარს არ აკეთებს. ის არც მითვისება-გაფლანგვაზე ეჭვმიტანილ ხელმძღვანელ პირებს ასახელებს. არსებობს მხოლოდ მინიშნება, რომ საქმეში ქარხნის დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ფიგურირებენ.

"24 საათისათვის" ცნობილი გახდა ამ საქმის ერთი დეტალი - პროკურატურა დაინტერესდა კომბინატის ბალანსზე არსებული ავტომანქანებით და უკვე ამოიღო კიდეც ოთხი მანქანა: "მერსედესი", "ტოიოტას" ჯიპი და ორი ჟიგული - 09 და 07. წინასწარი ინფორმაციით, ეს მანქანები ქარხნის ბალანსზე იმყოფებოდა, თუმცა, პარალელურად, კერძო პირების საკუთრებად იყო გაფორმებული. მათ შორის, ყველაზე ძვირადღირებული, "ტოიოტას" მარკის ჯიპი, ქარხნის ყოფილ გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ირაკლი ჟორდანიას ეკუთვნოდა. ჟორდანიას ავტომანქანა ჩამოართვეს.

1997-2003 წლებში რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა სამი გენერალური დირექტორი გამოიცვალა: ვახტანგ ჭეიშვილი, ირაკლი ჟორდანია და ნოდარ ღვამბერია. რომელ მათგანზე გააკეთებს აქცენტს გამოძიება, უცნობია. წინასწარი ინფორმაციით, ყველაზე მეტი მასალა ჟორდანიას წინააღმდეგაა მოძიებული.

ირაკლი ჟორდანია კომბინატს 1999-2002 წლებში ხელმძღვანელობდა, 2003 წელს ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო, 2004 წლიდან კი იტალიური "არესის" პარტნიორი და შპს "რუსთავი არეს მეტალურგიული კომბინატის" გენერალური დირექტორი. გუშინ ირაკლი ჟორდანია სამსახურში არ გამოცხადებულა. როგორც "24 საათს" კომბინატში განუმარტეს, ის შეუძლოდ გახდა.

მამუკა ცაავას თქმით, პროკურატურამ სისხლის სამართლის მეორე საქმე, "რმკ"-ს ქონების გაფლანგვის ფაქტთან დაკავშირებით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღძრა. "ბოლო ათი დღის განმავლობაში ვიბარებთ ეჭვმიტანილს - "რმკ"-ს კომერციულ დირექტორს თამაზ შათირიშვილს, რომელიც დაკითხვაზე მოსვლას თავს არიდებს. ბოლო ინფორმაციით, მას დატოვებული აქვს ქვეყნის ტერიტორია. თუ შათირიშვილი რამდენიმე დღეში პროკურატურაში არ გამოცხადდა, მასზე ოფიციალურად ძებნა დაიწყება," - აცხადებს მხარის პროკურორი.

"24 საათის" ინფორმაციით, თამაზ შათირიშვილი საქართველოში, მართლაც, არ იმყოფება. ის, როგორც შპს "რამკ"-ის ერთ-ერთი დირექტორი, შუა აზიაშია მივლინებული. პროკურატურის მხრიდან გაკეთებული განცხადებების შემდეგ კი, შესაძლოა, ის აღარც დაბრუნდეს სამშობლოში.

ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორი აცხადებს, რომ მეტალურგიის საქმესთან დაკავშირებით მალე ბევრი დეტალი გახდება ცნობილი და კიდევ რამდენიმე ადამიანის ბრალი გამოიკვეთება. ის ადასტურებს იმასაც, რომ გამოძიებას ვახტანგ ჭეიშვილის წინააღმდეგაც აქვს ფაქტები. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რადგან ჭეიშვილი პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის სიმამრია და ცოტა ხნის წინ მან მამალაძისთვის წართმეულ "რუსთავცემენტში" თანამდებობა მიიღო.

სამართალდამცველებმა საქმის ძიება ახლახან დაიწყეს, საზოგადოებაში კი უკვე გაჩნდა ეჭვი, რომ პროკურატურა გარკვეულ პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებს, ხოლო ახალ ხელისუფლებას, ამ გზით, მეტალურგიულ კომბინატში საკუთარი კადრებისა და ინტერესების ჩანაცვლება სურს.


# ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (EBRD) "საქართველოს ბანკში" მცირე ბიზნესის დაკრედიტების ახალ პროგრამას იწყებს

24 თებერვალს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) "საქართველოს ბანკში" ახალი საკრედიტო პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომელიც მცირე ბიზნესისათვის სესხების გაცემას ითვალისწინებს. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ცერემონიალი "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში გაიმართა. EBRD-ის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მცირე ბიზნესის დაკრედიტების პროგრამის კოორდინატორმა მიხეილ კორტენბუშმა, "საქართველოს ბანკის" მხრიდან - მისმა გენერალურმა დირექტორმა ელგუჯა სილაგაძემ.

პროექტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სახელით განხორციელდება "საქართველოს ბანკის" წარმომადგენლების მიერ. თანამშრომლობა მოიცავს ყველა იმ სფეროსა და დეპარტამენტებს, რომელებიც პირდაპირ ან არაპიდაპირ არიან ჩართული პროექტის მიზნების რეალიზების პროცესში.

ხელმოწერის ცერემონიალზე, რომელსაც "საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი ვლადიმერ პატეიშვილიც ესწრებოდა, პარტნიორებმა იმედი გამოთქვეს, რომ ახალი პროექტი ისეთივე წარმატებით განხორციელდება, როგორც EBRD-სა და "საქართველოს ბანკს" შორის მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი სხვა პროექტები.

- დღეს გაფორმებული ხელშეკრულება საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო დავხვეწოთ მცირე ბიზნესის დაკრედიტების პროგრამები, რაც ხელშემწყობ როლს შეასრულებს როგორც ჩვენთვის და ჩვენი პარტნიორებისათვის, ისე მცირე მეწარმეებისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისათვის, - განაცხადა ბატონმა ელგუჯა სილაგაძემ.

აღნიშნული პროგრამის ამოქმედების შედეგად "საქართველოს ბანკისა" და EBRD-ის ერთობლივი ძალისხმევით დაიხვეწება და თანამედროვე ნორმებს კიდევ უფრო დაუახლოვდება ის პროცედურები, რომლებიც მცირე ბიზნესის ამა თუ იმ სფეროზე სესხების გაცემას ახლავს თან. გარდა ამისა, ახალი პროგრამა ითვალისწინებს მთელი რიგი ხელშემწყობი პროექტების განხორციელებას, რაც მოიცავს საკრედიტო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამსახურის ფუნქციების ახლებურად განსაზღვრას, ამ ფუნქციების შესრულების ეფექტიანი გზების დასახვასა და რეალიზებას.

- ჩვენ "საქართველოს ბანკთან" წარმატებული თანამშრომლობის დიდი გამოცდილება გვაქვს. ბანკი წლების მანძილზე უნაკლოდ ახორციელებს EBRD-ის მიერ მისთვის გამოყოფილი საკრედიტო ხაზების ათვისებას. დღეს კი ჩვენ ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას, რომელიც მცირე ბიზნესის დაკრედიტების პროგრამის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს და მე დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებული შედეგები გვექნება, - განაცხადა EBRD-ისა და "საქართველოს ბანკის" მცირე ბიზნესის დაკრედიტების პროგრამის პროექტის კოორდინატორმა მიხეილ კორტენბუშმა.

**მამუკა კახნიაშვილი,**
**"საქართველოს ბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი**






## ორი სიტყვით

**თბილისი.** მერიის განათლების საქალაქო სამსახური, დაუფინანსებლობის გამო, დედაქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებების გასათბობი საშუალებებით უზრუნველყოფას ვერ ახერხებს. არ დაფინანსებულა განათლების სფეროში დასაქმებულთა იანვრის თვის ხელფასებიც. „ტენდერში გამარჯვებული კომპანიები საწვავით მომარაგებაზე უარს აცხადებენ და ისინი თავიანთ კუთვნილ თანხებს მოითხოვენ," - აცხადებენ საქალაქო სამსახურში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის ათამდე საგანმანათლებლო დაწესებულებამ გუშინდელი ძლიერი ქარის შედეგად სხვადასხვა კატეგორიის დაზიანება მიიღო. ამჟამად თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახური ზარალის დადგენას ცდილობს. როგორც ამ სამსახურის უფროსის მოადგილე ზურაბ ქოჩაშვილი აცხადებს, ზარალმა, შესაძლოა, 70 ათას ლარს გადააჭარბოს. დაზიანებულია თბილისის მე-2 საშუალო სკოლისა და 198-ე ბაგა-ბაღის შენობების სახურავები, ხოლო ვაკე-საბურთალოს რაიონის რამდენიმე სკოლაში მინებია ჩამსხვრეული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც მერიის საფინანსო სამსახურში ვარაუდობენ, ქალაქის თებერვლის თვის ბიუჯეტი არ გაირღვევა და თვის გეგმა - 16 მილიონი ლარი, შესრულდება. ამავე სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის ლია გუგუშვილის თქმით, პედაგოგთა ხელფასების იანვრის თვის დავალიანება თებერვლის ბოლომდე დაიფარება. შეგახსენებთ, რომ იანვრის თვეში თბილისის ბიუჯეტში 15.300.000 ლარი შევიდა, რაც გასული წლის ამავე პერიოდში თბილისის ბიუჯეტში შესულ თანხას 4-ჯერ აღემატება. **მედი-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 1 აპრილიდან თბილისის მეტროპოლიტენში ახალი წლიური სამგზავრო ბილეთები ამოქმედდება. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ 48 000 სამგზავრო ბილეთი ხარკოვში უკვე დაამზადებინა. 47 ათასი ბილეთი დევნილთა ოჯახებისთვის არის განკუთვნილი, დანარჩენი - ომის ვეტერანებისთვის. დევნილთა ოჯახები ბარათებს მხოლოდ მას შემდეგ მიიღებენ, რაც ქალაქის მთავრობა დევნილების აღრიცხვას დაასრულებს და მეტროპოლიტენს შესაბამის თანხას გადაურიცხავს. **ინტერ-პრესი**

# საქართველოს საზღვარს ახალი თავმჯდომარე დაიცავს

*რამდენიმე დღის განმავლობაში თავმჯდომარის გარეშე დარჩენილ სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში აყვანილი ახალი თავმჯდომარე – ბადრი ბიწაძე წარადგინეს.*

თამარ კაციტაძე

თავდაპირველი ინფორმაციით, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დაწყებულ საკადრო ცვლილებებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე გავლენა არ უნდა მოეხდინა. რევოლუციის პერიოდში გაწეული თანადგომისათვის ვალერი ჩხეიძე კვლავ ძველ თანამდებობაზე მოიაზრებოდა, მაგრამ თავად დეპარტამენტში დაწყებული შიდა დაპირისპირებისა და მთავარ სამხედრო პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო ჩხეიძე იძულებული გახდა, რომ გადადგომის შესახებ განცხადება საკუთარი ნებით დაეწერა.

მიუხედავად პრესაში აგორებული არც თუ სახარბიელო პიარისა, ახალი ხელისუფლება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარეს მაინც დადებითად ახასიათებს და ბოლო წლებში ქვეყნის საზღვრის დაცვაში გაწეული წვლილისათვის მის სახელმწიფო სამსახურში დაბრუნებას გეგმავს. თუმცა, ვიდრე ვალერი ჩხეიძისთვის შესაფერისი თანამდებობა მოიძებნება, მისი სავარძელი ყოფილმა სამხედრო პროკურორმა, გენპროკურორის ყოფილმა მოადგილემ და პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლემ ბადრი ბიწაძემ დაიკავა. გავრცელებული ინფორმაციით, ბადრი ბიწაძის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნისას ქვეყნის პრეზიდენტი რამდენიმე დღის განმავლობაში ორჭოფობდა და მის დანიშვნას საბოლოოდ ხელი ამერიკაში გამგზავრების წინ მოაწერა. აღნიშნული მოსაზრება გუშინ საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ახალი თავმჯდომარის წარდგინებაზე მისულმა უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა საბოლოოდ გააბათილა.

**"აღნიშნულ თანამდებობაზე ბადრი ბიწაძის დანიშვნას პრეზიდენტის მხრიდან არანაირი ორჭოფობა არ მოჰყოლია. პროცესუალური ნორმების დაცვის თანახმად, მისი კანდიდატურა შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა პრემიერ-მინისტრს და სააკაშვილმაც მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება",** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბადრი ბიწაძე ახალ თანამდებობაზე სწორედ პრეზიდენტის სახელით წარადგინა.

**"საიდუმლო არ არის, რომ ახალი ხელისუფლება კადრების დაკომპლექტებას ნდობის ფაქტორის გათვალისწინებით ახდენს. ბადრი ბიწაძე ჩვენი თანამებრძოლი იყო რევოლუციამდე, რევოლუციის პერიოდშიც და დღესაც. მან შევარდნაძის პერიოდში პროტესტის ნიშნად პირველმა დატოვა თანამდებობა და ამით ხელი შეუწყო რეჟიმის დანგრევას",** - განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა მასმედიისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების გასაგონად.



ვახო ბასილაიას ფოტო

*ბადრი ბიწაძე - პროფესიონალი, რომელსაც საზღვარზე არ უმუშავია.*

ვანო მერაბიშვილი დარწმუნებულია, რომ ვალერი ჩხეიძის დროს დეპარტამენტში დაწყებულ რეფორმებს ბადრი ბიწაძე წარმატებით გააგრძელებს და ქვეყანას საიმედოდ დაცული საზღვარი ექნება.

უშიშროების საბჭოს მდივნისგან განსხვავებით, გუშინდელ წარდგინებაზე შედარებით სიტყვაძუნწი იყო თავად დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე.

**"მართალია, ევროპაში საზღვრების გაუქმების პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ ჩვენ ჯერ ამ დონეზე არ ვართ და ჩვენი ქვეყნისთვის საზღვრის დაცვა უმნიშვნელოვანესია. ვიცი, რომ ჩვენს მესაზღვრეებს ურთულეს პირობებში უხდებათ მუშაობა და ისინი მხარდაჭერას საჭიროებენ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ საქართველოს საზღვარი დაცული იყოს და ქვეყანაში საზღვრის პრობლემა აღარ არსებობდეს",** - განაცხადა მისასალმებელ სიტყვაში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ამ თემაზე საუბარი ბადრი ბიწაძემ მომავლისთვის გადადო და მასმედიას დაჰპირდა: **"ჩვენი მუშაობა აბსოლუტურად გამჭირვალე იქნება და თქვენ ყველაფერს გაიგებთ."** არადა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტში, მართლაც, ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი და ამის კონცეფცია, ვანო მერაბიშვილის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე არსებობს.

# ვეტერანი მეომრები უკანონოდ გაყიდული სამხედრო ქონების უკან დაბრუნებას ითხოვენ

პირველი გვერდიდან

ცნობისათვის, "გაერთიანებული ომის ვეტერანთა კავშირი" ქუთაისში ორიოდე თვის წინ დააფუძნა ზვიად გამსახურდიას მომხრე ყოფილმა მეომრებმა, მხედრიონელებმა და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებმა. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია მეომართა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური რეაბილიტაცია. თუმცა, როგორც ჩანს, ისინი კონკრეტული სამართალდარღვევების წინააღმდეგაც აპირებენ ბრძოლას. "გაერთიენებულ მეომართა კავშირის" თავმჯდომარის ზაზა ლიპარტელიანის განმარტებით, გიორგაძეებმა ბაზრობის ტერიტორია მრავალრიცხოვანი გაყალბების გზით ჩაიგდეს ხელში. **"მრავალპროფილიანი კომპლექსური ცენტრი "იმერეთი", რომელსაც "კეჩის" ბაზრობა ეკუთვნის, რეგისტრაციაში 1991 წლის 27 აპრილს გატარდა; მაშინ, როდესაც ხელშეკრულება სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობასთან აღნიშნულ ფირმას 22 აპრილს აქვს გაფორმებული. ამავე დროს, "იმერეთს" რეგისტრაცია ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში აქვს გავლილი, რომელიც იმ პერიოდში, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა და უკვე პრეფექტის ინსტიტუტი იყო შემოღებული. საგულისხმოა ისიც, რომ საჭირო იყო აღნიშნული ხელშეკრულების ნოტარიალურად გაფორმებაც, რაც არ განხორციელებულა,"** - აცხადებს კავშირის თავმჯდომარე ზაზა ლიპარტელიანი. ამავე ხელშეკრულების მიხედვით ირკვევა, რომ "იმერეთს" სამხედრო ნაწილის ქონება 1992 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ გადასცა. ლიპარტელიანი აცხადებს, რომ აქაც გაყალბება მოხდა; კერძოდ, საქართველო დსთ-ში 1993 წელს შევიდა და ამავე დროს დსთ-ს არ ჰქონდა საბჭოთა არმიის ქონების გაცემის უფლება, რადგანაც საბჭოთა კავშირის ქონების სამართლამემკვიდრე მხოლოდ რუსეთი იყო. ამასთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს მთავრობის დადგენილებაც, რომლის მიხედვითაც, სამხედრო ქონების გასხვისება ან იჯარით გაცემა არ შეიძლებოდა. **"ეს ყველაფერი გიორგაძეებმა ყოფილი თავდაცვის მინისტრის ვარდიკო ნადიბაიძის, გენერალ მენაბდის, ყოფილი ქონების მართვის მინისტრის სილაგაძის მფარველობით მოახერხეს. მუშაობის დაწყების შემდეგ კი ბაზრობამ მიიტაცა სარკინიგზო ლიანდაგიც, რომელიც ეკუთვნოდა თავდაცვის სამინისტროს. ჩახერგა იგი და იქ უკანონო მშენებლობები მოაწყო. საბოლოოდ კი, 1998 წელს აღნიშნული ტერიტორია მათ ყოველგვარი კანონმდელობის დარღვევით დაუკანონა ქუთაისის საკრებულომ. ალბათ, გიორგაძეებმა საკრებულოს ზოგიერთი წევრის მოსყიდვაც შეძლეს,"** - აცხადებს ლიპარტელიანი. აღნიშნულის დასამტკიცებლად მეომრები კონკრეტულ დოკუმენტებსაც იშველიებენ. ლიპარტელიანი მთავარი სამხედრო ინსპექციის ყოფილი უფროსის, პოლკოვნიკ გოგაშვილის იმ წერილს იმოწმებს, რომელიც თავის დროზე მან იმერეთის ყოფილ გუბერნატორს თემურ შაშიაშვილს მისწერა: **"ქუთაისში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სავაჭრო ცენტრი, რომელიც ეკუთვნის "იმერეთს". ჩვენს ხელთ არსებული მასალების ანალიზის თანახმად, "იმერეთს" ეს ტერიტორია უკანონოდ აქვს მითვისებული..."** - წერს გოგაშვილი შაშიაშვილს. აღნიშნული დოკუმენტით ირკვევა, რომ 1992 წლის 30 ივლისს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის რიგი სამხედრო ობიექტები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. მათ შორის იყო ნაწილი N58137, სადაც ამჟამად "კეჩის" ბაზრობა მდებარეობს. ობიექტი ჩააბარეს ახლად შექმნილ დასავლეთ საქართველოს სამშენებლო-სამონტაჟო კომპლექსს, რომლის დირექტორიც ზელიმხან გიორგაძე გახლდათ. ტერიტორიაზე განლაგებული იყო სხვადასხვა შენობა-ნაგებობები და შემავალი სარკინიგზო ხაზი. **"იმერეთის" მფლობელი ზელიმხან გიორგაძე დაეუფლა დასავლეთ საქართველოს თადაცვის სამინისტროს ტერიტორიას და შენობა-ნაგებობებს, შეეცადა დოკუმენტალურად გაეფორმებინა იგი,"** - ნათქვამია წერილში. გოგაშვილის მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ აღნიშნული ტერიტორია გიორგაძეებმა მაშინდელი თავდაცვის მინისტრის ნადიბაიძის და მისი მოადგილის მენაბდის ხელშეწყობით დაისაკუთრა. კერძოდ, აღნიშულმა პირებმა წერილობითი თანხმობა განაცხდეს, რომ ობიექტი არ იყო თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. **"რუსეთის ჯარის დაჯგუფების, "კეჩის"-ის უფროსის, პოლკოვნიკ ტრეტიაკოვის მიერ 1995 წელს დამტკიცებული აქტის თანახმადაც, N58137 ნაწილის მთელი ქონება გადაეცა თავდაცვის სამინისტროს, კერძოდ - დასავლეთ საქართველოს საექსპლუატაციო ნაწილს,"** - აღნიშნავს გოგაშვილი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავდცვის სამინისტროს სამხედრო ინსპექციამ აღნიშნული ფაქტი სასამართლოში გაასაჩივრა და ტერიტორიის დაბრუნება მოითხოვა. საქმე ხონის სასამართლომ განიხილა და თავდაცვის სამინისტრომ პროცესი წააგო, თუმცა, რატომღაც, გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების სურვილი აღარ გაჩენია.

"გაერთიანებული მეომართა კავშირის წევრები" ბაზრობის მესაკუთრეების მიერ შემოსავლების დამალვაზეც საუბრობენ. **"გიორგაძეების მიერ სისტემატიურად ხდება სახლმწიფოს კუთვნილი თანხების მითვსება. "კეჩის" მოვაჭრეები 2 ლარსა და 60 თეთრს იხდიან, ამას ემატება პრეზუმციული გადასახადიც. გიორგაძეების მიერ ბაზრობაზე ოფიციალურად 1000 მოვაჭრეა გაფორმებული, რეალურად კი იქ 5000 მოვაჭრე საქმიანობს,"** - აცხდებს ლიპარტელიანი.

სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნია ბაზრობის ხელმძღვანელობას. მეტიც, ისინი კავშირის წევრებს ბაზრობის ხელმძღვანელობისთვის "ნივის" მარკის მანქანის გამოძალვაშიც ადანაშაულებენ. **"ჩვენთან მოსული იყო "იმერეთის ომის ვეტერანთა კავშირის" წარმომადგენელი გოჩა ჯიმშელეიშვილი. მან ბაზრობის ხელმძღვანელობისაგან ავტომობილი "ნივის" საჩუქრად გადაცემა მოითხოვა. მას შემდეგ, რაც აღნიშნულ თხოვნაზე კატეგორიული უარი უთხრეს, დაიმუქრა, რომ "კმარას" აქტივისტებს და ნაციონალებს მოგვისევდა, ყველა ღონეს იხმარდა, რათა ჩვენთვის ბრალდებები წაეყენებინა. თუკი პროკურატურა აღნიშნული საკითხით დაინტერესდება, ჩვენ საფუძლიან პასუხს გავცემთ. აღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით, სასამართლოს რამდენჯერმე მიმართა თავდაცვის სამინისტრომ და ყველა ინსტანციის სასამართლოში ჩვენ გავმართლდით. რითაც დადასტურებულია, რომ ტერიტორიის კანონიერი მესაკუთრე ფირმა "იმერეთია",** -განაცხდა "იმერეთის" ადვოკატმა ეკა სხილაძემ. "იმერეთის რეგიონის გაეთიანებულ ომის ვეტერანთა კავშირის" მოთხოვნაა, რომ ფირმა "იმერეთის" მიერ სამხედრო ნაწილის ტერიტორიის მისაკუთრების ფაქტი პროკურატურამ შეისწავლოს. **"ბაზრობის გაუქმებაზე საუბარიც არ შეიძლება; უბრალოდ, აღნიშნული ტერიტორია მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა მოექცეს,"** - აცხადებენ ვეტერანები და პროკურატურაში საჩივრის შეტანას მომავალ კვირას აპირებენ.

# დაკავებულ ბათუმელ სტუდენტებს მომიტინგეების დარბევაშიც ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

მერაბ მიქელაძისა და ლაშა ჩახვაძის მეგობრები და მათი ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი სტუდენტების დაკავების ფაქტს უკანონოს უწოდებენ და საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ჩართვას მოითხოვენ. **"მერაბ მიქელაძის და ლაშა ჩახვაძის დაცვის განხორციელებაში პრობლემები შემექმნა, რადგან პოლიციის სამმართველოში არ მიშვებდნენ. მართალია, მოგვიანებით, პოლიციის შენობაში შემიშვეს, მაგრამ პოლიციამ ვერანაირი იურიდიული დოკუმენტი ვერ წარმომიდგინა, თუ რის საფუძველზე მოხდა მათი დაკავება. არც ერთი მათგანი არ არის ცნობილი არც ბრალდებულად და არც ეჭვმიტანილად, მეტიც, ჩხრეკის ოქმიც კი არ არსებობს, დაკავება პროცესუალური ნორმების დარღვევითაა ჩატარებული. ამ საკითხზე პოლიციაში ვერანაირ სამართლებრივ კომენტარს ვერ აკეთებენ და ვერ მიხსნიან, რატომ ვერ მაჩვენეს შესაბამისი დოკუმენტაცია,"** – განაცხადა ადვოკატმა.

ზაქარეიშვილის თქმით, მიქელაძისა და ჩახვაძის განმარტებით, ისინი დაკავების შემდეგ რამდენიმე საათის განმავლობაში თბილისის ქუჩებში ატარეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიყვანეს ვაკე-საბურთალოს პოლიციაში.

ზურაბ გავაშელიშვილის განცხადებით, პოლიციამ ჩხრეკისა და დაკავების პროცედურა კანონის სრული დაცვით ჩაატარა და სამართალდამცველებს მიქელაძისა და ჩახვაძის დაკავების იურიდიული საფუძველი გააჩნდათ.

დაკავებული ბათუმელი სტუდენტები ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ ლადო ვარძელაშვილმა მოინახულა.

ვარძელაშვილის განცხადებით, მისთვის ყველაზე მეტად საინტერესო იყო, დაკავებულების მიმართ რაიმე ძალადობას ხომ არ ჰქონდა ადგილი.

ვარძელაშვილის განმარტებით, მიქელაძემ და ჩახვაძემ თავად აღიარეს, რომ არავითარ ზეწოლას და ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

გარდა ვაკე-საბურთალოს პოლიციის ბრალდებისა, გაჩნდა ვერსია, რომლის მიხედვითაც, დაკავებულები ბათუმში განვითარებულ მოვლენებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. უფრო ზუსტად, "კმარას" ბათუმელმა აქტივისტებმა განაცხადეს, რომ მიქელაძე და ჩახვაძე ბათუმში მომხდარი დარბევების აქტიური მონაწილეები იყვნენ. სავარაუდოდ, მიქელაძესა და ჩახვაძეს იარაღის უკანონო ტარების ბრალდების გარდა, მშვიდობიანი მიტინგის დარბევის ბრალდებასაც წაუყენებენ.

*24 საათი*

# პროკურატურამ ორი ბოლნისელი ჩინოვნიკი დააკავა

*ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურა კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულში ეჭვმიტანილი ჩინოვნიკების დაკავებას აგრძელებს. გუშინ მათ ბოლნისის გამგებლის მოადგილე თამაზ ნინოშვილი და "ბოლნისწყალკანალის" საქმეთა მწარმოებელი თამაზ ესიავა დაკითხვაზე დაიბარეს და, ეჭვმიტანილის სტატუსით, წინასწარი დაკავების საკანში დატოვეს. მათ სახელმწიფოსთვის მატერიალური ზარალის მიყენებაში ედებათ ბრალი.*

მაია მოსიაშვილი

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2002 წელს შპს "ბოლნისწყალკანალმა", ბოლნისის რაიონის გამგეობის დაკვეთით, ამავე რაიონის სოფელს, ხატისოფელს წყალმომარაგების გარე ქსელი აუშენა. ამ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის რაიონის ბიუჯეტიდან შპს "ბოლნისწყალკანალის" ანგარიშზე 159 480 ლარი გადაირიცხა. სამუშაოებს შპს-ს საქმეთა მწარმოებელი თამაზ ისიანი კურირებდა. მის მიერ მშენებლობის პირდაპირი ხარჯები 90 ათას 500 ლარის ოდენობით დაფიქსირდა. გამოძიების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით კი, მშენებლობაზე რეალურად გაცილებით ნაკლები თანხა - 40 116 ლარი დაიხარჯა. საბოლოო მონაცემებით, უკანონოდ მითვისებული თანხის რაოდენობა გაიზარდა და 67 ათას ლარამდე ავიდა.

რაც შეეხება მეორე დაკავებულს, ბოლნისის გამგებლის მოადგილე თამაზ ნინოშვილს, როგორც ირკვევა, იგი იმ სახელმწიფო კომისიას ხელმძღვანელობდა, რომელიც რაიონის გამგებლის ზურა ჯაფარიძის დავალებით შეიქმნა. ამიტომ, ნინოშვილს უშუალოდ ევალებოდა გამგეობის მხრიდან შპს "ბოლნისწყალკანალის" მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და ხარჯთაღრიცხვის შემოწმება. თუმცა, მან სამსახურებრივი გულგრილობა გამოიჩინა და ისინი არ შეამოწმა. უფრო მეტიც, მისი ხელმძღვანელობით სახელმწიფო კომისიამ 2002 წლის 15 დეკემბერს ექსპლუატაციაში მიიღო არასრულყოფილი ობიექტი, რითაც სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს ზიანი მიადგა, - ნათქვამია პროკურატურის დასკვნაში.

თამაზ ისიანი ეჭვმიტანილია 182-ე მუხლით და მას 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. გამგებლის მოადგილე ნინოშვილს კი 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით სამსახურებრივ გულგრილობაში ადანაშაულებენ, რაც 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თავად ეჭვმიტანილები ბრალდებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ ამ საქმის თაობაზე არაფერი იციან. პროკურატურა მათ ბრალდებას დღეს წარუდგენს და სასამართლოსგან სამთვიანი წინასწარი პატიმრობის მისჯას მოითხოვს.

ბოლო ორი თვის მანძილზე კორუფციაში ბრალდებული ჩინოვნიკების წინააღმდეგ ქვემო ქართლის სამხარეო პაროკურატურაში 30-ზე მეტი საქმეა აღძრული. ბოლნისის რაიონში პროკურატურის მხრიდან ეს პირველი ანტიკორუფციული "გასვლაა". არ არის გამორიცხული, რომ ამ საქმეზე მუშაობის დროს ბოლნისში არსებული სხვა კორუფციული ფაქტებიც გამომზეურდეს და სამართალდამცველებმა გამგებელ ჯაფარიძემდეც მიაღწიონ. როგორც პოლიციასა და პროკურატურაში აცხადებენ, ანალოგიური სიტუაციაა სხვა რაიონებშიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვემო ქართლის სამართალდამცველები სხვა ყოფილ თუ მოქმედ ჩინოვნიკებს დაიჭერენ.

# ევროპელი მოსამართლეების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები გასაიდუმლოებულია

*უზენაეს სასამართლოში ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში უპრეცედენტო სასამართლო პროცესი გრძელდება. სტრასბურგის სასამართლოს სპეციალური მისია საქართველო-რუსეთის საზღვრის დამრღვევი ჩეჩნების საქმესთან დაკავშირებული მოწმეების დაკითხვას განაგრძობს. სხდომა დახურულია და სასამართლო დარბაზიდან გამოსულ დაკითხულ მოწმეებს არ აქვთ უფლება, ინფორმაცია გაამჟღავნონ.*

ხათუნა ჭანგირაშვილი

გუშინდელ დახურულ სხდომაზე ევროპელმა მოსამართლეებმა გენერალური პროკურატურის თანამშრომლები დაკითხეს. გენპროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები უცხოელ მოსამართლეებს ცალ-ცალკე შეჰყავდათ სასამართლო დარბაზში და მათთან რამდენიმე საათის განმავლობაში ატარებდნენ საგამოძიებო მოქმედებებს. საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელი პაატა მსხილაძე, რომელიც ჩეჩენი პატიმრების საქმეზე სასამართლოში პროკურორის მოვალეობას ასრულებდა, გუშინ ოთხი საათის განმავლობაში იძლეოდა პასუხებს უცხოელი მოსამართლეების მიერ დასმულ შეკითხვებზე.

**"რუსეთისთვის ჩეჩნების გადაცემა თავის დროზე საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის ნორმათა სრული დაცვით განხორციელდა. შიში, რომ ჩეჩნებს რუსეთში წამებით სიკვდილი ელით, საფუძველს არის მოკლებული",** - ეს განცხადება პაატა მსხილაძემ სასამართლო პროცესზე შესვლის წინ გააკეთა. სასამართლო დარბაზიდან გამოსულმა კი ყველანაირი კომენტარისგან თავი შეიკავა. **"ევროსასამართლოს მისიამ გამაფრთხილა და პირობა დამადებინა, რომ ჩემი დაკითხვის დეტალებს კონფიდენციალურად შევინახავ",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გენპროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსმა.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს მისია ვერ დაკითხავს ორ მოწმეს – რამდენიმე დღის წინ გაუჩინარებულ ყოფილ ჩეჩენ პატიმრებს - ბექხან მულკოევსა და ჰუსეინ ალხანოვს. მათი ადგილსამყოფელისა და დაკარგვის მიზეზის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი იციან როგორც გაუჩინარებულების ახლობლებმა, ასევე სამართალდამცველებმა.

არადა, ის ერთკვირიანი ვადა, რომელიც დაკარგული ჩეჩნების საპოვნელად სამართალდამცველებს უშიშროების საბჭომ მისცა, უკვე იწურება.

``შამაევი და 12 სხვა რუსეთ-საქართველოს წინააღმდეგ`` საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეები დღევანდელ დახურულ სხდომაზე ყოფილ გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს დაკითხავენ და ამით ევროსასამართლოს სპეციალური მისია საქართველოში ვიზიტს დაასრულებს. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს საგამოძიებო უწყების 10-მდე წარმომადგენელი თბილისს დღეს დატოვებს.

# გორის ბაზრობის დირექტორი დააკავეს

გუშინ გორის რაიონის პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარებული გორის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის ყოფილი დირექტორი, ამჟამად ინდივიდუალური საწარმო "ლიახვის" მფლობელი ჯემალ წიკლაური გამომძიებლებმა სახლში აღარ გაუშვეს. ეჭვმიტანილის სტატუსით დაკითხვის შემდეგ ჯემალ წიკლაური პროკურატურიდან პირდაპირ გადაიყვანეს წინასწარი დაკავების საკანში.

გორის საკოლმეურნეო ბაზრის გაკონტროლების დირექტივა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა სამართალდამცველებს ჯერ კიდევ შიდა ქართლის რეგიონის გუბერნატორობის პერიოდში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციების დროს მისცა. როგორც ჩანს, შედეგმაც არ დააგვიანა.

გამოძიება შპს "ლიახვის" მფლობელს ჯემალ წიკლაურს 287120 ლარის ოდენობით გადასახადების დამალვაში ედავება. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, წიკლაურის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ორი კვირის წინ აღიძრა. გორის რაიონის პროკურორი ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს, შეწყდება თუ არა წიკლაურის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, თუ იგი ბიუჯეტის სასარგებლოდ 287000 ლარს გადაიხდის.

ჩვენი ინფორმაციით, დაკავებული თავს დამნაშავედ არ ცნობს. მისი ადვოკატები კი აცხადებენ, რომ ბაზრის დირექტორი სრულიად უსაფუძვლოდაა დაკავებული და მისი აყვანა უკავშირდება წიკლაურსა და შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს შორის დაპირისპირებას. თავად რწმუნებული მიხეილ ქარელი კი აცხადებს, რომ ჯემალ წიკლაურმა ბიუჯეტს ასობით ათასი ლარი დაუმალა, რის გამოც მან კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგოს პასუხი.

ჩვენი ინფორმაციით, წიკლაურის დაკავება მის ინდივიდუალურ საწარმოში ჩატარებული რევიზიის საფუძველზე მოხდა. რევიზია იქ გამოძიების დავალებით ჩატარდა.

*24 საათი*

## მოკლედ

**ახალციხე.** ბორჯომის პოლიციამ "ჩითახევჰესის" მფლობელის, დეპუტატ თამაზ გელაშვილის გამტაცებლები დააკავა. წარსულში ხუთჯერ ნასამართლევი ქუთაისელი გიორგი ხურციძისთვის და თბილისელი თეიმურაზ შარაშენიძისთვის თამაზ გელაშვილს 300 ათასი დოლარი უნდა გადაეხადა. პროკურორის ინფორმაციით, გატაცებაში ხუთი ადამიანი მონაწილეობდა და დარჩენილ სამ პირზე ძებნაა გამოცხადებული. ბორჯომის პროკურორის ბეჟან ბეჟუაშვილის შეფასებით, ეს იყო "პროფესიულ დონეზე ჩატარებული ოპერაცია". მისივე თქმით, დაკავებულების მიმართ ბორჯომის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე 143-ე მუხლის მეორე ნაწილით აღიძრა, რომელიც თავისუფლების 5-დან 15 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ისანი-სამგორის რაიონში, ავტოსადგომთან ახლოს, სამგორის ქუჩაზე აღმოაჩინეს 45 წლის გიორგი ლურსმანაშვილის გვამი, რომელსაც გარეგნული დათვალიერებით დაზიანებები არ აღენიშნებოდა. წინასწარი ინფორმაციით, ლურსმანაშვილი ალკოჰოლის ქრონიკული მომხმარებელი იყო. მისი გარდაცვალების მიზეზებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დაადგენს. **მედია-ნიუსი**

# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## "აფხაზურ კლუბში"




*დისკუსიის მონაწილენი.*

მორიგი შეხვედრა "აფხაზურ კლუბში" აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების არჩევნების საკითხს მიეძღვნა. დისკუსიაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვახტანგ თორდია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები აკაკი გასვიანი, თეიმურაზ მჟავია, ჯემალ გამახარია და გია გვაზავა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები – ჯემალ სვანიძე, ზურაბ თოდუა, ზურაბ ფარცვანია, მალხაზ პატარაია, იურისტები – ვახტანგ ხმალაძე და თინათინ ხიდაშელი, მწერალი გურამ ოდიშარია და სხვები.

გამოიკვეთა სამი პოზიცია. თავ-თავიანთი არგუმენტები წამოაყენეს არჩევნების მომხრე და მოწინააღმდეგე მხარეებმა და, აგრეთვე, იმ ადამიანებმა, რომლებისთვის ორივე ვარიანტი მისაღებია, თუკი გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პარლამენტი და იუსტიციის სამინისტრო.

აღნიშნულ საკითხზე დიალოგი "აფხაზურ კლუბში" გაგრძელდება დღეს 14 საათზე "24 საათის" რედაქციაში. დისკუსიას დაესწრება სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა.

*24 საათი*

### ცხოვრებისეული ისტორიები

## გამარჯობა, ზაზა!

გამარჯობათ. მე ჩინოვნიკი ვარ, სამწუხაროდ, დევნილი. მინდა გიამბოთ ერთი ამბავი, რომელმაც ჩემზე წარუშლელი კვალი დატოვა...

ეს ამბავი მოხდა ერთ ჩვეულებრივ, ნაცრისფერ სამუშაო დღეს: იმ დილასაც ჩვეულებისამებრ მივედი სამსახურში, გავეცანი პრესას, მდივანმა გოგონამ ყავა შემომიტანა.

იგი ცოტა ხანში კაბინეტიდან გასული, უეცრად უკან შემობრუნდა და მითხრა: "იცით, იქ ვიღაც კაცი მოვიდა თქვენთან".

იმ კაცს სახელი და გვარი არა აქვს მეთქი?! - გავიოცე. "იცით, მან არ დამისახელა თავისი ვინაობა. მხოლოდ მითხრა, რომ პირადად თქვენი ნახვა უნდა," - იყო პასუხი.

მართლაც, ცოტა ხანში ჩემს კაბინეტში კაცი შემოვიდა... მას ძველისძველი, გაქუცული ტყავის პალტო ეცვა. ეხურა უფორმო, ცალყურჩამოხეული "უშანკა", ეცვა გაურკვეველი ფერის ლაქის ფეხსაცმელები, თეთრ ძირებზე... შემოვიდა კაბინეტში, დადგა კარებთან და ხმამაღლა მითხრა:

- გამარჯობა, ძვირფასო, ზაზა! მე დიტუ ხერგიანი ვარ. რა, ვერ მიცანი?!

- ვერა, ვერ გიცანი, - ვუპასუხე დაბნეულმა...

- როგორ ვერ მიცანი, მე დიტუ ხერგიანი ვარ!

- ბოდიში, მაგრამ ვერ გიცანი.

- როგორ, მე ხომ დიტუ ხერგიანი ვარ, როგორ ვერ მიცანი?!

ბოლოს სხვა გზა აღარ მქონდა და ვუთხარი, აა, გამახსენდი, მართლაც, დიტუ ხერგიანი ხარ, როგორ ვერ გიცანი-მეთქი. გამოცნაურების მერე ის მეუბნება:

- მე შენთან მოვედი. შენ ახლა დიდი კაცი ხარ, არაფერი გიჭირს, გადარეკ–გადმორეკავ ყველგან, იქ ზევითაც... ხო, სხვათა შორის, მე შემიძლია, შენი მოადგილეც კი ვიყო.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა... ის კი განაგრძობდა:

- ხო, მე მინდა, ვიყო შენი მოადგილე. მოდი, დავიწყოთ ახლავე ფულების კეთება... მერე კი ოჯახზეც ვიფიქროთ.

- რომელ ოჯახზე? - ვკითხე.

- რა თქმა უნდა, შენს ოჯახზე, - მიპასუხა უცოლშვილო კაცს და განაგრძო, - ისე, იქნებ ჩემთვისაც მოძებნო ერთი კარგი გოგო, განთქმული ოჯახისშვილი, თავადური გვარის. გლეხური გვარის ქალი არ მაწყობს. თან, რა თქმა უნდა, ლამაზიც უნდა იყოს...შენც ხომ გესმის?!

მე საერთოდ გამოვშტერდი, აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა, ის კი განაგრძობდა: "როგორ არა გრცხვენია, აი, საქართველოში ასეა. მე და შენ ოთხი წლიდან ვიცნობთ ერთმანეთს, ერთ ბაღში დავდიოდით, მერე ათი წელი ერთ მერხზე ვისხედით და შენ კი ახლა მეკითხები – ვინ არის დიტუ ხერგიანი?! არა, ილუპება საქართველო, ილუპება საქართველო. აღარც მეგობარი იციან, აღარც ნათესავი. ილუპება საქართველო."

მერე დამიწყო სწავლება, როგორ უნდა მეცხოვრა, რომ არ დავღუპულიყავი...

ამ დროს შემოვიდა მდივანი გოგონა და მითხრა, რომ ისევ ვიღაც მკითხულობდა. გავედი კაბინეტიდან. მოსაცდელში, სკამზე იჯდა მოხუცი, თმაჭაღარა, სანდომიანი სახის ქალბატონი...

"უკაცრავად, ძალიან ხომ არ შეგაწუხათ ჩემმა შვილმა?! იცი, შვილო, რაშია საქმე?! თქვენ ხომ ზაზა გქვიათ, მას კი ყველა ზაზა თავისი მეგობარი ზაზა ჰგონია, რომელიც მის თვალწინ აფხაზეთში ნაღმზე აფეთქდა. მას მერე დადის ასე და ყველგან ეძებს თავის მეგობარ ზაზას," - მითხრა მოხუცმა დედამ.

ამის მოსმენით ძალიან შევწუხდი და ვუთხარი მოხუც ქალბატონს, რომ მისი შვილი საოცარი ადამიანია და სულაც არ მაწუხებს. მერე ქალბატონი შევიყვანე კაბინეტში, მან ხელი ჩაჰკიდა თავის შვილს და ცოტა ხანში დედა–შვილმა ჩემი კაბინეტი დატოვა.

დიდი ხნის განმავლობაში სულ ამ ამბავზე ვფიქრობდი. წყეულიმც იყოს ყველაფერი, რაც დაკავშირებულია იმ წყეულ ომთან!!...

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი*

*რადიოპროექტი – "ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".*


**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

**FM 107,4**


პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

### გალის ტრაგედია

## 1998-ის მაისი

*აფხაზეთში გალის რაიონი ერთადერთია, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველებია. იქ, ისე როგორც მთელ აფხაზეთში, არ მოიძებნება ქართული ოჯახი, რომელსაც აფხაზებთან მჭიდრო ნათესაური კავშირი არ ჰქონდეს. ყოველივე ეს გალში დარჩენილთათვის იმედისმომცემი იყო, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. დაქირავებულები და აფხაზი ბოევიკები გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდნენ იქ დარჩენილ ხეიბრებსა და მოხუცებს. დაფიქსირებულია ვანდალიზმის, ადამიანთა წამების უამრავი ფაქტი. დახოცილია 1500-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე.*

მურმან ყოლბაია

ყოველივე ეს ძნელად ასატანი გახდა დაზარალებულთა ახლობლებისა და ნათესავებისათვის, რამაც წარმოშვა კიდეც პირველი პარტიზანული მოძრაობა. სწორედ პარტიზანების დამსახურება იყო, რომ გალის რაიონის ერთ მესამედ ტერიტორიაზე სოხუმის რეჟიმი არ ვრცელდებოდა.

გალში, განსაკუთრებით დაბალ ზონაში, მოსახლეობა დიდი მსხვერპლის ფასად დაბრუნდა. განახლდა ცხოვრება. ქართულ მიწაზე კვლავ გაიხარა ქართულმა სულმა. თითქმის ყველა სოფელში დაიწყო სასწავლო პროცესი. რკინიგზის გასწვრივ მდებარე ტერიტორია - ქვედა ზონა აფხაზურმა მხარემ სასიკვდილო ("სმერტელნი") ზონად გამოაცხადა. აფხაზთა მხრიდან იქ შესვლის ყოველგვარი მცდელობა, ე.წ. სამშვიდობოთა ჯავშანტრანსპორტიორის მეგზურობით, მათთვის კატასტროფით დასრულდა. სწორედ აქ დალიეს სული სისასტიკით ცნობილმა საველე მეთაურებმა. თვით არძინბამაც აღიარა, რომ გალში იმაზე მეტი ბოევიკი დაკარგა, ვიდრე მთლიანად ომში.

1997 წლის სექტემბრის თვე იყო. ზუგდიდში ჩასული ენგურის ხიდისკენ გავეშურე, იქნებ ვინმე ვნახო და გავიგო, რა ხდება გალში-მეთქი. დაახლოებით, 17 საათი იქნებოდა, როცა რუხის დაღმართს დავუყევი, საიდანაც გალის რაიონის ნახევარზე მეტი ხელისგულივით მოჩანს. ვერცხლისფრად შეფერილი სათანჯოს მთის მარჯვენა და მარცხენა კალთებზე სახლები აქა-იქ მოჩანდა. უმეტესობა გადამწვარი, კენტად აშოლტილი ბუხრის საკვარცხლეებით. ხიდს გაღმა ე.წ. სამშვიდობო და გადამთიელები ჯარისკაცობდნენ.

რუხის ციხესთან ადამიანთა კოლონა შევნიშნე. მივუახლოვდი და ჩემი მეზობლები, ჭუბურხინჯელები ვიცანი. დიდი ხნის უნახავებმა ერთმანეთი გულთბილად მოვიკითხეთ. გამიკვირდა, სად შეიკრიბეთ ყველა ერთად-მეთქი? თურმე, რა ხდება. ენგურს გაღმა აფხაზთა საკონტროლო გამშვებ პუნქტზე, ე.წ. საბაჟოზე, 6 საათის მერე აფხაზთა ჭაჭანება აღარ არის და ხალხი თავისუფლად მოძრაობს. არც საბაჟო გადასახადი და არც ბეგარა. არავინ იხდიდა დაწესებულ 2 ლარს, რაც დღეს 7 ლარამდე გაზარდეს. მიზეზი - სახალხო ლაშქრის, პარტიზანების შიში.

საუბედუროდ, მაშინდელი ხელისუფლების წინდაუხედავი ქმედების შედეგად, გალში დაბრუნებული 40 ათასი დევნილი 1998 წლის მაისში მეორედ დევნილი გახდა. დაიხოცა ათეულობით ადამიანი. 11 სოფელი აღიგავა პირისაგან მიწისა. ხელისუფლებამ პარტიზანებს პროფილი შეუცვალა და სოხუმის რეჟიმი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდა. დღეს აფხაზური მხარის წარმომადგენლები არათუ გალის ტერიტორიაზე, მეზობელ რაიონებშიც კი გადმოდიან და დღისით, მზისით, მოურიდებლად ატარებენ მათთვის სასურველ რეიდებს.

სწორედ მაშინ მოვითხოვეთ სამურზაყანოელებმა თბილისში 3 ივნისს გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე დამნაშავეთა დასჯა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს უპირობო გადადგომა. მას აღარ ჰქონდა თანამდებობაზე დარჩენის მორალური უფლება. მით უმეტეს, რომ ნადარეიშვილი წინასწარ აცხადებდა (თუ აფხაზებს აფრთხილებდა?!), 26 მაისს გალი აღებული იქნებაო. საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ კი იგი თბილისისკენ გამოეშურა და ზუგდიდში აღარავის უნახავს.

სამურზაყანოელებმა 2001 წლის 4 აპრილს მივმართეთ აფხაზეთის დეპუტაციას, ფრაქცია "აფხაზეთის" წევრებს. მაისის მოვლენების გამოძიებას ვითხოვდით, მაგრამ ამაოდ. ღრმად ვარ დარწმუნებული, ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლება, სხვა უამრავ მტკივნეულ საკითხთან ერთად, არც ამ ფაქტს დატოვებს ყურადღების მიღმა. აქვე მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, რომ 1998 წლის მაისის მოვლენების შემდეგ აფხაზეთში მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. დაბრუნებულ დევნილთა მდგომარეობა გაუსაძლისი ხდება. ამის მიუხედავად, გმირი მოსახლეობა მაინც არ ტოვებს და სიცოცხლის რისკის ფასად, საკუთარ მიწა-წყალზე რჩება. ერთი მაგალითი:

2000 წლის შემოდგომა იყო. უბედური შემთხვევის გამო, გალში შევედი. დღის მეორე ნახევარში ერთ მეგობართან ერთად ქალაქი ფეხდაფეხ შემოვიარე. მრავალი ნაცნობი, ახლობელი ვნახე. აშკარად თვალშისაცემი იყო სევდიანი, ნაადრევად დაბერებული, უსამართლობის, ტანჯვისა და სიმწრისაგან გათანგული სახეები. იქ ცაც კი სევდისფერი მეჩვენა. უკან დაბრუნებულებს ილია ვეკუას ძეგლთან რუხის სამშვიდობოებმა სიგარეტი გვთხოვეს. უარის შემდეგ პრეტენზია წაგვიყენეს, უნდა გაგჩხრიკოთ, იარაღი ხომ არ გაქვთო! იქვე, გზის მეორე მხარეს, კბილებამდე შეიარაღებული სამი ახალგაზრდა იდგა სამოქალაქო სამოსში. ვიკითხე, ვინ არიან-მეთქი?



*ენგურის ხიდი, გზა გალისაკენ.*

**"ვინ უნდა იყვნენ, აფხაზი ბოევიკები არიან. აქ ასეა მიღებული, აფხაზები იარაღით დადიან, ჩვენ კი ჯიბის დანის ტარების უფლებაც არ გვაქვს,"** – მიპასუხეს ქართველებმა

ორიოდე კვირის წინათ გალში გახლდით. დევნილობის პერიოდში ეს უკვე მერამდენე ჩასვლაა. მდგომარეობა მართლაც საოცრად დაძაბული და მძიმეა, მაგრამ ის, რაც ხდება ქვეყანაში ვარდების რევოლუციის შემდეგ, ხალხისათვის იმდენად იმედის მომცემია, რომ ასე გახარებული, ოპტიმიზმის, მომავლის იმედით გაბრწყინებული სახეები ბოლო ათი წლის მანძილზე ნამდვილად არ მინახავს. ხალხი მზადაა მოითმინოს, გაუსაძლისს გაუძლოს, აუტანელი აიტანოს, მხოლოდ გაგრძელდეს ის კურსი, რაც ახალმა ხელისუფლებამ აიღო, რაშიც ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალს, ერთიან და ძლიერ საქართველოს ვხედავთ. დაბრუნების პროცესი შეუქცევადი ხდება.

## პირველი წმენდა

*აფხაზეთში დიდი შერიგება მოხდება. სხვა ალტერნატივა ქართველებს, აფხაზებს და აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ხალხებს არა გვაქვს, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რაც მოხდა, რათა არ განმეორდეს.*

რაფიელ ბელანტია
კახაბერ თორია

10 წლის წინათ, 6-23 თებერვალს აფხაზთა და ვოლონტერთა დიდმა ჯგუფმა გალის რაიონში ჩაატარა სამხედრო-სადამსჯელო ოპერაცია კოდური სახელწოდებით "წმენდა". ოპერაცია დაიწყო ოჩამჩირის საზღვრებიდან ქვეითთა მიერ ჯავშანტექნიკის გამოყენებით და, ფაქტობრივად, მთელი რაიონი მოიცვა.

დახოცეს 800-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები (490 კაცი - 60 წელს გადაცილებული, 102 - ოთხმოც წელს მიღწეული, 172 ქალი, 27 მოზარდი).

სოფელ ჩხორთოლში ამირან გამისონია (50 წ.) გამოიყვანეს საკუთარი სახლიდან, მოაჭრეს ხელები, ამოთხარეს თვალები და შემდეგ დაცხრილეს ავტომატით;

რეფში ხუთმა აფხაზმა ბოევიკმა საკუთარ ოჯახში დახვრიტა საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება, 72 წლის ჭიჭიკო სხულუხია, მისი მეუღლე ძაბა სხულუხია (70 წ.), შვილი ვენორი (44 წ.), რძალი იზოლდა (40 წ.). შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს სახლს და დაწვეს ცხედრები;

გუდავაში ცოცხლად დაწვეს ინდიკო ალანია (84 წ.) და დათიკო ლატარია (65 წ.). რძლებს, მარგალიტასა და ჟულიას, თავები ელექტროხერხით მოაჭრეს, შემდეგ დაწვეს;

ჭუბურხინჯის მკვიდრს ბოჩია ყოლბაიას (43 წ.) მოაჭრეს ხელი, მერე - ფეხი, შემდეგ დახვრიტეს;

ღუმურიშში ნაჯახით თავი მოჰკვეთეს 75 წლის ფიროხმან ზუხბაიას (ვაჟკაცობითა და პირდაპირობით ცნობილ კაცს), მასვე ზედ დააკლეს ბიძაშვილი დათიკო კაკუბავა;

განახლებაში 8-9 თებერვალს ერთ ეზოში დახვრიტეს 9 მოხუცი (ქალი და კაცი), მათ შორის - ცოლ-ქმარი სერაპიონ და ოლია ლაგვილავები, ცხედრები ცეცხლმოკიდებულ სახლში ჩაწვეს.

ამ სოფელში იმავე დღეებში ანალოგიური ბედი ეწია 17 მშვიდობიან მოსახლეს. ხუთ საუკეთესო ახალგაზრდას, რომლებიც "არ გამოტყდნენ" პარტიზანებთან კავშირში, სახსრები გადაუმტვრიეს, აწამეს და ცოცხლად დამარხეს.

ეს სულ მცირედი სიაა იმ 800 ჯვარცმული ადამიანისა, რომელთაც 6-23 თებერვალს ძალადობით, სასტიკი წამებით წაართვეს სიცოცხლე. მათი უმეტესობის დამმარხველი და გამპატიოსნებელი რაიონში ძნელად თუ მოიპოვებოდა.

ცოდვის კალო დატრიალდა რაიონის თითქმის ყველა სოფელში, თვით გალშიც. განსაკუთრებული სისასტიკით გადაწვეს ქვედა ზონის სოფლები: რეფი, გაგიდა, მზიური, ზემო ბარღები, ქვემო ბარღები (სოფჩაი), განახლება (ოკინორე-გაგიდა), ოტობაია, ფიჩორი, ნაბაკევი, თაგილონი, ჭუბურხინჯი. მთისწინა სოფლები - დიხაზურგა, საბერიო, ლეკუხონა, რეჩხი, აჩიგვარა, ღუმურიში, ჩხორთოლი, მუხური-შეშელეთი, პირველი გალი და ა.შ.

ზედა ზონის სოფლების მოსახლეობა ხოცვა-ჟლეტითა და სახლების გადაწვით აიძულეს, მთისწინეთითა და მთებით (ოჭაკე) გადმოსულიყვნენ ენგურგამოღმა (ორი მეტრი სიღრმის თოვლსა და ყინვაში). მთებში გაიყინენ ვლადიმერ შარანგია (83 წ.), გოჩა ხასაია (16 წ.), ლუიზა დავითულიანი (50 წ.), ალექსანდრე ჯგუბურია (60 წ.) და მრავალი სხვა.

თებერვალში გალის რაიონში ბოევიკებმა დაწვეს 4500-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანების ქარავნებით გაიტანეს მოსახლეობის საკუთრება, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დანიშნულების ქონება, პირწმინდად გაძარცვეს, რაზედაც ხელი მიუწვდათ.

გადარჩნენ ისინი, ვინც ჩაის პლანტაციებს, უღრან ტყეებს, სპეციალურად მომზადებულ სამალავებს, მიწათხრილებს შეაფარეს თავი.

გადარჩენილი მოსახლეობა კუნაპეტ ღამეში, ჩამოწოლილ ნისლსა და კვამლში ეძებდა შინაური და გარეული ცხოველებისგან დამახინჯებულ თანამოძმეებს, ახვევდა პოლიეთილენის პარკებში და აბარებდა მიწას.



*ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რაც მოხდა, რათა არ განმეორდეს.*

ცნობილია, რომ "პირველ წმენდას" მოჰყვა მეორე (1995 წ.), მესამე (1996 წ.), მეოთხე (1998 წლის მაისში); "წმენდები", სხვადასხვა ინტენსივობით, 10 წელიწადია გრძელდება და არავის მიაჩნია საეჭვოდ, რომ "ცივილური" ფორმებით კვლავაც გაგრძელდება.

იქნებ ეს სტრიქონები წაიკითხონ აფხაზებმა, მათ შორის იმათაც, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობდა. ამჟამად ხალხი და ხელისუფლება ერთად ვართ, ჩვენი მომრევი არავინ არის, ჩვენ მიერ დაუძლეველი საქმეები არ არსებობს!

## შამბას მუქარა

19 თებერვალს, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებთან შეხვედრისას, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში საზღვრის დამრღვევ ყველა საცურაო საშუალებას ცეცხლი უნდა გაუხსნან.

აფხაზური მხარე აცხადებს, რომ ქართველი მესაზღვრეების მიერ საზღვრის დამრღვევი საცურაო საშუალებებისთვის ცეცხლის გახსნას ცეცხლითვე უპასუხებს.

**"აფხაზური მხარე არც ერთ კონკრეტულ შემთხვევას უპასუხოდ არ დატოვებს და ვნახოთ, ვისი აჯობებს,"** - განაცხადა სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადების კომენტირებისას.

**"ქართველ პოლიტიკოსებს, როგორც ჩანს, მოკლე მეხსიერება აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ საომარი მოქმედებების დროს აფხაზურ მხარეს ქართულისთვის აფხაზეთის აკვატორია არ დაუთმია და არც ახლა აპირებს რაიმეს დათმობას,"** – გააგრძელა მუქარა შამბამ.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო უწყების ხელმძღვანელი შეახსენებს ქართულ მხარეს, რომ აფხაზეთის აკვატორიით ხშირად სარგებლობენ ქართული სამგზავრო და სატრანსპორტო საშუალებებიც, "რომელთათვისაც ზიანის მიყენება აფხაზური საზღვაო ძალებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს".

**"მეკობრეობას მეკობრეობითვე ვუპასუხებთ, შემდეგ კი თბილისიდან მუდარის შემცველი ზარები დაიწყება ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებათა განახლების თაობაზე,"** – ნიშნისმოგებით დასძინა მან.

*ინტერ-პრესი*

ნომრის სტუმარი

# ძაფი, რომელიც პრეზიდენტს საზოგადოებასთან დააკავშირებს

პირველი გვერდიდან

*პრეზიდენტთან ახლოს დგომა სიამოვნების გარდა მთელ რიგ საფრთხეებს შეიცავს - სამწუხაროდ, ინტრიგა და მლიქვნელობა ძველ ხელისუფლებას თან არ წაუღია. ახალი ხელისუფლება იშორებს ყველაფერს, რაც ძველს კომფორტს და ქვეყნის ბიუჯეტს დისკომფორტს უქმნიდა. ქვემოთ ცოტა რამ იმის შესახებ, თუ როგორ აპირებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამ მარადიული საფრთხეებისგან თავის დაღწევას. დანარჩენს კი, ჯერჯერობით, ახლო მომავლის გეგმები ჰქვია.*

**- როგორ გრძნობთ თავს ამ შენობაში?**

- საკმაოდ უხერხულად. ცუდად გაკეთებული შენობა არ არის, მაგრამ სხვა მიზნით აშენებდნენ. ისეა დაგეგმილი, რომ ოთახი ძალიან დიდია ერთი ადამიანისთვის, ან ძალიან პატარა. ის, რაც უნდა იყოს, არ არის.

**- პრეზიდენტის სამუშაო დღეს თქვენ გეგმავთ?**

- ამ პროცესში, ცხადია, მონაწილეობას ვიღებთ, რადგან პრეზიდენტის ყველა თანამშრომელი, მისი პირადი სამდივნო, პირადი მდივანი ადმინისტრაციის ნაწილია. ნელ-ნელა ჩვენი კოლექტივი ყალიბდება.

დღის წესრიგის შედგენა უშუალოდ ჩემი კომპეტენცია არ არის - ეს მისი სამდივნოს საქმეა, მაგრამ ხანდახან ამ თემასთანაც მაქვს შეხება.

**- რა სიხშირით ეკონტაქტება ადმინისტრაცია მთავრობას?**

- ცხადია, ყოველდღიურად.

**- რა სტადიაშია რეზიდენციის მშენებლობა?**

- სამუშაოებს ქალაქის სამსახურები აწარმოებენ, რადგან ადმინისტრაციას ჯერ არც ბიუჯეტი აქვს, არც სახსრები და ჯერ არანაირად არ შევხებივართ ამ საქმეს.

იქ რთული სატრანსპორტო სისტემაა. მოგეხსენებათ, იმ ტერიტორიაზე უზარმაზარი საკათედრო ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელსაც აგრეთვე აქვს მისასვლელი გზების პრობლემა. იქ ადამიანების დიდ რაოდენობას მოუწევს თავის მოყრა, ამიტომ ტერიტორიის განვითარების სრული გადაწყვეტის გარეშე ეს საკითხი არ მოგვარდება. სარეზიდენციო შენობის გარემონტება და წესრიგში მოყვანა დაკავშირებული არ არის არც დიდ ფინანსურ სახსრებთან და არც დროსთან. ეს დამოკიდებულია, თუ როგორ წაიწევს წინ ქალაქი ამ ტერიტორიის დაგეგმარებისა და მოწყობის თვალსაზრისით.

**- მარცხენა სანაპიროზე დასახლების იდეა პრეზიდენტს ვინ მიაწოდა?**

- რეზიდენციის არსებობა ქალაქის იმ ნაწილს განვითარების საშუალებას მისცემს. იმ რაიონში, ტრადიციულად, მძიმე კომუნალური პირობები იყო. ინფრასტრუქტურის განვითარება გარკვეულ ინვესტიციებთან არის დაკავშირებული. ვფიქრობ, რომ ამ მხრივ, სწორი გადაწყვეტილება იყო. დღეს ვსაუბრობთ სახელმწიფო რეზერვებში არსებული შენობების გამოყენებაზე. თუ რეზიდენციის მშენებლობა ინვესტიციებს მოიზიდავს, მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ ქონებას ფასი დაედება და შვებას იგრძნობენ, ეს მისასალმებელია.

ეს იყო პრეზიდენტისთვის ჩვეული არასტანდარტული გადაწყვეტილება და ტექნოლოგიური სირთულეების არსებობის მიუხედავად, ვფიქრობ, სწორი ნაბიჯი იყო.

**- ყოფილ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურს გარკვეული ქონება ჰქონდა. რა ბედი ეწევა მას?**

- ეს სამსახური ლიკვიდაციის პროცესშია. სალიკვიდაციო კომისიის შექმნა აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ მიღებულ ახალ კანონში ჩაიდო. ამ ქონების უდიდესი ნაწილი ეკონომიკის სამინისტროს, ქონების მართვის სააგენტოს გადაეცემა. ასე რომ, ამ ქონების ბედის გადაწყვეტაში ვერ ჩავერევით; თუმცა, ჩემი აზრით, ამ ქონებიდან ბევრი რამ საპრივატიზაციოა, რადგან ღირებულებას არ წარმოადგენს და ჯობს, ბიუჯეტს შეეწიოს. თუ ეს თანხები კაპიტალური მშენებლობებისკენ მიემართება, უკეთესი იქნება. ამგვარი რამ საპრივატიზაციო სახსრების განკარგვის ყველაზე კარგი ფორმაა.

რაღაც ნაწილი ადმინისტრაციის განკარგულებაში დარჩება - ვგულისხმობ ყოფილი კანცელარიის შენობას და იმ შენობას, სადაც პრეზიდენტის რეზიდენცია, ღამის გასათევი ადგილი იქნება - აჭარის ტერიტორიაზე არსებული ბობოყვათის რეზიდენცია... რეზიდენცია არ გვაქვს, მაგრამ აუცილებლად უნდა არსებობდეს სამეგრელოში, ჯავახეთში, იმერეთში, კახეთში - საუბარია მცირე ფართობზე, სადაც ადამიანი მოისვენებს. ვფიქრობთ, პრეზიდენტს საქართველოში ამის საშუალება უნდა ჰქონდეს.

რაც შეეხება წყნეთს. ვფიქრობთ, წყნეთის აგარაკების არსებობა და იქ მინისტრების ცხოვრება უნდა დამთავრდეს. სანატორიუმებს, სასტუმროებს, სამრეწველო ობიექტებს და მსგავს დაწესებულებებს, ქონების მართვის სააგენტოს გადავცემთ. ასეთია ჩანაფიქრი, თუმცა, გადაწყვეტილებას სალიკვიდაციო კომისია მიიღებს.

**- წინა ხელისუფლების დროს ხშირად საუბრობდნენ ამ სამსახურში არსებულ დარღვევებზე. გამოძიება ჩატარდება?**

- სალიკვიდაციო ბალანსს შევადგენთ. თუ იქ რაიმე თვალშისაცემი დარღვევა აღმოჩნდა, ვალდებულნი ვართ, სამართალდამცავ ორგანოებს შევატყობინოთ და აუცილებლად გავაკეთებთ ამას. ანდა, რაიმე კომპეტენტური ორგანო, თუნდაც, კონტროლის პალატა შეამოწმებს, მათი პრეროგატივაა და ეს ერთმანეთს ხელს არ უშლის. ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად უნდა შემოწმდეს.

სხვათა შორის, სწორედ იმიტომ მოიძებნა ლიკვიდაციის ფორმა, რომ წინა ხელისუფლებისგან არ გადავიბაროთ ტომარა, რომელშიც ჩვენთვის უცნობი რაღაც დევს.

**- ყოველგვარ დანატოვარს ასე იშორებთ, თუ არის რაიმე, რაც დასატოვებლად ღირს?**

- ყველაფერი, რაც არის, სახელმწიფოსთვის ძვირფასი და ღირებულია. ადმინისტრაციის ფუნქცია სანატორიუმებში საგზურების განაწილება არ არის. თუ ის სახელმწიფოსთვის მომგებიანი ობიექტია - უნდა მუშაობდეს. თუ წამგებიანია და საჭირო არ არის - უნდა გასხვისდეს და ნორმალური პატრონი მოიძებნოს. ეს არის ჩვენი პოლიტიკა და ვფიქრობთ, რომ ასეთი მონსტრი დაწესებულებები უნდა დაიშალოს. მათ ქვეყნისთვის ეფექტური სამსახური ვერ გაწიეს. ეს ყოველთვის იყო მითქმა-მოთქმის და ეჭვების საფუძველი, ამით ნამდვილად არ ვართ დაინტერესებულნი.

დღეს ამ შენობაში ძველი თანამშრომლების ერთი ნაწილი მუშაობს.



ირაკლი ჩუბინიშვილი

ვფიქრობთ, წყნეთის აგარაკების არსებობა და იქ მინისტრების ცხოვრება უნდა დამთავრდეს. სანატორიუმებს, სასტუმროებს, სამრეწველო ობიექტებს და მსგავს დაწესებულებებს ქონების მართვის სააგენტოს გადავცემთ.

წინა ხელისუფლებისგან არ უნდა გადავიბაროთ ტომარა, რომელშიც ჩვენთვის უცნობი რაღაც დევს.

ინსტიტუციონალურად დამოკიდებული ვერ ვიქნებით მთავრობის ხელმძღვანელისა და პრეზიდენტის პირად ურთიერთობაზე.

თუ მთავრობასთან, ან მის რომელიმე წევრთან პრობლემა შეგვექმნება და ამის შესახებ მთავრობისა და საზოგადოების წინაშე გახსნილად ვისაუბრებთ, ინტრიგა შეუძლებელი გახდება.

პირველ ეტაპზე პრეზიდენტის ადმინისტრაცია და მინისტრთა კაბინეტი ერთად უნდა განლაგდეს. ჩემი დამოკიდებულება ასეთია - თავიდან თანამშრომლებს გამოსაცდელი ვადით მივიღებთ, მაგრამ ყველა პატიოსანი პროფესიონალის შენარჩუნებას ვეცდებით. რიგ თანამდებობაზე საჯარო კონკურსი გამოცხადდება. სხვათა შორის, ბევრი განცხადებები შემოდის და როდესაც კომისია შედგება, ყველას გასაუბრებაზე დავუძახებთ.

**- პრეზიდენტის საქართველოში არყოფნის დროს ადმინისტრაცია რას საქმიანობს?**

- სამსახური მუშაობს. ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას ქვეყანაში, სხვადასხვა უწყებებში მიმდინარე პროცესების თაობაზე. ჩვენი ფუნქციაა პრეზიდენტის ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მან ჩვენგან უნდა იცოდეს, რა ხდება ეკონომიკაში, სამინისტროებში, რეგიონებში, თვითმმართველობებში. მისაღები გადაწყვეტილებების ექსპერტიზაც ჩვენი საქმეა. პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რა კანონპროექტებია და როგორ მიმდინარეობს მათი განხილვა პარლამენტში... სწორედ ამ ფუნქციების მიხედვით იქმნება ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულები.

**- ადმინისტრაციის დებულებაში მინისტრთა კაბინეტის პარალელური ფუნქციები ხომ არ შეინიშნება?**

- ჩვენ სხვა ფუნქცია გვაქვს. ადმინისტრაციაში შედის კანცელარიაც და სამეურნეო აპარატიც, რომელიც ნებისმიერი უწყების ნორმალურ ფუნქციონირებას სჭირდება. მაგრამ, საკანცელარიო და სამეურნეო ფუნქციების გარდა, პოლიტიკური ფუნქციებიც გაგვაჩნია...

**- მაკონტროლებელი?**

- ამას მაკონტროლებელს ვერ დავარქმევ. ჩვენი მოვალეობა პრეზიდენტის ინფორმირებაა. თუ ეს საჭიროა, გადაწყვეტილების მიღებაშიც უნდა მივიღოთ მონაწილეობა. იმ საკითხებს ვგულისხმობ, სადაც პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებებს.

ადმინისტრაციამ უნდა მოამზადოს საკადრო ინფორმაცია - რას წარმოადგენს თანამდებობაზე დასანიშნი ესა თუ ის კანდიდატურა. როცა რწმუნებულად, პრემიერის წარდგინებით თუ სხვა წესით, ვინმე ინიშნება, ვალდებული ვართ, მის შესახებ ინფორმაცია გვქონდეს.

ინსტიტუციონალურად დამოკიდებული ვერ ვიქნებით მთავრობის ხელმძღვანელისა და პრეზიდენტის პირად ურთიერთობაზე. დღეს შეიძლება ისინი მეგობრები იყვნენ, ხვალ, შეიძლება, პოლიტიკურმა განლაგებამ კოალიციური ან სხვა ტიპის მთავრობა მოითხოვოს - ამ შემთხვევაში პრეზიდენტის სრული ინფორმირება ადმინისტრაციის ვალია...

**- ისეთი ფუნქციები გაქვთ, ადვილად შეიძლება, ინტრიგების მსხვერპლი გახდეთ. ამისგან დამცავი რაიმე მატრიცა უკვე შექმენით?**

- არსებობს ძალიან მარტივი მატრიცა - მიხეილ სააკაშვილი თავად არის ინტრიგებისადმი მკვეთრად უარყოფითად განწყობილი პიროვნება. ამაში თავად დავრწმუნდი.

**- ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც?**

- დიახ, აბსოლუტურად გახსნილი ვარ. ინტრიგა რომ არ იყოს, საჭიროა არსებული პრობლემის ღია და ხმამაღლა დასმა. ჩვენ თუ მთავრობასთან, ან მის რომელიმე წევრთან პრობლემა შეგვექმნება და ამის შესახებ მთავრობისა და საზოგადოების წინაშე გახსნილად ვისაუბრებთ, ინტრიგა შეუძლებელი გახდება.

**- ადმინისტრაციას, დებულებით, თითქმის ყველაფრის მაკონტროლებელი ფუნქცია აქვს. მათ შორის, მარეგულირებელი რგოლისაც. მაშინდელი ოპოზიცია კანცელარიას "სემეკზე" ზეწოლაში ადანაშაულებდა. ახლა რა მიზანს ემსახურება ხელისუფლების ეს ბერკეტი?**

- ადრე მარეგულირებელი კომისია სამართლებრივად აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყო. რეალურად კი ტარიფისა და სხვა საკითხების შესახებ პრეზიდენტის კაბინეტში იღებდნენ გადაწყვეტილებებს. მარეგულირებელი რგოლი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც მთავრობის შემადგენლობაში არ შედის. აუცილებლად უნდა არსებობდეს რაიმე სახელისუფლებო რგოლი, რომელმაც იცის, რა ხდება - ჩვენ მხოლოდ ეს ფუნქცია გვეკისრება. უნდა ვიცოდეთ, რა ხდება რეგულატორში, როგორ მიდის მუშაობა და რა პრობლემებს აწყდებიან. ეს არანაირად არ გულისხმობს იმას, რომ რეგულატორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ჩავერევით. პრეზიდენტის ადმინისტრაციას საერთოდ არ გააჩნია აღმასრულებელი ფუნქცია. ამ შემთხვევაში, ის იქნება მთავრობისგან დამოუკიდებელი რგოლი, ჩვენ კი იქ მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია გვექნება. ჩვენ არ ჩავერევით, თუმცა, საკადრო ცვლილებები ყველგან მისაღებია.

**- სხვადასხვა სტრუქტურებში არსებული პროცესების შესახებ ადმინისტრაციის სრულად ინფორმირებულობა დიდწილად საკადრო საკითხებში ჩარევასაც გულისხმობს...**

- რაც პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის, ყველაფერში აქტიურად ვერევით. ჩვენ აბსოლუტურად სრულყოფილი და ალტერნატიული ინფორმაცია უნდა მოვამზადოთ. პრეზიდენტს ყოველთვის უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება.

**- დარღვევების გამოძიების მოტივით "ომეგა ჯგუფის" საწარმოები გაჩერდა. მუშა-მოსამსახურეები ღელავენ. ხელისუფლებამ დარღვევების შესახებ დოკუმენტაცია რომ წარადგინოს, ისინი დამშვიდდებიან. რატომ არ კეთდება ასე? პროკურატურას პარლამენტში დღემდე არ შეუტანია მოთხოვნა ზაზა ოქუაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე.**

- ვერ ვისაუბრებ პროკურატურის მაგივრად. მეც, როგორც ყველა მოქალაქემ, ტელევიზიით ვნახე ყალბი აქციზური მარკები და სხვა სამხილები, რაც საკმაოდ დამაფიქრებელია.

წარმოებაში, ალბათ, დაითვლება მიღებული ნედლეულისა და გამოშვებული პროდუქციის გარკვეული ბალანსი. ალბათ, უცხოელ პარტნიორებსაც ჰკითხავენ ამის შესახებ... ეს საკმაოდ ვრცელი პროცესია. საპარლამენტო გამოძიებასაც კი დიდი დრო უნდოდა და სერიოზულ გამოძიებას ბევრად მეტი დასჭირდება. არსებობს საკანონმდებლო ჩარჩოები და ნუ ვიჩქარებთ. მესმის, რომ კოლექტივს პრობლემები შეექმნა, მაგრამ საბოლოო ჯამში, მუშა-მოსამსახურეები თავის სამსახურს დაუბრუნდებიან - ვერც სტამბას და ვერც ფაბრიკას ზურგზე ვერავინ მოიკიდებს და ვერ წაიღებს. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი დარეგულირდება.

**- რეგიონებში დღეს ყველაფრის დეფიციტია. თავი წამოყვეს გაუგებარმა ძალებმა, შეინიშნება ანგარიშსწორებაც. რეგიონული სამსახური ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. როგორი სტრუქტურა იქმნება?**

- არსებულის შემცირებას ვცდილობთ. ისე მოხდა, რომ ამ სამსახურს სახელმწიფოებრივად ბევრი ფუნქცია დაეკისრა.

**- რა იქნება სიახლე, რაც მას განასხვავებს წინა, არც თუ ეფექტური რეგიონული სამსახურისგან?**

- გვინდა განსაკუთრებით ფორსირებულად განვავითაროთ თვითმმართველობები, რათა ამ სამსახურს გამგებლების დანიშვნა-გათავისუფლების და სხვა ამგვარი ტიპის ფუნქციები ნელ-ნელა ჩამოშორდეს. ვფიქრობთ, რომ ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი დეცენტრალიზაციის მაქსიმალურად სწრაფი ხელშეწყობა იქნება.

**- როგორი იქნება პრეზიდენტის პრეს-სამსახური?**

- ეს სტრუქტურა ადრე დამოუკიდებელი იყო, სადაც, დაახლოებით, 90 ადამიანი მუშაობდა - მონსტრი სამსახური იყო. ადმინისტრაციაში შეიქმნება მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელსაც თავისი პრესჯგუფიც ეყოლება და სხვა მიმართულებებითაც დაკავდება. ახალი სამსახური შედარებით მცირერიცხოვანი იქნება. რაც შეეხება ჟურნალისტებთან ურთიერთობას - პრეზიდენტის გარშემო არსებული ინფორმაცია გახსნილი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ადრე ეს სამსახური მთავრობისთვისაც იყო გათვალისწინებული, მაგრამ ჩვენ ამით არ ვიქნებით დაკავებული - მასმედიასთან ურთიერთობებს მთავრობა თავადააწყობს.

**- წინა ხელისუფლების დროს ბრძანებდით, რომ ენერგეტიკა ფინანსურად, მორალურად გაკოტრებული დარგი იყო. რა ბედი ეწია მასალებს იმ ენერგეტიკული დანაშაულების შესახებ, რომელიც წინ პარლამენტში თქვენმა კომისიამ გამოიძია?**

- სიმართლე გითხრათ, ამ პროკურორის ხელში მშვიდად ვარ, მაშინ უფრო ვღელავდი. ეს მასალები მთლიანად პროკურატურაშია და სწავლობენ. იმედი მაქვს, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართება. მართლაც, ზღვა მასალაა და მის შესწავლას რამდენიმე წელი შეიძლება დასჭირდეს.

**- პოსტრევოლუციურ ეპოქაში ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოების ჰარმონიზაციის პროცესი. რას იღონებს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამისთვის?**

- ჩვენ ვალდებულნი ვართ, საზოგადოების ყველა ფენასთან, პოლიტიკურ პარტიებთან, სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან ნორმალური დიალოგის რეჟიმში ვიმუშაოთ. უნდა გავაბათ ძაფი, რომელიც პრეზიდენტს საზოგადოების სრულ სპექტრთან დააკავშირებს.

ახლა რთულ, საწყის ეტაპზე ვართ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ რამდენიმე თვეში ეს სამსახური დალაგდება და სრული დატვირთვით იმუშავებს.

საჩუქრის ახალი ფორმა!

გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?

შეიძინეთ და აჩუქეთ გალანტერია-სალონი სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.

ვაჟა-ფშაველას 32

ტელ: 911991 877-791991





# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
სანდრო კაკულია
"ფანჯარა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ჟან კოქტო
"თეთრი ოთახი"
რეჟისორი: ბ. ქავთარაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"აკაკი"
კოტე მახარაძის სპექტაკლი (ვიდეოჩვენება)
დას: 18:00 სთ.

## კინო

**კინოს სახლი**
ფრანგული დეტექტური ჟანრის ფილმების რეტროსპექტივა
"მარკორელის საქმე"
(ქართულ ენაზე)
დას: 18:00 სთ.

## გამოფენა

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
კახა ზარნაძის ნამუშევართა
პერსონალური გამოფენა
(ცივი იარაღი, აქსესუარები)

**"ორიენტი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა
გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

***ხუთშაბათს, 26 თებერვალს,*** 17 საათზე ციკლი "ახალი განზომილება" და ზაალ სამადაშვილი მემოთხრობეებისა და თხრობის შესახებ.

***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

## გერმანელებმა ქართული იუმორი გაიგეს და "ცოტათი გარაჭველდნენ კიდეც"

ნათია იმნაძე

დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით დიუსელდორფის უნივერსიტეტში ქართული კულტურის საღამო გაიმართა.

სიცივის და თოვლჭყაპის მიუხედავად, კვირა საღამოს 80-მდე ქართველმა, გერმანელმა და სხვა უცხოელმა სტუდენტმა მოიყარა თავი დიუსელდორფიდან და სხვა მეზობელი ქალაქებიდანაც.

საღამო გახსნა დიუსელდორფის ზოგადი ენათმეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტმა თინათინ კილურაძემ. მისასალმებელ სიტყვაში მან ამ ღონისძიების დაფინანსებისათვის მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის სტუდენტურ ორგანიზაცია "ასტას" და ყველა იმ ქართველ სტუდენტს, რომელსაც წვლილი მიუძღოდა ამ საღამოს მოწყობაში. შემდეგ მან აუდიო-ვიზუალური მასალის თანხლებით სტუმრებს ზოგადად გააცნო საქართველო და უფრო დაწვრილებით შეჩერდა დავით აღმაშენებლის ეპოქაზე და დიდგორის ბრძოლაზე.

ქართულ მუსიკაზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა დიუსელდორფის კონსერვატორიის ასპირანტი ნინო ჟვანია, რომელმაც "მუსიკალურადვე" დაასრულა თავისი სიტყვა და დამსწრეთ მოასმენინა სიმღერა "ჩაკრულო". თან ახსენა, რომ ეს სიმღერა ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიასთან ერთად, სიგნალის სახით, იქნა გაშვებული კოსმოსში და, მართალია, ჯერ ვერ მოიზიდა უცხოპლანეტელები დედამიწაზე, "სამაგიეროდ შეუძლია დაატკბოს ქართულ საღამოზე მოსული უცხოელების ყური". ამის შემდეგ უკვე მოშიებულ მაყურებლებს საშუალება მიეცათ, ამ სუფრული სიმღერის ფონზე ხაჭაპური და ქართველი გოგონების მიერ დამზადებული სხვა ქართული კერძები ეგემათ.

შესვენების შემდეგ ბუდაპეშტიდან ჩამოსულმა ქართველმა სტუდენტმა ლელა ფურცხვანიძემ საქართველოს ბუნების სიმშვენიერით მოხიბლა მაყურებლები - მან გააკეთა მოხსენება საქართველოში დასასვენებელ ადგილებსა და ღირსშესანიშნაობებზე.

ყველა მოხსენებას მდიდარი აუდიო და ვიზუალური მასალა ახლდა, ამიტომაც თითოეული თავისებურად საინტერესო აღმოჩნდა როგორც გერმანელი, ასევე, ქართველი მაყურებლისთვისაც.

საღამოს ყველაზე საინტერესო ნაწილი გახლდათ ქართული ფილმი "ყველაზე სწრაფები მსოფლიოში", რომლის სინქრონული თარგმანი გერმანულად თიკო კილურაძემ და ნინო ჟვანიამ ითავეს.

უნდა ითქვას, რომ ქართული იუმორი გერმანელებს ყოველთვის არ ესმით (ისევე, როგორც ქართველებისთვის გაუგებარია ხოლმე გერმანული იუმორი) და მათთვის ქართული კომედიის ჩვენება ერთგვარი ექსპერიმენტი იყო. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ მცდელობამ წარმატებით ჩაიარა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანულმა ტექნიკამ იუკადრისა და "არ მიიღო" ქართული კასეტა და ფირი ხარვეზებით გავიდა. თავად გერმანელებმა კი არამც თუ "მიიღეს" და გაიგეს ქართული იუმორი, გულიანადაც იცინეს (რაც არც ისე ხშირად ახასიათებთ) და როგორც ფილმის დასასრულშია ნათქვამი, "ცოტათი გარაჭველდნენ კიდეც".

აღინიშნა ისიც, რომ დიუსელდორფში, 3 თვეა, ტარდება ქართული ენის კურსი გერმანელებისათვის, რომელიც ასეთი სახის პირველი გრძელვადიანი ენის კურსი გახლავთ გერმანიის მასშტაბით (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის tikig001@uni-duesseldorf.de); ახლო მომავალში დაგეგმილია, ასევე, ქართული ხალხური სიმღერისა და საგალობლების შემსწავლელი კურსის გახსნაც; 23 აპრილს კი ქართული ენის დღესთან დაკავშირებით დიუსელდორფის სახალხო სკოლაში ჩატარდება ქართულის ენისა და კულტურის საღამო.

საღამოს დასასრულს გამხიარულებულმა და გაამაყებულმა ქართველებმა, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი სტუდენტის გიორგი მარიამიძის თაოსნობით, ქართული ცეკვები წამოიწყეს და ქართული სიმღერებით დაასრულეს საღამო.

ამ ღონისძიებით ფრიად კმაყოფილები დარჩნენ გერმანელებიც, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, უფრო დაწვრილებით გაეცნონ საქართველოს კულტურასა და ისტორიას. ასე რომ, იმედი გვაქვს, ასეთი საღამოები რეგულარულად ჩატარდება დიუსელდორფში, რაც მცირეოდენ წვლილს შეიტანს კულტურათა დაახლოების საქმეში და საქართველოსთვის ევროგაერთიანებისკენ მიმავალ გრძელ გზას დაამოკლებს.

# ემი!

### როგორ დასდევდა ორი ქართველი მამაკაცი ამერიკელ გოგოებს

ანა კორძაია-სამადაშვილი

მათ, ვინც ირაკლი სოლომანაშვილისა და ლევან ადამიას სევდიან თავგადასავალს თვალს არ ადევნებდა, მოვახსენებ:

გასულ წელს, პირველად ჩვენი პატარა ქვეყნის ისტორიაში, ამ ორმა ქართველმა ახალგაზრდამ "ემი", ანუ სატელევიზიო "ოსკარი" დაიმსახურა. რასაკვირველია, ჯილდოს გადაცემის ცერემონიას ისინი ვერ დაესწრნენ, ამერიკა შორია, ვიზას დრო უნდა, ფრენას - ფული, მოკლედ, ვერ დაესწრნენ. მაგრამ ირაკლის და ლევანს მაინც ძალიან უხაროდათ.

მერე გაირკვა, რომ "ემის" სანუკვარი ქანდაკებები გზაშია, და სულ მალე საქართველოში ჩამობრძანდებიან. მამაკაცებმა კიდევ უფრო გაიხარეს. ოღონდ, "ემები" არ ჩანდნენ. ლევან ადამიამ შეერთებულ შტატებში დარეკა და იქ მოახსენეს, თქვენი ჯილდოები რა ხანია, ჩამოსულიაო. მართლაც, 21 იანვარს ჩამოსულა, ოღონდ ლევანმა და ირაკლიმ ეს არ იცოდნენ. ირაკლი მოხელეების გამართლებას ეცადა, ლევანმა ტელეფონის ნომერი გამოიცვალა და, ალბათ, ხმა ვერ მიაწვდინესო. დამეთანხმებით, ძალიან ძნელია ამხელა საქართველოში ერთი ლევან ადამიას და ერთი ირაკლი სოლომანაშვილის პოვნა, თან "ემიც" ხომ იმდენი ჩამოგვდის!

ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ დროს დატრიალებული მოვლენების ფონზე, მოგეხსენებათ, ძალიან კანონმორჩილი ხალხი დავდექით, და ირაკლიმ და ლევანმაც



გატეხილი და დაუზიანებელი ჯილდოები

გულმოდგინედ შეისწავლეს ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელიც საბაჟო გადასახადებთანაა დაკავშირებული. აღმოჩნდა, რომ კერძო პირისთვის 300 ლარზე მეტად ღირებული ყოველი საფოსტო გზავნილი იბეგრება, და არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ტეფალის ტაფებია შიგ თუ ოლიმპიური მედალი: კანონი კანონია. ამ კანონის თანახმად დათვალეს, რომ თითოეული "ემი" 210 ამერიკული დოლარი ღირს, რომ ამას ემატება სატრანსპორტო ხარჯები, მერე – წონა ("ემი" საკმაოდ მძიმეა, მეც ავწიე, აბა, სხვა დროს როდის ველირსები "ემის" ხელში დაჭერას), მერე - კიდევ რაღაცა, და საბოლოოდ, ყველაფერ ამის 34 პროცენტი, ანუ 520 ლარი, ირაკლისა და ლევანს იმისთვის უნდა გადაეხადათ, რომ თავიანთი ჯილდო მიეღოთ.

"ეს ამბავი მთლიანად რომ გადაგველღო, კიდევ ერთ "ემის" მივიღებდით," ამბობს ირაკლი სოლომანაშვილი. "რა ვსდიეთ ჩვენს ამერიკელ ქალებს!" ისე, ქალიცაა და ქალიც!

საბედნიეროდ, გამოჩნდა "ბაზის-ბანკი", გადასახადი გადაიხადა, და გუშინ ლევანმა და ირაკლიმ თავიანთი "გოგოები" დიდი ზარ-ზეიმით საცავიდან გამოაბრძანეს.

მართალია, ირაკლის "ემი" ხეიბარია. ვიღაცას კოლოფი ხელიდან გაუვარდა და ფეხი მოსტეხა. მაგრამ ირაკლი ამას აღარ ჩივის და ყაყანის ატეხვასაც აღარ აპირებს. ქართველი ოქრომჭედლები ყოჩაღი ხალხია, ერთ "ემის" როგორ ვერ მიაბამენ ფეხებს...

# ზიჩი, კიჩი და ნინა რიჩი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ამ პროექტს წარმოადგენენ თბილისელთათვის კარგად ცნობილი "ძველი გალერეა", არანაკლებ ცნობილი ხელოვანი კოტე ჯინჭარაძე და მხატვრული პროექტების ინსტიტუტი – თურმე ასეთიც არსებობს. სწორედ ამ უკანასკნელის თანამშრომლებს გადასცა ექსპოზიციაში წარმოდგენილი ნამუშევრები მხატვარ კიჩის მეუღლემ, ფრანსუაზა ვირილიომ, რომელიც ცნობილი ფრანგი კულტუროლოგის, პოლ ვირილოს დაა. დაიბენით? ჯერ სად ხართ!

"როდესაც გამოჩენილი უნგრელი მხატვარი, მიხაი ზიჩი, 1886 წლის 17 ოქტომბერს თბილისის სალიტერატურო საზოგადოებას ქართველიშვილის რედაქციის "ვეფხისტყაოსნისთვის" 34 ილუსტრაციის ორიგინალებს პეტერბურგიდან საქართველოში გასაგზავნად ამზადებდა, ბუდაპეშტში, შანდორ პუშკაშის 6 ნომერ სახლში, ლასლო ჩიკოში თავისი პირველი ვაჟის, მიკლოშის დაბადებას აღნიშნავდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ..." – ასე იწყება შესანიშნავი ამბავი, რომელშიც მიხაი ზიჩის ნამუშევრების ორიგინალებს ასლებით ცვლიან, დიპლომატიური ნომრებით აღჭურვილი შავი კადილაკები საბჭოთა ტანკებს გადამწვარ ქუჩებში გაურბის, ხოლო თვალზე ცრემლმომდგარი კიროშ ჩიკოჩი, შემდგომში კიჩი (სახელი-



კოტე ჯინჭარაძე

სა და გვარის პირველი მარცვლების ამბავია), ღმერთს მხოლოდ ლიფტში გაჩხერილი ბაბუის გადარჩენას ევედრება – ვაგლახ, პარიზში ჩასულმა ბაბუა მიკლოშის შესახებ ვერანაირი სანუგეშო ინფორმაცია ვერ მოიპოვა...

მერე ირკვევა, რომ საფრანგეთის მიერ მოწყალედ შეკედლებული ბუდაპეშტის სახვითი ხელოვნების მუზეუმის პატივსაცემი თანამშრომელი, კიროშ ჩიკოჩი (როგორც მოგახსენეთ, შემდგომში კიჩი), ლუვრის მუზეუმის საცავებში შედევრებს ასლებით ანაცვლებდა, და იმდენად დაოსტატდა, რომ მისი ხელწერის ორიგინალისგან გარჩევა ექსპერტებსაც კი უჭირდათ; მერე კიჩი ნიუ იორკში გადასახლდა – თავს უშველა - და სად აღარ იყო, რას აღარ სჩადიოდა: ასლებით ნაშოვნი ფულის ნაწილი საჰაერო ბუშტების მწარმოებელ ფირმაში ჩადო, ნაწილი ჩქაროსნული ლიფტების კორპორაციის აქციებში დააბანდა – ეტყობა, ბაბუის დარდი დროსა და თავგადასავლებს არ გაჰყოლია. ისე, საცოდავი, თავადაც, ბაბუის მსგავსად, ლიფტში დაიღუპა, ტყუპი ცათამბჯენების ჩქაროსნულ ლიფტში.

ჰო, რაც მთავარია: მისმა მეუღლემ ნინა რიჩის პარფიუმერული მაღაზია გახსნა.

ასე აღმოჩნდნენ ერთად ზიჩი, კიჩი და ნინა რიჩი – სულ ერთი კაცის, მხატვარ კოტე ჯინჭარაძის წყალობით. მანვე გამოფინა "ძველ გალერეაში" კომუნისტური რეჟიმისგან გადარჩენილი, შავი არტ-ბაზრის მაფიიდან თავდაღწეული კიჩის მიერ სამოცდაათიან წლებში შექმნილი მცირე ზომის კოლაჟები.

მე სიამოვნებით გავიცნობდი ოდესმე დიდებულ ავანტიურისტს, ბატონ კიჩს. "მის" შედევრებსაც სიამოვნებით დავიკიდებდი სახლში – ლამაზია. და ასეთივე სიამოვნებით კვლავ ვეწვევი "ძველ გალერეას" – იქნებ მასპინძლებმა, ქალბატონმა მანანამ და ბატონმა არჩილმა, ჩაიზე დამპატიჟონ და კოტე ჯინჭარაძემაც არ დაიზაროს, კიდევ მიამბოს "ზიჩის, კიჩის და ნინა რიჩისთანა" საინტერესო ამბავი.

# დეტექტივი ფრანგულ-ქართულად

ნათია ვადაჭკორია

ამ ბოლო პერიოდში ჩვენ ყოფას თუ გადავხედავთ, ბევრი ტვინის ჭყლეტა არ დაგვჭირდება იმის მისახვედრად, რომ ცხოვრება ნამდვილ დეტექტივად გვექცა, უფრო სწორად - "საპნის ოპერასავით" დაუსრულებელ დეტექტიურ სერიალად. კინოში წასვლა ან ტელეეკრანთან რბილ სავარძელში მოკალათება სულაც არ არის აუცილებელი ამ ჟანრის ყველა სახეობის სანახავად. ამ შთამბეჭდავ სანახაობას, თავისი ყველა დამახასიათებელი ნიშნით - ავტომატიანი ნიღბიანებით, ხელბორკილებით, გამომძიებლებითა თუ პროკურორებით – თითქმის, ყოველ დღე ვაწყდებით.

ეს წინასიტყვაობა უკავშირდება კინოს სახლში მიმდინარე ფრანგული ფილმების კვირეულს, რომლის სახელწოდებაა "ყველა ჟანრის დეტექტივი" (Polar en tous genres). ამჯერადაც ამ ღონისძიების მომწყობი დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრია, რასაკვირველია - კინოს სახლთან ერთად.

ფილმების კვირეულის გახსნისას დიუმას ცენტრის დირექტორმა ფრანსუა ლორანმა აღნიშნა, რომ ეს კვირეული, გარკვეულწილად (მასშტაბებს არ ვგულისხმობ), "ბერლინალესა" და "სეზარის" გადაცემის ცერემონიალს ეხმიანება. ფრანსუა ლორანი დაგვპირდა,



ყველა ჟანრის დეტექტივი







რომ საქართველოში გადაღებულ ფილმს - "მას შემდეგ, რაც ოთარი წავიდა" - რომელმაც "სეზარზე" პირველი პრემია მიიღო, წელს ქართველი მაყურებლის წინაშეც წარადგენს.

Polar-ი კი, რომელიც პოლიტიკური ფილმების, სატირის და საავტორო ფილმების ნაზავს წარმოადგენს და ამჯერად ოცწლიან ინტერვალს მოიცავს, კლოდ მილერის "დროებით პატიმრობაში", ფრანსუა ტრიუფოს "ნეტავ მალე დადგეს კვირა", შაბროლის "ინსპექტორი ლავარდენით" და სხვა ფრანგ კინემატოგრაფისტთა ნაღვაწითაა წარმოდგენილი. ყოველ დღე, შაბათი საღამოს ჩათვლით, ფილმები ქართულად ითარგმნება (მთარგმნელი – ირინა ღოღობერიძე), ხოლო ფრანგული ენის მცოდნეებს იგივე ფილმების ფრანგულ ენაზე ხილვა შაბათ-კვირასა და ორშაბათს შეეძლებათ.

მოკლედ, ჟან-ლუი ტრენტინიანის მომხიბლავი ღიმილის, პუარეს მრგვალი და ცისფერი თვალების, შეუდარებელი ფანი არდანის, ლინო ვენტურას, მიშელ სეროს, რომი შნაიდერის, გიიომ დეპარდიეს და ფრანგული კინემატოგრაფის სხვა ვარსკვლავების ხილვა თუ გსურთ, ამ კვირის განმავლობაში კინოს სახლს ესტუმრეთ. მერწმუნეთ, მაყურებელი გარეთ არსებულ რეალობას ამ კლასიკურ ფილმებს, უდავოდ, ამჯობინებს - ამის შანსი 1 მარტამდე გეძლევათ.

"ოსკარამდე" ოთხი დღით ადრე

# რაკურსით უკან: "ოსკარის" შთამბეჭდავი მომენტები

დღევანდელი ჩვენი თემა "ოსკარი" და მოდა უნდა ყოფილიყო, თუმცა, დარჩენილი დღეების განმავლობაში "წითელ ხალიჩაზე" დაბრუნებას და კინოს მიერ შექმნილი მოდური ტენდენციების გადახედვას კიდევ მოვასწრებთ. მანამდე კი ვისარგებლოთ შემთხვევით და მოვუსმინოთ "ესოშიეიტიდ პრესის" მიმომხილველს, რომელიც "ოსკარს" ექვსი ათეული წელია, თვალს ადევნებს. მისი თქმით, კინოაკადემიის ცერემონიალი ყველაზე ცნობილი, ძველი, პრესტიჟული, გავლენიანი და სანახაობრივი შოუა, მაგრამ "ოსკარი", ასევე, შეიძლება იყოს ყველაზე სულელურიც, გულუბრყვილოც და მოსაწყენიც. ცხადია, მის მიერ შედგენილი ნუსხა სუბიექტურია და ბუნებრივიც იქნება, თუ სხვებს სხვანაირი მოსაზრება ექნებათ. თუმცა, მაინც გადავხედოთ თუნდაც ერთი სუბიექტური თვალით დანახულ წარსულს და გავიხსენოთ "ოსკარის" ყველაზე პომპეზური, ამაღლევებელი, თუ, უბრალოდ, მოსაწყენი მომენტები:

**საუკეთესო მასპინძელი:** ბობ ჰოუპი – ის ყოველთვის ახერხებდა პუბლიკის გართობას.

თუმცა, წელს საზოგადოებას მოუწევს, ბილი კრისტალის იუმორს დასჯერდეს. ცხადია, სავალალო ამაშიც არაფერია. როცა აღარ გყავს ბობ ჰოუპი, ბილი კრისტალიც შესანიშნავ სუროგატობას გაგიწევს. მით უფრო, რომ თანამედროვე აუდიტორიის უმრავლესობა სწორედ კრისტალის იუმორზეა "გაზრდილი" – მისი კომედიური ეპოპეა დიდ ეკრანზე ფილმით "როცა ჰარი შეხვდა სალის" იწყება და გრძელდება რობერტ დე ნიროსთან ერთად შექმნილი ორი სურათით – "გააანალიზე ეს" და გააანალიზე ის". ცნობილი კომიკოსი მსახიობი "ოსკარს" წელს მერვეჯერ უმასპინძლებს. 1990 წლიდან მოყოლებული ის ამ რანგში მაყურებლის წინაშე ოთხჯერ წარდგა. შემდეგ რამდენიმე წლით შეისვენა და მერე 69-ე, 70-ე და 72-ე შოუებსაც უმასპინძლა.

**ყველაზე უარესი მასპინძელი:** დევიდ ლეტერმანი (1995 წელი) – გასართობი ხასიათის ღამის შოუს წამყვანი. თუმცა, ლეტერმანის ნიუიორკული ხუმრობები "ოსკარის" ფორმატს ვერ მოერგო და მაყურებელი უკმაყოფილო დარჩა.

**კულისებში გათამაშებული საუკეთესო დრამა:** 1947 წელი. ოლივია დე ჰავილანდმა თავისი მეორე "ოსკარი" მოიპოვა ფილმისთვის To Each His Own. მისალოცად მასთან და – ჯოან ფონტეინი მივიდა. ოლივიამ კი ხელი ჰკრა და მილოცვა არ მიიღო. იქვე შეკრებილ ხალხთან მობოდიშება მის პრეს-აგენტს მოუხდა: "რას ვიზამთ, ისინი ბავშვობიდან ასე არიან. ეს დაძაბული ურთიერთობა წლებია, გრძელდება".

**ყველაზე ამაღლევებელი მადლობა:** როცა ლუიზ ფლეტჩერი საუკეთესო ქალი მსახიობი გახდა ფილმში "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" შესრულებული როლისთვის, მან ოფიციალური მადლობების შემდეგ ნიშნების ენაზე ყრუ მშობლებს მიმართა. ხელების სწრაფი მოძრაობით ფლეტჩერი, თურმე, ამბობდა: "მადლობა იმისთვის, რომ ოცნება მასწავლეთ" (1976 წელი).

**ყველაზე მოკლე მადლობა:** 1968 წელს "თალბერგის" პრიზის გადაცემისას ალფრედ ჰიჩკოკმა, უბრალოდ, თქვა: "დიდი მადლობა" და სცენიდან ჩამოვიდა.

**პოლიტიკური გამოსვლები:**

ვანესა რედგრეივი პოლიტიკური აქტიურობით მუდამ გამოირჩეოდა. სანამ ჩეჩნეთის თემით დაინტერესდებოდა, ის პალესტინის პრობლემებზე გამოთქვამდა თავის ხმამაღალ მოსაზრებებს. 1978 წელს კი, "ოსკარის" სცენაზე რედგრეივმა საგანგებოდ გადაუხადა მადლობა კინოაკადემიის წევრებს იმისთვის, რომ ისინი "არ მოექცნენ სიონისტი ხულიგნების გავლენის ქვეშ და ფილმისთვის "ჯულია" მის დაჯილდოებას არ შეუშალეს ხელი".

1972 წელს სცენაზე ავიდა ინდიელთა ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი და საზოგადოებას ამცნო, რომ მარლონ ბრანდო უარს ამბობდა "ოსკარზე", რომელიც მას "ნათლიისთვის" გადასცეს.

შარშან, ერაყში ომის ფონზე, პოლიტიკური შოუს ელფერი "ოსკარს" დოკუმენტალისტმა მაიკლ მურმა მიანიჭა. "ოსკარით" დაჯილდოების მიუხედავად მური სცენაზე



კეტრინ ჰეპბერნი

ავიდა და თავისი ცინიკური ტირადა ამ სიტყვებით დაიწყო: "გრცხვენოდეთ, ჯორჯ ბუშ!".

**ყველაზე შიშველი მომენტი:** 1974 წელს, მაშინ როცა დევიდ ნივენი ელიზაბეტ ტეილორს წარადგენდა, სცენაზე შიშველმა კაცმა გაიარა, ტრანსპარანტით. ნივენმა კი თავისთვის შენიშნა: "რა ცუდია, როცა მაყურებლის გაცინება მხოლოდ გაშიშვლებით და შენი ნაკლოვანებების გამომზეურებით შეგიძლია".

**ყველაზე კრიზისული მომენტი:** სატელევიზიო ხანის დაწყების გამო სოლიდურ კინოსტუდიებს სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნათ და კინოაკადემია იძულებული გახდა 1949 წლის დაჯილდოების ცერემონიალი ძველ გარეუბანში მდებარე კინოსახლში დაედგა.

**ყველაზე შთამბეჭდავი მადლობები:**

1954 წელს რვა თვის ფეხმძიმე ევა მარი სენტმა ფილმში On the Waterfront მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის "ოსკარი" მიიღო და გაოგნებულმა ამოილუღლუღა: "მგონი, მშობიარობა მეწყება".

1965 წელს ლი მარვინმა "ოსკარი" მიიღო ფილმისთვის "ქეთ ბელოუ", რომელშიც ის ცხენებით მოჯირითე კოვბოის როლს ასრულებს. გახარებულმა მარვინმა საზოგადოებას განუცხადა: "მგონი ამ "ოსკარის" ნახევარი გარეთ, მინდორზე დარჩენილ ცხენს ეკუთვნის".

1970 წელს ჯონ ვეინი ფილმში True Grit შესრულებული როლისთვის გამოარჩიეს, რომელშიც მისი გმირი ცალთვალაა. "ეს რომ მცოდნოდა თვალზე სახვევს 35 წლით ადრეც ხომ ავიკრავდი!", - განაცხადა მსახიობმა "ოსკარის" მიღებისას.

**ქეთრინიც გამოჩნდა:** ქეთრინ ჰეპბერნი სრულიად ცალკე გამოსაყოფი მსახიობია. მან ოთხი "ოსკარი" ისე მოიპოვა, რომ ცერემონიალზე ერთხელაც არ გამოჩენილა. თუმცა, კინოაკადემიის წლის ყველაზე პომპეზურ შოუს ის 1974 წელს მოულოდნელად მაინც ეწვია. ჰეპბერნი ცერემონიალზე თავისი საყვარელი პროდიუსერის ლოურენს ვაინგარტენის დასაჯილდოებლად გამოცხადდა.

**ყველაზე ხანგრძლივი ოვაცია:** ხანგრძლივი პოლიტიკური დევნის შემდეგ, 1972 წელს ჰოლივუდში ჩარლი ჩაპლინი დაბრუნდა. ის მარტოდმარტო იდგა სცენაზე და დაბნეული სახით მქუხარე აპლოდისმენტებს ისმენდა. ბოლოს ერთი წინადადების თქმა მაინც მოახერხა: "დგება ხოლმე მომენტი, როცა სიტყვა საოცრად არაფრისმთქმელი და ცარიელია". შემდეგ ჯეკ ლემონმა ქუდი მიაწოდა და პატარა მაწანწალამაც თავისი ცნობილი ჟესტი გაიმეორა – თითების სწრაფი მოძრაობით ქუდი მოიხადა.

**ყველაზე ნაზი დამშვიდობება:** 1961 წელს ჯიმი სტიუარტმა საპატიო "ოსკარი" გერი კუპერის ნაცვლად ჩაიბარა. დარბაზში ვერავინ გაიგო, რატომ ესწრებოდა ცერემონიალს თავად კუპერი. თუმცა, მერე სტიუარტმა თავი ველარ შეიკავა, წაილუღლუღა "ოოჰ, კუპ!" და სცენა თვალცრემლიანმა დატოვა... დაახლოებით, ერთ თვეში გერი კუპერი სიმსივნით გარდაიცვალა.

სვეტი

## რა აღიზიანებთ და რა მოსწონთ თბილისელ ქალბატონებს საქართველოს პრეზიდენტში?



ლაშა ბუღაძე

ქალი გვინდოდა, მაგრამ ეს არის, რაც არისო. ხომ გახსოვთ? პრემიერ-მინისტრზე თქვა. ნუ, რა სათქმელი იყო ეხლა ეს!

სიცილი! სიცილი აქვს ცოტა გიჟური. უთხრას ვინმემ!

თმა! თმაც შესაკრეჭი აქვს.

გასუქდა...

რატომ გასუქდა?

მადლობა ღმერთს, იმ კოსტუმს აღარ იცვამს, ზოლებიანს...

ნეტავი, მრჩეველი თუ ყავს? ვის გარემოცვაშია? სანდო ხალხია? დაუძახოს ვინმე ნორმალურს... ნორმალური ხალხი შემოიკრიბოს!

რაღაცნაირად, ლამაზად, წესიერად, დახვეწილად დაიჭიროს ეს ხალხი, თუ მართლა იჭერს... რა არის ეს მხეცებივით შევარდნა!

ვერ ვიტან ამ ნიღბიან ხალხს!

მაღალი კია, ვენაცვალე. პუტინი ფეხებში ედებოდა.

ვაიმე, არ ესროლონ!

გიჟი არაა. როცა საჭიროა, თავს იგიჟიანებს.

ოჰ, დედამისს კარგად ვიცნობ...

ერთი სიტყვით, სიცილს მიხედოს, სიცილს!..

# გზააბნეული "ანგელოზი"

*მისი კინოკარიერა თითქმის დაბადებიდანვე დაიწყო, როდესაც 9 თვის ასაკში, პირველად გამოჩნდა ეკრანზე, სარეკლამო რგოლში. ხოლო 1978 წელს, 2 წლისამ ფილმ "მოულოდნელ სიყვარულში" შეასრულა თავისი პატარა როლი. 7 წლის დრიუს კი საქვეყნო აღიარება ელოდა, სტივენ სპილბერგის ფილმით "უცხოპლანეტელი".*

დრიუ ბლის ბერიმორი დაიბადა 1975 წლის 22 თებერვალს კალვერ სიტიში. კინო პატარა დრიუსთვის უცხო არ იყო, ისევე, როგორც მთელი მისი ოჯახისთვის, რომლის წინაპრებიც ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი კინოში. მისი ბაბუა – ჯონ ბერიმორი, მუნჯი კინოს ერთ-ერთი ცნობილი მსახიობი იყო, ისევე, როგორც ჯონის ძმები. ასევე დრიუს მამაც, თუმცა... მამა გაცილებით ცნობილი იყო თავისი აუტანელი ხასიათით, ხულიგნობისა თუ ნარკომანობისთვის ციხის ხშირი სტუმრობით. მიუხედავად მცირე ასაკისა, დრიუს და დედას ხომ არაერთხელ მოხვედრიათ მამის მწარე ხელი. დედა, ალბათ, ცალკე თემაა დრიუს ცხოვრებაში. ილდიკო ჯეიდი ერთი ხელმოცარული მსახიობი იყო. ის მთელი ძალღონით ჩაეჭიდა თავის პირმშოს, რომელშიც საკუთარი ინტერესების, საკუთარი სურვილების ხორცშესხმის საშუალებას ხედავდა.

როდესაც 1982 წელს ეკრანებზე სტივენ სპილბერგის "უცხოპლანეტელი" გამოვიდა, რომელიც ამერიკის კინოს ისტორიაში, ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ფილმად დასახელდა, მთელი ამერიკა მოინუსხა პატარა, ქერა კულულებიანი ანგელოზით, პატარა დრიუთი. შეიძლება სასაცილოდაც ჟღერდეს, მაგრამ ამ ფილმით 7 წლის დრიუს ცხოვრებაში, ახალი ეტაპი დაიწყო. თუმცა, წარმატებით თავბრუდახვეულმა დედა-შვილმა ათასგვარი სისულელე ჩაიდინა და ახალი ეტაპი, არც ისე წარმატებული გამოდგა. არაერთი პრესტიჟული ჟურნალის გარეკანზე მოთავსებული მომხიბლავი დრიუს ფოტოები, ჟურნალისტები, რომლებიც ერთმანეთს ასწრებდნენ პატარა მსახიობთან ინტერვიუს ჩაწერას და 7 წლის ვარსკვლავის ავტოგრაფის მოსაპოვებლად, ათასობით რიგში ჩამდგარი ამერიკელი. ბედნიერი დრიუ, დედასთან ერთად არც ერთ პრეზენტაციასა თუ საღამოს არ აკლდებოდა, ისინი ხომ ყველგან ყურადღების ცენტრში იყვნენ. - ოო, რა გემრიელი იყო "ბეილისის" ლიქიორით მოსხმული ნაყინი... ის, ხომ ყველგან და ყოველთვის ამით იტკბარუნებდა პირს. ნელ-ნელა კი ნაყინმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და დარჩა მშვენიერი, მათრობელი "ბეილისი". შემდეგ ამას მოჰყვა ათასგვარი ალკოჰოლური სასმელი, უკვე პატარ-პატარა დოზები აღარ აკმაყოფილებდა, და ნელ-ნელა 10 წლის ბავშვი, ტიპურ ლოთს ემსგავსებოდა. სასმელს სულ მალე მარიხუანა მოჰყვა... მას უკვე ისეთი სიხშირით აღარ ეძახდნენ გადასაღებ მოედანზე. პატარა, გათავხედებული, "უპატრონოდ" დარჩენილი სუპერვარსკვლავი, ნელ-ნელა ქრებოდა. 12 წლის კი, კოკაინის აქტიური მომხმარებელი იყო. დედა აქტიურად ცდილობდა შვილის პოპულარობის გაზრდას, აწყობდა რაღაც უაზრო აუქციონებს, სადაც დრიუს ბავშვობის ნივთები გამოჰქონდა გასაყიდად, წიგნიც კი დაწერა, მისი და შვილის ურთიერთობაზე, დრიუს ბავშვობაზე. ეს ხომ ძალზედ პოპულარულია ამერიკაში. იყავი მომღერალი, მსახიობი, ექიმი, თუნდაც მკვლელი, ამას არა აქვს არანაირი მნიშვნელობა. ოღონდ დაწერე ავტობიოგრაფიული წიგნი, საკუთარ თავზე, მძიმე ბავშვობაზე, ცუდ მშობლებზე... ასე მოიქცა ჯეიდიც. მართალია, წიგნს დიდი წარმატება არ ჰქონია, თუმცა... დედიკო ყველაფერს წერდა, არაფერს თაკილობდა. ისიც კი დაწერა, თუ როგორ ცდილობდა ჰოლივუდის პლეიბოის რეპუტაციის მქონე უორენ ბითი დედიკოსა და პატარა დრიუს საწოლში ჩათრევას. "სამნი ვიქნებით, მე, შენ და დრიუ" – იხსენებდა ბითის სიტყვებს ჯეიდი. იმას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თქვა თუ არა ეს ბითიმ, თუმცა ამის დაწერა, და თანაც კარგად მითითება, რომ ამ დროს დრიუ 8 წლის იყო, სენსაციაზე გათვლილი ტრიუკი იყო. რეალობაში კი დრიუ ნარკომანს, ლოთს ემსგავსებოდა. ჯერ კიდევ 10 წლიდან ღამის ბარების ხშირი სტუმარი, ახლა უკვე საერთოდ აღარ გამოდიოდა იქიდან. 1989 წელს კი, მძიმე დეპრესიის ფონზე თვითმკვლელობა სცადა, თუმცა "მიუსწრეს, გადაარჩინესო"- წერდა პრესა.



დრიუ ბერიმორი

რეაბილიტაციის ცენტრში, რამოდენიმე თვის შემდეგ, წიგნი დაწერა, ავტობიოგრაფიული "დაკარგული გოგონა", თუმცა ეს უკვე აღარ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ძველი პოპულარობა დაებრუნებინა. ნელ-ნელა წყვეტდა დედასთან ურთიერთობას, მამასთან ხომ საერთოდ აღარ ჰქონდა კონტაქტი (მხოლოდ რამოდენიმე ხნის წინ გამოჩნდა დედასთან და მამასთან ერთად, ერთ-ერთი ფილმის პრემიერაზე). ის უმნიშვნელო როლები, რომელსაც მსახიობს სთავაზობდნენ მრავალფეროვნებით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. გმირებიც ისეთი იყო, როგორიც თვითონ დრიუ, გზააცდენილი, აღვირახსნილი: "შხამიანი ხვიარა" (1992 წელი), "ემი ფიშერის ისტორია" (1993)...

არეული ცხოვრება, არა მარტო მის კარიერას, პირად ცხოვრებასაც დაეტყო. ჯერ კიდევ 17 წლის დაინიშნა, თუმცა გათხოვებამდე საქმე არ მისულა. 19 წლის კი დიდი ხნის მეგობარს, ბიზნესმენ ჯერემი თომას გაჰყვა ცოლად, სულ რაღაც 2 თვით. არასოდეს ისტუმრებდა უარით ჟურნალ "ფლეიბოის", რომელიც სულ უფრო და უფრო ხშირად აქვეყნებდა მსახიობის შიშველ ფოტოებს. შეეძლო თავხედი, უზრდელი ბავშვივით მოქცეულიყო, თუნდაც პირდაპირ ეთერში, როცა ერთ-ერთი პირდაპირი ჩართვის დროს, ინტერვიუზე მიწვეული დრიუ გიჟივით ავარდა წამყვანის მაგიდაზე, სადაც ელვის სისწრაფით შემოძრობილი მაისურის გარეშე, ისტერიული ცეკვა დაიწყო. "მე მომწონს ქალის სხეული, ის ძალიან ლამაზია. ჩემს ცხოვრებაში, ხომ არაერთი ქალი ყოფილა" - აცხადებდა თავმომწონედ და არასოდეს მალავდა თავის ბისექსუალობას.

ოდესღაც "ითის" პატარა მეგობარი, დიდი ხანი ატარებდა, აღვირახსნილი, "გაფუჭებული" გოგოს სახელს, სანამ ერთ დღესაც ყველაფერი ზღაპარივით, უფრო სწორად, ტიპური ჰოლივუდური კინოს სიუჟეტივით არ განვითარდა, სანამ მოურჯულებელი ჭირვეულიდან კონკიად არ გადაიქცა. 1996 წლიდან მოყოლებული, მთლიანად შეიცვალა იმიჯი, სტილი, შეიცვალა გმირები... მთავარი როლებით გამოჩნდა ფილმებში: "მარადი სიყვარულის ისტორია", "ქორწილებზე მომღერალი", "უკოცნელი"...

შეიცვალა ცხოვრებაშიც, როცა კომიკოსი თომ გრინი გაიცნო. ეს ყვითელი პრესის საყვარელი თემა იყო, თუ როგორ იპოვა რჩეული, მისი დიდი სიყვარული ჰოლივუდის ყველაზე "ცელქმა" ვარსკვლავმა დრიუმ. იქორწინეს საიდუმლოდ, დახურულ საღამოზე. კორტნი ლავი, ლუსი ლუ, კამერონ დიასი – მისი ერთგული "ანგელოზებიც" იქ იყვნენ. დააარსა საკუთარი საპროდიუსერო კომპანია - "ეს ხომ, ჩვეულებრივი ამბავია. ვარ მსახიობი, მაგრამ მინდა, რომ ფილმების შექმნაში კიდევ უფრო მეტად შევიტანო წვლილი. ასეთი კომპანიები ხომ თითქმის ყველას აქვს: ლეონარდო დი კაპრიოს, ტობი მაკგუერის, სანდრა ბალოკსა თუ ჯორჯ ქლუნის" – პასუხობს დრიუ. თომისთან ცხოვრებით ბედნიერი ჩანდა, იღებდნენ ფილმებში, საღამოებს აწყობდა სახლში მეგობრებისთვის. ხოლო "ჩარლის ანგელოზების" წარმატების შემდეგ ფილმის მეორე ნაწილიც გადაიღეს. თუმცა, პირველი სერიის დროს დაწყებული სასიყვარულო ისტორია ისევ ხანმოკლე აღმოჩნდა. "ის ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ ერთმანეთს ვერ ვეწყობით. მე დიდ ბედნიერებას ვუსურვებ, ოღონდ ვინმე სხვასთან" – თქვა ერთხელ თომმა, და მას შემდეგ ერთად აღარ ყოფილან. ეს ჰოლივუდის ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე ჩუმი, ხმაურისა და სკანდალების გარეშე ჩავლილი განქორწინება იყო.

7 თებერვალს ჰოლივუდის ბულვარზე, დრიუ ბერიმორის ვარსკვლავი ჩადგეს. ხოლო ამერიკაში "ვალენტინობისთვის", 13 თებერვალს გამოსულმა ფილმმა "პირველი შეხვედრა ორმოცდაათჯერ", სადაც მთავარ როლებს დრიუ ბერიმორი და ადამ სენდლერი ასრულებენ, მარტო უიკენდებზე 41 მილიონი დოლარი მოიტანა.

# კერძები "ოსკარის" ბანკეტზე

"ოსკარის" ცერემონიალის დასრულებისთანავე კინოაკადემია ისეთივე პომპეზურ ვახშამს მართავს, როგორიც თვითონ შოუა. გამოცდილი შეფმზარეული ვოლფგანგ პაკი, რომელსაც ოქროს ხელები აქვს, უგემრიელეს კერძებს მოამზადებს. ვარსკვლავები დაბრაწული ფილეს მინიონსა და მეინის კიბორჩხალას მიირთმევენ და ნიახურის ძირებიან პიურესა და ტრიუფელის სოუსსაც დააყოლებენ. პაკის კულინარულ გემოვნებას ჰოლივუდში ყველა ენდობა. ის ხომ უკვე მეათე წელია, კინოაკადემიის ბანკეტებისთვის უცხო და გემრიელ კერძებს ამზადებს. გადახედეთ, პაკის წლევანდელ რეცეპტებს და თუ არ დაიზარებთ, "ოსკარის" ვახშმის მოწყობას შინ, საქართველოშიც შეძლებთ.

**ფილე მინიონი და ლობსტერი** (ოთხკაციანი ულუფა)

*ინგრედიენტები*: ოთხი 170-გრამიანი ფილე მინიონი, წმინდად დაფხვნილი მარილი, შავი წიწაკის ფხვნილი, ორი საშუალო ზომის ახალი კიბორჩხალა (ნახევარი კიბორჩხალა თითო კაცისთვის), 8 უნცია უმარილო, დამდნარი კარაქი.

*მომზადების წესი*: გააცხელეთ ღუმელი 400 გრადუსამდე. ფილეებს ყოველი მხრიდან წაუსვით მარილი და წიწაკა. შემდეგ მაღალ ცეცხლზე დადგით ტაფა და ისინი კარგად შეწვით, ისე, რომ მთლიანად დაიბრაწონ. შემდეგ დაახლოებით 7 წუთით შედგით ღუმელში და ცოტა ხნით გვერდზე გადადეთ.

**ბულიონი**

*ინგრედიენტები*: 4 ლიტრი წყალი, 2 ლიტრი თეთრი ღვინო, 1 ოთხად გაჭრილი ლიმონი, 1 საშუალო ზომის ხახვი, 1 სტაფილო, 1 ნიახურის ღერო, 1 დაფნის ფოთოლი, 1 ჩაის კოვზი შავი წიწაკის მარცვლები, 1 ღერო ისპანახი, 1 ღერო მწვანილი.

*მომზადების წესი*: ეს ყველაფერი ერთად მოხარშეთ და შემდეგ ცოცხალი კიბორჩხალები დაუმატეთ. დაახურეთ მჭიდროდ და 8 წუთის განმავლობაში ამზადეთ. შემდეგ კიბორჩხალები ნახარშიდან ამოიღეთ და თითოეული შუაზე გაჭერით. გამოასუფთავეთ შიგნიდან, თბილი კარაქი გადაუსვით და შეინახეთ.

**პიურე ნიახურის ძირებით**

*ინგრედიენტები*: ნიახურის ძირები (დაახლოებით, 370 ან 180 გრამი), რომელთაც მოაშორებთ ზედმეტ ფოთლებს, გათლით და, დაახლოებით, 2,5 სანტიმეტრის ზომის პატარა კვადრატებად დაჭრით; 1 ან 2 პატარა კარტოფილი – ასევე გათლილი და მცირე ზომის ნაწილებად დაჭრილი; 1 ჩაის კოვზი მარილი; ჭიქა მსუყე ნაღები; 2 ჩაის კოვზი უმარილო კარაქი; თეთრი წიწაკის ფხვნილი.

*მომზადების წესი*: საშუალო ზომის ქვაბში მოათავსეთ ნიახურის ძირები და კარტოფილი, დაასხით ცივი წყალი, მოაყარეთ ცოტა მარილი და 15-20 წუთის განმავლობაში ხარშეთ. გადაწურეთ წყალი, შემდეგ კი ნიახურიან და კარტოფილიან ქვაბში ნაღები ჩაუმატეთ და საშუალო ცეცხლზე დადგით. შიგადაშიგ არც მორევა დაგავიწყდეთ, კარტოფილი ქვაბმა რომ არ მიიკრას. შემდეგ მასა გასქელდება და ნაღებსაც კარტოფილი შეიწოვს. ამ ყველაფერს, დაახლოებით, 10 წუთი დასჭირდება. შემდეგ ქვაბი გაზქურიდან გადმოდგით, შეურიეთ კარაქი, მარილი და წიწაკა გემოვნებით. შემდეგ გახეხეთ, დააბრუნეთ ისევ ქვაბში და თბილად შეინახეთ.

**ტრიუფელის სოუსი**

*ინგრედიენტები*: 28 ფრამი ტრიუფელი; 85 გრამი ტრიუფელის ნახეხი; 2 ხახვი; 1 ჭიქა თეთრი ღვინო; 1 ჭიქა ქათმის ბულიონი; ჭიქა ნაღები; 1 ჩაის კოვზი უმარილო კარაქი.

*მომზადების წესი*: სამზარეულო კომბაინში ერთად მოათავსეთ ტრიუფელის ნაწილები და ეცადეთ ნაზი მასა მიიღოთ. შეინახეთ. შემდეგ საშუალო ცეცხლზე ერთად მოხარშეთ ხახვი და თეთრი ღვინო, დაუმატეთ ქათმის ბულიონი, შემდეგ ნაღები და მანამ ადუღეთ, სანამ არ შემცირდება. შეურიეთ ტრიუფელის პიურე, გადმოდგით ცეცხლიდან და შეურიეთ კარაქი, მარილი და წიწაკა გემოვნებით.

*სუფრაზე მიტანის წესი*: ოთხ, წინასწარ შემთბარ თეფშზე კოვზით გადაიღეთ ნიახურის ძირების პიურე, ზემოდან კი დაუმატეთ თითო ფილე და ერთნახევარი ლობსტერი. ბოლოს კი მოასხით ტრიუფელის სოუსი. გემრიელად მიირთვით.

# კმარა!!!

კახა ფაჩუაშვილი

## რაგბი

დღეს ქართულ რაგბიზე გვექნება საუბარი. მაინცდამაინც ზუსტი განმარტება ვერ არის. რაგბი რაგბია და ქართული თუ სხვა ქვეყნის, უბრალოდ, არ არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში პირობითად ასე გამოვთქვათ. ვეცდები, შეძლებისდაგვარად დავასაბუთო, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა "დიდი კვარტეტი" უნდა გადადგეს. უპირობოდ და ისევე ვაჟკაცურად, როგორიც თვითონ რაგბია.

ეს წერილი უფრო ადრე უნდა დაწერილიყო. პორტუგალიასთან დამარცხების შემდეგ მაინც, მაგრამ, რადგან რაგბის სამყაროში ჩემზე ბევრად ავტორიტეტულმა ადამიანებმა მიიჩნიეს, რომ დახანება ჯობდა, შევჩერდი. ახლა კი ვფიქრობ, შევცდი და გულწრფელად ვნანობ. იმდენი და ისეთი ელემენტარული შეცდომები გამოჩნდა, რომ შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს.

ახლა მნიშვნელობა არ აქვს, რომელმა რგოლმა ითამაშა უკეთ. შექმნა თუ არა პორტუგალიის წინააღმდეგ შერკინებამ უდიდესი უპირატესობა, რომელიც ხაზის მოთამაშეებმა ლელოდ ვერ გადააქციეს – 9 ნომერმა შერკინებიდან ბურთი დროულად ვერ გამოიტანა, 10-მა ნომერმა აუტში ვერ გადააგდო ბურთი, ხაზის მოთამაშეებს ბურთი ხელიდან უვარდებოდათ, მსაჯიც სცოდავდა – ეს ყველაფერი წვრილმანია და ამაზე კამათი, ისევე, როგორც მარცხის კონკრეტულ მოთამაშეებზე გადაბრალება, ხეირიანს არაფერს მოგვცემს. რაგბი გუნდური თამაშია და რაკილა გუნდი აგებს, ესე იგი ცუდად ითამაშა. აქ საუბარი არ არის მორაგბეთა თამაშზე. საუბარი ეხება მწვრთნელთა გადაწყვეტილებას, რომლებმაც მინდორზე ის მოთამაშეები გამოიყვანეს, ვინც კონკრეტული მატჩისთვის სათანადოდ მზად არ იყო.

რატომ ვერ ითამაშეს სამხარაძემ და კვინიხიძემ, იმიტომ, რომ გამოცდილება და პრაქტიკა აკლიათ და მოულოდნელად თავისთვის უცხო გარემოში აღმოჩნდნენ. შესაბამისად არც ფსიქოლოგიურად იყვნენ მზად ერთა თასის დონის მატჩისთვის. იგივე დაემართათ მაისურაძესა და ალანიასაც, რომელიც ნაკრებს დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. ბუნებრივია, რომ მწვრთნელს ეს გარემოებები უნდა გაეთვალისწინებინა და რადგან ვერ გაითვალისწინა, ესე იგი შეცდომა დაუშვა.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ აღიარა, რომ პორტუგალიასთან მატჩის შემდეგ გუნდმა რეგრესი განიცადა და ესპანეთში იმაზე უარესად ითამაშა, ვიდრე პორტუგალიასთან თბილისში. პრეზიდენტს თბილისური მატჩის 10 წუთი მოეწონა, როცა პორტუგალიელთა ჩათვლის მოედანთან ვტრიალებდით და მიზანმიმართულ შეტევებს ვახორციელებდით. ესპანეთში კი ის ათი წუთიც არ ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის წინააღმდეგ შანსი არ გვექნება, თუ, რა თქმა უნდა, იგივე შემადგენლობით ვითამაშებთ, როგორც წინა შეხვედრებში.

კლოდ სორელი წავიდა და მწვრთნელთა კვარტეტმა გადაწყვიტა, შექმნას ახალი გუნდი, რომელმაც, ჩანაფიქრით, 2007 წლის მსოფლიო თასზე უკეთესი შთაბეჭდილება უნდა დატოვოს. ამ ახალ გუნდში კი პრიორიტეტი ადგილობრივ მორაგბეებს მიენიჭება. იდეა, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ მისი განხორციელება - საკმაოდ რთული და, ვფიქრობ, 2007 წლის მსოფლიო თასამდე არც მოესწრება. ამიტომ განვითარების სხვა საშუალება უნდა მოვძებნოთ.

ადგილობრივი კადრებით მხოლოდ განვითარებული სარაგბო ქვეყნების გუნდები ივსება. თვით რუმინეთიც კი, რომელსაც საქართველოზე ბევრად უკეთესი ინფრასტრუქტურა აქვს, ერიდება ადგილობრივ მორაგბეებზე დაყრდნობას და გადამწყვეტ შეხვედრებში გუნდის აბსოლუტურ უმრავლესობას ლეგიონერებით ავსებს.

საქართველოს ერთი სარაგბო მოედანიც არა აქვს. არ ჰყავს პროფესიული კლუბები, არ გააჩნია ინფრასტრუქტურა, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი დონის, ნაკრებისთვის გამოსადეგი მორაგბის აღზრდა უაღრესად რთული და პრაქტიკულად წარმოუდგენელი საქმეა. სწორედ ამიტომ მიჰყავდა კლოდ სორელს მორაგბეები საფრანგეთის სხვადასხვა ლიგაში და, შედეგად, გუნდმა მსოფლიო თასზე თამაშის უფლება მოიპოვა.

მწვრთნელთა კვარტეტმა კი ცარიელ ადგილზე ოაზისის გაშენება გადაწყვიტა. დაშალა აწყობილი გუნდი და მის ადგილზე ყოვლად გაურკვეველი წარმონაქმნი შექმნა. ამის შედეგად "ბორჯღალოსნებმა" ორი უფერული მატჩი გამართეს და სამარცხვინო შედეგით დაასრულეს. ლოგიკურად, შედეგი დღევანდელ რეალობას ასახავს.

ეროვნულ ნაკრებში თავი მოიყარა იმ კონტინგენტმა, რომელიც წინასწარ მარცხისთვის იყო განწირული. ანუ გუნდში, საკვანძო პოზიციებზე, აღმოჩნდნენ არა მზარდი, არამედ ის მორაგბეები, რომელთა საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა. შესაბამისად, ამ მოთამაშეთაგან დადებითი შედეგის მიღწევა თავიდანვე ყოველგვარ რეალობას მოკლებული იყო. და მაინც ვათამაშეთ.

კულუარებში ამბობენ, რომ ეს მათი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მოხდა და თუ ეს მართალია, მით უარესი. მწვრთნელი, რომელიც მორაგბეთა ამბიციებს გადაჰყვება და შემადგენლობას მათი ახირების შესაბამისად ადგენს, უბრალოდ, არ ვარგა. ამდენად, არგუმენტი, რომ თაობათა ცვლის გამო საქართველოს ნაკრების თამაშში მოსალოდნელია ჩავარდნა, მცდარია და არ გამოდგება.

თაობათა ცვლა, ბუნებრივია, ნებისმიერი გუნდისთვის მტკივნეული პროცესია, მაგრამ ის თანდათანობით, ნელ-ნელა მიმდინარეობს. ამ პროცესის მთელი სიმძიმე კი ის არის, რომ გუნდი თანაბარძალოვან მეტოქეებს ვერ უმკლავდება. სუსტ მეტოქესთან მარცხი კი უკვე რეგრესს ნიშნავს. მოდი, ვაღიაროთ, რომ საქართველოს ნაკრები რეგრესს განიცდის და ეს, პირველ რიგში, მწვრთნელთა "დიდი კვარტეტის" დამსახურებაა.

პორტუგალიასთან თბილისურ მატჩში, ბორჯღალოსნების ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა რამდენიმე ისეთი მორაგბე, რომელთა ამბიციებზეც ბოლო დროს ასე ხშირად საუბრობენ. ეს უკვე დიდი შეცდომა იყო. თუ ახალი გუნდი იქმნება, მაშინ აქცენტი მზარდ, პერსპექტიულ მორაგბეებზე უნდა გაკეთდეს და ისინიც გუნდს თანდათანობით შეეზარდონ. პორტუგალიასთან კი სრულიად სახეშეცვლილი ნაკრები ვიხილეთ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა. ამდენად, მათი თამაში ნაკრებისთვის ვერაფერი სარგებელი იყო. კლოდ სორელის მწვრთნელობისას ასეთები "დაჩაგრულთა კატეგორიას" შეადგენდნენ და ფრანგს საკუთარი ხალხის ლობირებაში ადანაშაულებდნენ.

არადა, კლოდ სორელმა "24 საათისთვის" ამას წინათ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საფრანგეთში იმ მორაგბეებს უკვალავდა გზას, რომლებსაც მას ქართველი სელექციონერები უმზადებდნენ. ასე რომ, თუ რომელიმე ნიჭიერი მორაგბე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ესეც ფრანგის კი არა, ისევ ჩვენი უხეირობით მოხდა.

პორტუგალიასთან მატჩში, ძირითად შემადგენლობაში, ერთბაშად რამდენიმე ახალბედა გამოჩნდა. 9 და 10 ნომერი - სამხარაძე (დებიუტანტი), კვინიხიძე (ერთი მატჩი რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ), შერკინების მესამეხაზელი მაისურაძე (დებიუტანტი) და დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებში დაბრუნებული კახა ალანია. ეს მორაგბეები "ლოკომოტივის" ღირსებას იცავენ, გუნდისა, რომელმაც წელიწადში შეიძლება სამი-ოთხი მეტ-ნაკლებად ხეირიანი მატჩი გამართოს. მაგრამ რაკი ეროვნული ჩემპიონატი დეკემბერში დასრულდა, ლოკომოტიველებს სათამაშო პრაქტიკა აშკარად აკლდათ.

მიუხედავად ამისა, მწვრთნელებმა ისინი ძირითად შემადგენლობაში დააყენეს. ბუნებრივია, მათ თამაში არ წაუვიდათ და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ესპანეთში ამ კვარტეტს ბარკალაია ("ლელო"), უჩავა ("აკადემია") და ნონო ანდღულაძე ("ლოკომოტივი") დაემატა. ეს კი უკვე ნახევარი გუნდია. თუ ვაღიარებთ, რომ საქართველოს ჩემპიონატი დაბალი დონისაა და არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა აქვს, მაშინ გაუგებარია, რატომ ვფიქრობთ, რომ, ფაქტობრივად, საქართველოს კლუბების ნაკრები პორტუგალიის ან, თუნდაც, ესპანეთის პირველ გუნდს დაამარცხებს?

აქ კარგი იქნება, თუ მცირე ხნით შევჩერდებით და გავარკვევთ, რისი გაკეთება გვსურს. თუ ერთა თასის გათამაშება ჩვენთვის მარტოოდენ ექსპერიმენტებისა და გართობის სარბიელია, მაშინ ლეგიონერებს ნუ გამოვიძახებთ და ფულიც დაგვეზოგება. ხოლო თუ მომავალი მსოფლიო თასის გათამაშებისთვის ვემზადებით, მაშინ ერთა თასის ტურნირი სავარჯიშოდ არ გამოგვადგება და საქართველოს რაგბის კავშირმა კეთილი უნდა ინებოს და სავარჯიშოდ ბორჯღალოსნები ამხანაგური მატჩებით მოამარაგოს.

თუ კლოდ სორელი გავუშვით, მასზე ძლიერი და განსწავლული სპეციალისტი უნდა მოგვეწვია. ჩვენ კი ეროვნული ნაკრების საჭესთან ქართული კვარტეტი გავამწესეთ. აბსურდია იმის ფიქრი, რომ მწვრთნელი (თუ მწვრთნელთა კვარტეტი), რომელიც წელიწადში სამ-ოთხ ხეირიან მატჩს ადევნებს თვალს და არც შესაბამისი პრაქტიკა და გამოცდილება აქვს, უკეთესად გაუძლვება ნაკრებს, ვიდრე ერთი ფრანგი - სარაგბო სამყაროში ჩახედული და განსწავლული პიროვნება.

მომავალი წლიდან ერთა თასის გათამაშება 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ციკლის დატვირთვასაც მიიღებს და სახუმაროდ ნამდვილად აღარ გვექნება საქმე. ტურნირს სავარჯიშოდ ვეღარ გამოვიყენებთ. ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ, თუ არაფერი შეიცვალა, ბორჯღალოსნები მსოფლიო თასის მიღმა აღმოჩნდებიან და მომავალში, ვინ იცის, იქნებ უარესიც დაგვემართოს. დრო ჯერ კიდევ გვაქვს და რაც უფრო ადრე ვუხმობთ ჩვენი გუნდისთვის შესაფერის, განსწავლულ სპეციალისტს, მით უკეთესი.

ფეხბურთი

# "არსენალი" მეოთხედფინალშია... ფაქტობრივად

ლონდონის "არსენალმა" კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სათამაშო ზენიტში იმყოფება. ვიგოში "სელტა" 3:2 დაამარცხა და სპეციალისტთა საერთო აღიარებით, ფაქტობრივად, გაინაღდა კიდეც მეოთხედფინალის საგზური. ლონდონში "სელტას" მინიმუმ ორი ბურთის სხვაობით გამარჯვება სჭირდება, იმისთვის, რომ ვენგერის გუნდის ბარიერი დაძლიოს, ამის კი თავად ესპანელებს არ სჯერათ. "დღეს დიდ გუნდთან დავმარცხდით," - ასეთი იყო ესპანელთა მთავარი მწვრთნელის მატჩის შემდგომი ვერდიქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ "სელტას" ნირი საბოლოოდ წაუხდა.

"არსენალმა" თავისას მიაღწია, მაგრამ გუშინდელი საღამოს გვირგვინი, რა თქმა უნდა, "ბაიერნი" - "რეალის" დაპირისპირება იყო. მიუნხენელთა ფრანგი მცველის ბიქსენტ ლიზარაზუს აზრით, მადრიდელებმა ჯერ კიდევ შარშანდელ სეზონში დაგვანახეს, რომ მათი დამარცხება შესაძლებელია, ამიტომ "ბაიერნი" მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს. "რეალს" ოდნავ სხვა ამოცანა ჰქონდა, მას დადებითი შედეგი უნდა ეჩვენებინა და ამასთან უნდა დაემტკიცებინა, რომ ცირკის ჯამბაზებით დაკომპლექტებული არ არის, როგორც ამას ული ჰიონესი აცხადებდა. მადრიდელებმა მიზანს მიაღწიეს და დაამტკიცეს, რომ ღირსეულად ატარებენ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის სახელს. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ამ საქმეში "სამეფო კლუბს" მიუნხენელებიც დაეხმარნენ. კერძოდ, ოლივერ კანი, რომელმაც რობერტო კარლოსის საჯარიმო დარტყმის შემდეგ კურიოზული გოლი გაუშვა. კანის კარიერა დასრულდაო, - ბრძანეს სკეპტიკოსებმა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ განმეორებითი მატჩის წინ "რეალს" მეოთხედფინალში გასვლის რეალური შანსი აქვს.

კახა კალაძის "მილანი" პრაღაში, "სპარტასთან" არკვევდა ურთიერთობას. სამწუხაროდ, კალაძე სათადარიგოთა შორის იყო. "მილანი" ნულოვან ფრეს დასჯერდა და განმეორებითი მატჩის წინ ამ წყვილის ფავორიტად რჩება. "მართალია, გოლი არ გავუშვით, მაგრამ მოდუნების უფლება არ გვაქვს. "სპარტა" უაღრესად მობილური და ორგანიზებული გუნდია, რომელმაც ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ შეხვედრაში "ლაციო" დაამარცხა. ასე რომ, "სან-სიროზე" მაქსიმალური ყურადღება გვმართებს," - ამბობს "მილანის" მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი.



მაკაის გოლს რობერტო კარლოსმა ჯარიმით უპასუხა

REUTERS

მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანის "ლოკომოტივმა" საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერი "მონაკო" 2:1 დაამარცხა და განმეორებითი მატჩის წინ მეოთხედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა.

"ლოკომოტივმა" შეასრულა პროგრამა მინიმუმი და საკუთარ მინდორზე დადებით შედეგს მიაღწია. ეს კი ნიშნავს, რომ ორი მატჩის ჯამში გამარჯვების შანსი გვაქვს," - განაცხადა მოსკოველთა მწვრთნელმა იური სიომინმა. თამაშის წინ სიომინი ნულოვან ფრეზეც ყაბულს იყო, რადგან მონაკოში ნებისმიერი შედეგიანი ფრე - 1:1 ან 2:2 - მოსკოველებს ხელს აძლევდათ. ამიტომ "ლოკომოტივმა" ტრადიციული დაცვითი სტილი აირჩია და თამაში კონტრშეტევებზე ააგო. თუმცა, მატჩი იმგვარად განვითარდა, რომ მამინოვის გოლის შემდეგ (2:0) რუსებს სოლიდური ფორის შექმნა შეეძლოთ, რომ არა ფერნანდო მორიენტესი. მადრიდის "რეალის" ყოფილმა ფორვარდმა ისარგებლა მეკარის შეცდომით და ერთი ბურთი გაქვითა, რამაც "მონაკოს" მწვრთნელ დიდიე დეშამს იმედი გაუღვივა.

არადა, ჯერ აშვეთიას, ხოლო შემდეგ, თამაშის 89-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ დარჩენილ ობიორას ზუსტად რომ დაერტყათ, "ლოკომოტივი" სოლიდურ უპირატესობას მიიღებდა და განმეორებით შეხვედრაში ფრანგებს დიდ პრობლემას შეუქმნიდა.

რაც შეეხება ქართველ ფეხბურთელებს - მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანს, თამაში ორივემ სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და მოვალეობას საკმაოდ კარგადაც გაართვა თავი. ჩემპიონთა ლიგაში მალხაზ ასათიანის დებიუტი წარმატებული გამოდგა. მალხაზმა თავისთვის უჩვეულო უკანა მცველის პოზიციაზე ითამაშა, მაგრამ შეიძლება ითქვას, პრაქტიკულად უშეცდომოდ გაისარჯა.

| | | |
|---|---|---|
| ლოკომოტივი | 2 - 1 | მონაკო |
| სელტა | 2 - 3 | არსენალი |
| ბაიერნი | 1 - 1 | რეალი |
| სპარტა | 0 - 0 | მილანი |

# მერვედფინალები - დღე მეორე

"იუვენტუსთან" მატჩის წინ "დეპორტივოში" განხეთქილებაა

აკა ტონია

*იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი დღე ისეთივე საინტერესო გამოდგება, როგორიც გუშინ იყო. მართალია, დღეს არ თამაშობენ "ბაიერნი" და "რეალი" და არც ქართველი ფეხბურთელების ხილვის საშუალება გვექნება, მაგრამ ინტრიგა მაინც არ მოგვაკლდება. "დეპორტივო"-"იუვენტუსი" და "პორტო"-"მანჩესტერი" – მათი იმედი ნამდვილად უნდა გვქონდეს...*

### დეპორტივო – იუვენტუსი

შარშანდელ ფინალში "მილანის" წინააღმდეგ დამარცხების შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება "იუვენტუსის" მწვრთნელის, მარჩელო ლიპისთვის პრიორიტეტად იქცა. ის ახლა ნაკლებ ყურადღებას უთმობს იტალიის ჩემპიონატს და მთლიანად ლიგაზეა კონცენტრირებული. "ბოლონიის" წინააღმდეგ სერია A-ს უკანასკნელ მატჩში "იუვენტუსმა" საკმაოდ დაზოგა ძალები და "დეპორტივოს" წინააღმდეგ მატჩისთვის შეინახა თავი. ესპანეთის ჩემპიონატის მოგების შანსები "დეპორტივოსაც" ნაკლებად აქვს და, აქედან გამომდინარე, ეს გუნდიც ჩემპიონთა ლიგაზეა კონცენტრირებული. თუმცა, "იუვენტუსის" წინააღმდეგ ამ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ გალისიელებს დიდი პრობლემა შეექმნათ. გუნდის რიგებში განხეთქილებაა. ხავიერ ირურეტასა და ალბერტ ლუკეს შორის საკმაოდ დიდი ჩხუბი მოხდა, რის შემდეგაც ფეხბურთელმა ვარჯიში მიატოვა. ირურეტა აღშფოთებულია, ჯალმინიას, ტრისტნის, ნაიბეთის და რომეროს შემდეგ, ლუკე უკვე მეხუთე ფეხბურთელია, რომელიც მას აუხირდა. თუ ლუკე და ირურეტა დღეს საღამომდე არ შერიგდებიან, ამ ფეხბურთელის სახით "დეპორტივოს" საუკეთესო ბომბარდირი დააკლდება. მიმდინარე სეზონში ლუკე ჩინებულ ფორმაშია და რვა გოლიც აქვს გატანილი.

### შტუტგარტი – ჩელსი

ლონდონელ მილიონერებს შტუტგარტში უმძიმესი მატჩი ელით. ფელიქს მაგატის გუნდმა უკვე არაერთი სახელოვანი მეტოქე გააწბილა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "შტუტგარტი" ის აღარ არის, რაც სეზონის პირველ ნახევარში იყო. გუნდმა ბუნდესლიგის ლიდერობა დაკარგა და ახლა მესამე პოზიციაზეა. მიუხედავად ამისა, ფელიქს მაგატს თავისი გუნდის იმედი მაინც აქვს. გაცილებით მძიმე მდგომარეობაშია მაგატის იტალიელი კოლეგა, "ჩელსის" მწვრთნელი კლაუდიო რანიერი. მისმა გუნდმა ინგლისის ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი საკუთარ სტადიონზე წააგო "არსენალთან" (1:2). აბრამოვიჩი ისედაც დიდი ხანია, მას მოხსნას უპირებს და თუ რანიერი "შტუტგარტთანაც" დამარცხდება, "ჩელსის" მწვრთნელის პოსტს, ალბათ, დიდხანს ვეღარ შეინარჩუნებს. "შტუტგარტი" კი ასეთი ზეწოლის ქვეშ ნამდვილად არ დგას. ჩემპიონთა ლიგაში ამ გუნდის ყოველი გამარჯვება დიდ სიურპრიზად მიიჩნევა, წაგების შემთხვევაში კი არავინ დაისჯება. ტრავმირებულთა პრობლემები არც ერთ გუნდს არა აქვს, "ჩელსიც" და "შტუტგარტიც" ოპტიმალური შემადგენლობებით შეძლებენ თამაშს. მატჩის წინ საინტერესო განცხადებებს აკეთებენ "ჩელსის" ფეხბურთელები. აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა საერთოდ არ იცნობს "შტუტგარტს" და მის ფეხბურთელებს. მათი განცხადებები უპასუხოდ არ დატოვა ფელიქს მაგატმა და განაცხადა, რომ მის გუნდს "ჩელსიც" ისევე გაიცნობს, როგორც თავის დროზე გაიცნო "მანჩესტერ იუნაიტედმა", როდესაც ის შტუტგარტში დამარცხდა.



ირურეტასთან შელაპარაკების გამო ლუკემ ვარჯიში მიატოვა

### პორტო – მანჩესტერი

"მანჩესტერს" თითქმის ყველა მატჩში ფავორიტად მიიჩნევენ, თუმცა, ძნელი სათქმელია, რომ "პორტოს" წინააღმდეგ შეხვედრაში ალექს ფერგიუსონის გუნდს რაიმე უპირატესობა ექნება. "პორტომ" შარშან UEFA-ს თასი მოიპოვა, პორტუგალიის მიმდინარე ჩემპიონატში კი, ზედიზედ 23 მატჩია, არ დამარცხებულა. ეროვნული პირველობის უკანასკნელი შეხვედრა "პორტომ" 3:0 მოუგო "გიმარაეშს", თანაც, ისე, რომ "მანჩესტერის" წინააღმდეგ მატჩისთვის ალეინიჩევი და მანიში დაასვენა. თუმცა, ჟოზე მაურინიოს პრობლემა მაინც აქვს. ტრავმის გამო ვერ ითამაშებს "პორტოს" ბრაზილიელი თავდამსხმელი დერლეი. ტრავმირებული ფეხბურთელი "მანჩესტერსაც" ჰყავს. დღევანდელ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს სილვესტრი, რომელსაც, სავარაუდოდ, ვესლი ბრაუნი შეცვლის. პორტუგალიის ჩემპიონატში "პორტოს" წარმატებული თამაში ვახსენეთ და აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ კლუბს ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონშიც შესანიშნავი შედეგი აქვს. ხოსე მაურინიოს გუნდი მხოლოდ ერთხელ, მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ მატჩში დამარცხდა.

### სოსიედადი – ლიონი

სან სებასტიანის "რეალ სოსიედადი" საკუთარ აჩრდილს დაემსგავსა. გუნდი, რომელიც წინა სეზონში ესპანეთის ჩემპიონობისთვის იბრძოდა, წლეულს ცხრილის მე-13 საფეხურზეა. დღევანდელ მატჩს "სოსიედადი" თავისი ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშებს, თუმცა, საკითხავია, რამდენად ოპტიმალურ ფორმაში არიან ამ შემადგენლობის ფეხბურთელები. ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელი შეხვედრა ბასკებმა "სევილიასთან" წააგეს (0:1), თუმცა, ამავე დროს "ლიონის" წინააღმდეგ მატჩისთვის დაასვენეს ნიჰათი, რომელიც დიდხანს იყო ტრავმირებული.

"სოსიედადისგან" განსხვავებით, პრობლემა აქვს "ლიონს". ფეხის ტრავმა აწუხებს ბრაზილიელ ჯოვანი ელბერს და მისი თამაშის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სამაგიეროდ ჩინებულ ფორმაშია ნახევარმცველი ჟუნინიო. და, საერთოდაც, "ლიონი" შესანიშნავად თამაშობს. პოლ ლეგენის გუნდმა საფრანგეთის ჩემპიონატის უკანასკნელი ექვსი მატჩიდან ხუთი მოიგო, ლიდერთან, "მონაკოსთან" ქულების სხვაობა ოთხ ქულამდე დაიყვანა და კვლავ ჩაება ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** "პერუჯამ" იტალიის წლევანდელ ჩემპიონატში პირველად გაიმარჯვა. ამ გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ერთმა დასანანმა ფაქტმა შეცვალა. ურუგვაისა და იამაიკას შორის ამხანაგურ მატჩში ტრავმა მიიღო გუნდის ფორვარდმა მარსელო ზალაიეტამ, რომელიც ორი თვით გამოვიდა მწყობრიდან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანიის საფეხბურთო კავშირმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია შეუფარდა "ჰანოვერის" ბრაზილიელ მცველ კლებერს. კლებერი "ჰანზასთან" შეხვედრაში რენე რიდლევიჩისთვის დარტყმის გამო დაისაჯა. ბრაზილიელი "ჰერტას", მიონხენგლადბახის "ბორუსიასა" და "კაიზერსლაუტერნის" წინააღმდეგ არ ითამაშებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უეფას თასის შეხვედრაში თურქეთის "გაზიანთეფსფორის" წინააღმდეგ "რომას" თავისი ორი ლიდერის, ფრანჩესკო ტოტისა და ანტონიო კასანოს გარეშე მოუწევს თამაში. ორივემ მცირე ტრავმა მიიღო და ფაბიო კაპელომ გადაწყვიტა, მათი ჯანმრთელობით არ გარისკოს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ დაადასტურა ინფორმაცია, რომ კლუბის გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსულ კომპანია "ნაფტა-მოსკვასთან". "მოლაპარაკება, მართლაც, მიმდინარეობს, მაგრამ დასრულებისგან ჯერ ძალზე შორს არის. თუ შეთანხმება მოხერხდება, მე კლუბის საპატიო პრეზიდენტად დავრჩები", - განაცხადა სენსიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ასტონ ვილას" ფორვარდმა მარკუს ოლბაკმა საზარდულის ოპერაცია გადაიტანა. შვედი რამდენიმე კვირის შემდეგ დაბრუნდება მინდორზე, თუმცა, ევროპის ჩემპიონატში მისი მონაწილეობა სათუოა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ავსტრიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ანდრეას ჰერცოგი მზად არის, აშშ-ში განაგრძოს საფეხბურთო კარიერა. ავსტრიელი ფეხბურთელი "ლოს-ანჯელეს გალასკის" შემადგენლობაში ითამაშებს. კლუბთან ჰერცოგმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჰერცოგი პირველი ავსტრიელი იქნება ამერიკაში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "კაიზერსლაუტერნის" ფორვარდი მიროსლავ კლოზე მომავალ სეზონში შეიძლება აღმოჩნდეს ბრემენის "ვერდერში", რომელიც ბუნდესლიგის ჩემპიონატს ლიდერობს. ბრემენელებმა უკვე დაიწყეს ფეხბურთელთან მოლაპარაკება. კლოზემ მიმდინარე სეზონში 9 გოლი გაიტანა. კლოზემ "ვერდერში" უნდა შეცვალოს ბრაზილიელი აილტონი, რომელიც ზაფხულში "შალკეში" გადაბარგდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უელსის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს რიგაში, ლატვიის წინააღმდეგ. უელსის წარმომადგენლის თქმით, მატჩი 18 აგვისტოს გაიმართება. ცნობილია, რომ ლატვიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ შეხვედრას აზერბაიჯანის წინააღმდეგ 4 სექტემბერს გამართავს. ოთხი დღის შემდეგ კი ბალტიისპირელები ჩრდილოეთ ირლანდიასთან გაარკვევენ ურთიერთობას.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** დევისის თასის მეოთხედფინალი ესპანეთისა და ჰოლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის კორიდისთვის განკუთვნილ არენაზე გაიმართება. მატჩი მალიორკაზე შედგება. არენა 11 500 მაყურებელს იტევს. ადრე იქ ATP-ის ტურნირი Mallorca Open იმართებოდა.

■ ■ ■

**კრივი.** ოსკარ დე ლა ჰოია და ბერნარდ ჰოპკინსი 18 სექტემბერს გამართავენ ბრძოლას. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ორივე მოკრივე მოიგებს 5 ივნისს დაგეგმილ შეხვედრებს. ამერიკელს ფილექს შტურმთან მოუწევს ბრძოლა, ჰოპკინსს კი - რობერტ ალენთან.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** დოპინგის მოხმარებისთვის ინგლისელი სპრინტერი დუეინ ჩემბერსი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. ევროპის ჩემპიონი პირველი სპორტსმენია, რომელიც ტეტრაჰიდროგესტრინონის მოხმარებისთვის დაისაჯა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ესპანელმა ფერნანდო ალონსომ გულშემატკივარი გააფრთხილა, რომ ნუ დაელოდებიან მისგან სასწრაფო გამარჯვებას სეზონის პირველივე რბოლაში ავსტრალიის ტრასაზე. შარშან გუნდს ძრავასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა ჰქონდა. წლეულს კი ბოლიდს სხვა ძრავა აქვს. ის ბევრად უფრო საიმედოა, მაგრამ სიმძლავრით BMW-სა და Ferrari-ს ჩამოუვარდება. "ახალი ძრავა საიმედოა, მაგრამ სიმძლავრე არ ყოფნის, - ამბობს ფერნანდო ალონსო, - ტრასებზე, სადაც სწორი გზები ჭარბობს, ჩვენ წავაგებთ. ავსტრალიის ტრასა კი სწორედ ასეთია. ტრასაზე გამოსვლისას ყოველთვის ვიცი, რომ მოგება შემიძლია. თუმცა, სეზონისწინა ტესტებზე გამოჩნდა, რომ პრეტენდენტთა რიცხვი ბევრად უფრო გაიზარდა. პრინციპში, რბოლა ყველას შესაძლებლობას წარმოაჩენს".

■ ■ ■

**ჭადრაკი.** ლინარესის საჭადრაკო ტურნირის მორიგმა ტურმაც სამი ყაიმი დააფიქსირა. თუმცა, მართლა მშვიდობიანად მხოლოდ ვლადიმირ კრამნიკი და გარი კასპაროვი დაშორდნენ ერთმანეთს. მდგომარეობა მათ პარტიაში პრაქტიკულად არ გამწვავებულა. ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა კი პეტერ ლეკოსთან შეხვედრაში გამარჯვება ხელიდან გაუშვა. აზერბაიჯანელ ტეიმურ რაჯაბოვთან მოგება შეეძლო ესპანელ ფრანსისკო ვალიეხოსაც, მაგრამ რაჯაბოვმა შეძლო მძიმე სიტუაციიდან გამოსვლა. ოთხი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს პეტერ ლეკო - 2,5 ქულა. 5 თამაშიდან 2,5 ქულით მეორეა კრამნიკი. კასპაროვს, ტოპალოვს, ვალიეხოსა და ალექსეი შიროვს 4 თამაშიდან – 2-2 ქულა აქვთ. 2 ქულა მოაგროვა რაჯაბოვმაც, ოღონდ 5 თამაშიდან. სულ ლინარესის ტურნირზე 12 ტური გათამაშდება.

ჩოგბურთი

# აჰ, მე ხომ უკვე პირველი ჩოგანი ვარ!

## როგორ მოერგო როჟე ფედერერი ვარსკვლავის როლს

ნინო პირველი

მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი, საუკეთესო ჩოგბურთელი, პიტ სამპრასსა და ჯონ მაკინროიზე უკეთესი სპორტსმენი, ერთადერთი, ვისაც 2004 წელს დიდი სლემის ოთხივე ტურნირის მოგება შეუძლია, საოცრად ნიჭიერი მოთამაშე... ამ ქება-დიდებისა და კომპლიმენტების ადრესატი ერთი მორიდებული ახალგაზრდა კაცია, რომელმაც ჯერაც ვერ მოასწრო იმის გათვითცნობიერება, რომ უკვე ვარსკვლავია და ყველგან, სადაც გამოჩნდება, მუდამ ჟურნალისტებისა და ტელე თუ ფოტოკამერების უზარმაზარი არმია დახვდება წინ.

შვეიცარიელი როჟე ფედერერი დიდების მწვერვალზეა. მას შემდეგ, რაც მან ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში მარატ საფინი დაამარცხა და ამერიკელ ენდი როდიკს პირველი ჩოგნის საპატიო წოდება წაართვა, ჩოგბურთის მოყვარულებისთვის ლამის ღმერთი გახდა. 22 წლის შვეიცარიელი ყველას ძალიან მოსწონს - ის მუდამ თავაზიანად უღიმის ჟურნალისტებს თუ ფანებს, უარს არ ამბობს ავტოგრაფის მიცემაზე. არც ინტერვიუებს გაურბის. პირველი ჩოგნის ტიტულმა როჟე ფედერერი ვერ შეცვალა - ბაზელში დაბადებული გრძელთმიანი სპორტსმენი ახლაც ისეთივე უბრალო და გულისხმიერია, როგორც აქამდე იყო.

"როჟე შესანიშნავი ვინმეა. არც კი ეტყობა, რომ რეიტინგში ყველაზე მაღლა დგას. ის არ შეცვლილა", - ამბობს ფედერერის ფრანგი კოლეგა არნო კლემანი. "მეტად თავაზიანი პიროვნებაა. საერთოდ არ არის გაბღენძილი", - აღნიშნავს ახალგაზრდა ჰოლანდიელი მძღოლი, რომელიც როტერდამის ტურნირის დროს ჩოგბურთის ვარსკვლავებს სასტუმროსა და კორტს შორის დაატარებდა. როტერდამში ფედერერი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ჟურნალისტები კუდში დასდევდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ, მაგრამ სიმშვიდე და წონასწორობა მაინც ვერ დააკარგვინეს. ახალგაზრდა შვეიცარიელი შესანიშნავი რესპონდენტი აღმოჩნდა. ის თავისუფლად ლაპარაკობს გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე და მასთან ურთიერთობისთვის თარჯიმანი არავის სჭირდება. როჟეს, ცოტა არ იყოს, უჭირს ვარსკვლავის როლთან შეგუება. ეს ამპლუა მისთვის ახალი და უცხოა, თუმცა, ცდილობს, მასმედია არ გაანაწყენოს და დიდსულოვნად პასუხობს ყველა შეკითხვას, მათ შორის, ასეთებსაც: როგორ გრძნობს თავს თქვენი ძროხა ჟულიეტი, შარშან, უიმბლდონის ტურნირის მოგების შემდეგ რომ გაჩუქეს? ფედერერი უხერხულად იღიმება: "ჟულიეტი კარგადაა. გშტაადში ცხოვრობს. ცოტა ხნის წინ დედა გახდა - ვაჟიშვილი შეეძინა, - იცინის როჟე. - რა ბრძანეთ? არა, მამად ნამდვილად არ ვგრძნობ თავს. არც ძროხის მოწველა ვიცი. ამას სხვები აკეთებენ".

ჟულიეტის ამბავი რომ გაარკვიეს, ჟურნალისტები გრეგ რუზედსკის საკითხით დაინტერესდნენ. თუ გახსოვთ, იანვარში რუზედსკი დოპინგის მოხმარებაში ამხილეს. ინგლისელი თავს იმართლებდა, დამნაშავე არ ვარო, მაგრამ ATP-ს შეფობა მაინც ვერ დაარწმუნა თავის უცოდველობაში. "რას ფიქრობთ რუზედსკის შესახებ?" - ეკითხებიან ფედერერს. როჟე მხრებს იჩეჩავს. ისეთი დაბნეული სახე აქვს, აშკარაა, აქამდე ამ საკითხზე არ დაფიქრებულა: "მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან ცუდად მოქმედებს საერთაშორისო ჩოგბურთის იმიჯზე. ანდრე აგასის ჰკითხეთ - მან ბევრი რამ იცის ამის შესახებ. მეც მის აზრს ვიზიარებ", - ასეთი პასუხი ჰოლანდიელ ჟურნალისტებს ნამდვილად არ აკმაყოფილებთ. "აგასი აქ არ არის და როგორ ვკითხოთ? თქვენ კი მსოფლიოს პირველი ჩოგანი ხართ და თქვენი აზრი ყველას აინტერესებს", - უხსნიან დაბნეულ ფედერერს. ვარსკვლავის როლს შვეიცარიელი ნელ-ნელა ეჩვევა. როტერდამში მოწყობილი ბრიფინგი მისთვის ერთგვარი პრემიერა იყო. ასე თუ ისე, ფედერერმა კარგად გაართვა თავი ახალ როლს. "რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც პირველი ჩოგანი გახდით?" - ეკითხებიან ჟურნალისტები. "ისეთი არაფერი. უბრალოდ, ტურნირების დირექტორები ახლა უფრო დიდი სიხარულით ხვდებიან ჩემს გამოჩენას. მე არ შევცვლილვარ. მხოლოდ ხალხი მხედავს სხვანაირად. როცა კარგად ვთამაშობ, მაყურებლები ამბობენ, არაჩვეულებრივი იყოო. თუ სუსტად ვითამაშე, მაშინ მხოლოდ იმას აღნიშნავენ, დღეს არც ისე კარგად გამოიყურებოდაო", - ეცინება ახალ ვარსკვლავს. როჟე ფედერერს თავში არ ავარდნია ასეთი დიდი წარმატება. ის ყველაფერს მშვიდად ხვდება, მათ შორის, წარსულში სახელგანთქმული ჩოგბურთელების ქებასაც (ჯონ მაკინროი: "ეს ბიჭი არაჩვეულებრივია!") და საჩოგბურთო სამყაროს დიდ ავტორიტეტებთან შედარებასაც (გორან ივანიშევიჩი: "ფედერერი გენიალურია. ის თვით პიტ სამპრასზე უფრო ნიჭიერია"). "ამის შემდეგ როგორ ახერხებთ მიწაზე დარჩენას?" ფედერერი სათნოდ იღიმება: "ბოდიში, მე ფრენა არ შემიძლია. სულაც არ ვფიქრობ, რომ უკვე ყველაფერს მივაღწიე. ჯერ კიდევ დიდი სლემის ორი ტურნირი მაქვს მოსაგები, ასევე დევისის თასი და ოლიმპიადა. მოტივაცია დიდია. როცა კორტზე მძიმე მდგომარეობაში ვვარდები, საკუთარ თავს ვამხნევებ: "მიდი, არ შედრკე! შენ პირველი ნომერი ხარ და დამარცხების უფლება არა გაქვს!" რაც პირველი ჩოგანი გავხდი, ყველა დიდ ყურადღებას მაქცევს. ბუქარესტში, დევისის თასზე, უამრავი ხალხი მიყურებდა, როგორ ვვარჯიშობდი. ჯერ გამიკვირდა, ვერ გავიგე, რატომ მოიყარა თავი ამდენმა ხალხმა ჩემი ვარჯიშის სანახავად, მერე მივხვდი, რაშიც იყო საქმე: აჰ, მე ხომ უკვე პირველი ჩოგანი ვარ!"


"როჟე შესანიშნავი ვინმეა" - ამბობს არნო კლემანი

ჭიდაობა

# ათენისკენ გზა ნოვი სადზე გადის

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის, ჯერჯერობით, ოთხი მოჭიდავითაა დაკომპლექტებული. იმისთვის, რომ ნაკრები ათენის ოლიმპიურ ხალიჩაზე სრული გუნდით წარდგეს, ლიცენზიები კიდევ სამ წონით კატეგორიაშია მოსაპოვებელი. ეს ლიცენზიები ნოვი სადში (სერბეთი და მონტენეგრო) 28-29 თებერვალს გათამაშდება. დიდი მარჩიელობა არ სჭირდება იმას, თუ რა ძალისხმევა სჭირდებათ მათ, ვინც ნოვი სადში ლიცენზიებისთვის იბრძოლებენ. ის სპორტსმენები, რომლებიც დღემდე ულიცენზიოდ იყვნენ, ყველანაირად შეეცდებიან ათენის საგზურების ხელში ჩაგდებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ულიცენზიოდ დარჩენილ ქვეყანათა შორის არიან ისეთი საჭიდაო სკოლის წარმომადგენლები, როგორებიცაა: რუსეთი, კუბა, თურქეთი, აშშ, ანუ ის ქვეყნები, რომლებიც დღეს ამინდს ქმნიან საჭიდაო სამყაროში. მათ შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო, ქვეყანა, რომელსაც არანაკლები ტრადიციები და მიღწევები აქვს.

ირაკლი ჭოჭუა, ბადრი ხასაია და მირიან გიორგაძე - ეს ის სამეულია, რომელსაც საგზურებისთვის მოუწევს ბრძოლა. პროგრამა მინიმუმის შესასრულებლად მათ, ისევე, როგორც ბერძენ-რომაელთა ნაკრების დანარჩენმა წევრებმა, შეკრება ბაკურიანში გაიარეს - მზადებას 11 თებერვალს შეუდგნენ და გუშინ დაასრულეს.

გუშინ, როდესაც საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბეგი დარჩიას ბაკურიანში შევეხმიანეთ, გვითხრა, რომ მზადებით კმაყოფილია. შეკრება კი ორი მიმართულებით მიმდინარეობდა. კერძოდ, ჭოჭუა, ხასაია და გიორგაძე კონკრეტულ ვარჯიშებს – ტექნიკურ-ტაქტიკურს გადიოდნენ, ხოლო დანარჩენებს, ანუ მათ, ვისაც უკვე ლიცენზიები აქვთ, დარჩიამ საერთო ფიზმომზადებაზე გაამახვილებინა ყურადღება.

საქართველოს ბერძენ-რომაელთა სამკაციანი ნაკრები ხვალ ნოვი სადისკენ აიღებს გეზს და 28-29 თებერვალს საკუთარი სიძლიერის დასამტკიცებლად "ვოივოდინას" სპორტისა და ბიზნესის ცენტრში დაგებულ ხალიჩაზე იბრძოლებს.

წლეულს ეს პირველი სალიცენზიო ანუ ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირია. იმ შემთხვევაში, თუ ჭოჭუა, ხასაია და გიორგაძე ლიცენზიების გარეშე დარჩებიან, რაც ნაკლებად სავარაუდოა, მათ შეცდომის გამოსასწორებლად ტაშკენტის (13-14 მარტი) მე-2 საკვალიფიკაციო ტურნირი ექნებათ. თუმცა, როგორც დარჩიამ გვითხრა, წესით და რიგით, საქმე მეორე მცდელობამდე არ უნდა მივიდეს: "არა გვგონია, საქმე აქამდე მივიდეს. თუმცა, მეორე შანსი ტაშკენტშიც გვექნება. რაც შეეხება ლიცენზიებს, მის დასაუფლებლად ნახევარფინალებში გასვლაც საკმარისია. ერთი სიტყვით, ჭოჭუას, ხასაიასა და გიორგაძის პოტენციალის გათვალისწინებით, მათ მეოთხედფინალური ბარიერის გადალახვა არ უნდა გაუჭირდეთ. ერთადერთი, რამაც, შესაძლოა, დასახული მიზნის განხორციელებაში ხელი შეგვიშალოს, კენჭისყრაა. კერძოდ, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ შეგვხვდება პირველ წრეში. მაგალითად, მძიმე წონაში ამერიკელებს ჯერაც ულიცენზიოდ ჰყავთ ოლიმპიური ჩემპიონი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრ კარელინის დამმარცხებელი რულონ გარდნერი (გარდნერმა კარელინი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე დაამარცხა.-რედ.). გიორგაძე კი სწორედ მძიმეწონოსანია.

ხასაიას (74კგ.) შემთხვევაში სასურველი არ იქნებოდა პირველივე წრეში მისთვის უხერხულ ეგვიპტელ მეტოქესთან შეხვედრა. მათგან განსხვავებით, შედარებით მრავალმხრივაა წარმოდგენილი 55 კგ. წონითი კატეგორია. ამ შემთხვევაში ჭოჭუას მოცილეთა რაოდენობა 10-12 კაცია, მათ შორის, რუსეთის, თურქეთისა და კუბის წარმომადგენლები".

მიუხედავად ამისა, საქართველოს სამკაციან ნაკრებს ნამდვილად შესწევს იმის უნარი, რომ დარჩენილ წონებშიც დაეუფლოს ლიცენზიებს, ყოველ შემთხვევაში, ნაკრების მთავარი მწვრთნელი იმედიანადაა. რაც შეეხება იმ ოთხეულს, რომელსაც ათენის საგზურები უკვე მოპოვებული აქვს, ასე გამოიყურება: აკაკი ჩაჩუა (60კგ), მანუჩარ კვირკველია (66კგ), მუხრან ვახტანგაძე (84კგ) და რამაზ ნოზაძე (96კგ). ისინი შარშან, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე დაეუფლნენ ლიცენზიებს.

კალათბურთი

# NBA-ს ცხელი ამბები

სანდრო ნავერიანი

სახელოვანი "მოხსნების მეფე" დენის როდმანი აღარ აპირებს ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის გუნდ "ლონგ ბიჩ ჯემში" თამაშს და თვლის, რომ მან საკმაოდ დიდხანს ითამაშა დაბალი დონის ლიგაში: "მე იმისთვის წამოვედი ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციიდან, რომ ფორმა აღმედგინა და მერე ისევ უკან დავბრუნებულიყავი, მაგრამ, როგორც ხედავთ, მე და კლუბის ხელმძღვანელობამ საერთო ენა გამოვნახეთ და კიდევ ერთი წლით დავრჩი გუნდში, მაგრამ ახლა უკვე წასვლის, ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გადასვლის დროა. მე საუკეთესო ფორმაში ვარ და მჯერა, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოიძებნება გუნდი, რომელიც ჩემით დაინტერესდება", - განაცხადა როდმანმა, რომელიც, მართლაც, დიდი კალათბურთელი იყო. ლიგიდან მისმა წასვლამ ყველას ძალიან დაწყვიტა გული. ახლა კი მის ფანებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ - ალბათ, მომავალი სეზონიდან როდმანი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშებს. ძნელია, წარმოიდგინო გუნდი, რომელიც ასეთი გამოცდილების მქონე კალათბურთელზე უარს იტყვის. ეს ინფორმაცია ერთ-ერთმა ამერიკულმა ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა.

"სიეტლ სუპერსონიქსთან" შეხვედრისას "ფილადელფია სევენთისიქსერზის" ლიდერმა ალენ აივერსონმა მხრის ტრავმა მიიღო. ასეთივე ტრავმის გამო მან უკვე გამოტოვა მატჩი "დეტროიტ პისტონზთან", რომელიც ფილადელფიელთათვის უმნიშვნელოვანესი იყო და რომელიც აივერსონის არყოფნის გამო წააგეს. მხრის ტრავმა აივერსონისთვის ლამის დამახასიათებელიც კი გახდა. ბავშვობაში რამდენჯერმე ამოუვარდა კიდეც. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ აივი თითქმის ყოველ თამაშში მხარზე ხელს იკიდებს: ვაიმე, როგორ მტკივაო. "თითქმის ყველა მატჩში თავს მახსენებს. ზოგჯერ ისე საშინლად ამტკივდება ხოლმე, რომ მგონია, ცოტაც და შეიძლება მოვკვდე", - თქვა აივერსონმა. მაგრამ აივერსონის ფანებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, რადგან ფილადელფიური გუნდის ექიმებმა განაცხადეს: "საშიში არაფერია. ალენს ისეთი არაფერი სჭირს, რომ რამდენიმე კვირით გამოეთიშოს სპორტს. უახლოეს მატჩში თუ არა, მომდევნოში მაინც გამოვა", - განაცხადა სამოცდათექვსმეტელების ერთ-ერთმა ექიმმა.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ "დეტროიტ პისტონზი" 200.000 დოლარით დააჯარიმა. საქმე ის არის, რომ დეტროიტელთა მთავარმა მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა "მინესოტა თიმბერვულვზის" წინააღმდეგ მოედანზე გაიყვანა კალათბურთელები, რომლებიც დეტროიტულ გუნდში არ ირიცხებოდნენ. რაშიდ უოლასმა და მაიკ ჯეიმსმა წინა კვირას გააფორმეს კონტრაქტი დეტროიტულ გუნდთან, მაგრამ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წესების თანახმად, კონტრაქტი ძალაში არ შედის მანამ, სანამ თავად ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა არ დაამტკიცებს მას. რაშიდ უოლასი "ატლანტა ჰოუქსიდან" გადავიდა "დეტროიტ პისტონზში", ხოლო მაიკ ჯეიმსი - "ბოსტონ სელტიქსიდან". დეტროიტელთა მწვრთნელი ლარი ბრაუნი ამტკიცებს, რომ მან არაფერი იცოდა ამ კანონის შესახებ: "ამდენი წელიწადია კალათბურთში ვარ და ასეთი რამ პირველად მესმის. რა მნიშვნელობა აქვს, როდის მოაწერს ხელს დოკუმენტზე ესა თუ ის ხელმძღვანელი? არავითარი. უბრალოდ, ვიღაცას არ აწყობს ის, რომ "დეტროიტი" ძალიან კარგად გამოდის წლევანდელ სეზონში და ვარსკვლავებით დახუნძლულ გუნდს ბევრ თავსატეხს უჩენს", -ლარი ბრაუნის ეს სიტყვები, ალბათ, "ლოს-ანჯელეს ლეიკერსისა" და "სან-ანტონიო სფურზის" მიმართ იყო ნათქვამი. ბრაუნის სიტყვები შეიძლება არც იყოს მართალი, მაგრამ საფუძვლიანი რომ არის, ამას წყალი არ გაუვა. ხშირად ყოფილა, "ლოს-ანჯელეს ლეიკერსსა" და "სან-ანტონიო სფურზს" დახმარებიან და სხვა გუნდებისთვის გაუფუჭებიათ საქმე. სწორედ აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ბრაუნის აღშფოთება გამართლდეს.


დენის როდმანი NBA-ში დაბრუნებაზე ფიქრობს

TV-სპორტი

**ოთხშაბათი 25 თებერვალი.**

**НТВ+ ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. "SACRAMENTO KINGS"- "NEW YORK KNICKS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:30 NBA TV – NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ლოკომოტივი" – "მონაკო". პირველი მატჩი
15:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "სპარტა" – "მილანი". პირველი მატჩი
17:15 თავისუფალი დარტყმა
17:30 "პოსტსკრიპტუმი"
18:00 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:55 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "სელტა" – "არსენალი". პირველი მატჩი
20:50 თავისუფალი დარტყმა
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ბავარია" – "რეალი". პირველი მატჩი
23:05 "დარტყმა გოლისთვის"
23:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "პორტუ" – "მანჩესტერ იუნაიტედი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "რეალ სოსიედადი" – "ლიონი". პირდაპირი ტრანსლაცია
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ყველაფერი კალათბურთის შესახებ
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2002. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "NEW JERSEY NETS" - "BOSTON CELTICS". მე-2 თამაში
06:30 NBA TV. დღიური

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**
07:00 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "VANCOUVER CANUCKS"- "DETROIT RED WINGS". პირდაპირი ტრანსლაცია
09:30 09:30-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:00, 17:30, 22:15 პრესცენტრი
11:15, 23:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "VANCOUVER CANUCKS"- "DETROIT RED WINGS"
14:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:15 კრივი. ევროპის ჩემპიონატი ხორვატიაში. მეოთხედფინალები
17:45 "ბილიარდის მეუფენი"
18:15 "NHL – პლუს"
18:30 "თოვლის სამყარო"
19:00 "Power week – NHL-ის კვირა"
19:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "VANCOUVER CANUCKS"- "DETROIT RED WINGS". შესვენებისას (20:10) – პრესცენტრი
22:00 ათენის გზაზე
23:05 სახვალიო ტელეპროგრამა
23:15 "NHL – პლუს"
23:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "დეპორტივო" – "იუვენტუსი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ახალი ამბები
01:50 კრივი. ევროპის ჩემპიონატი ხორვატიაში. მეოთხედფინალები

**EUROSPORT**
11:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი გერმანიაში
12:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
12:30 მულტისპორტი
13:00 ფეხბურთი. ევროგოლები
14:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში
17:00 ბობსლეი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
17:15 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
18:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
19:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში
22:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი ხორვატიაში. მეოთხედფინალები
00:30 მულტისპორტი. არჩევანი ოთხშაბათობით
00:45 გოლფი. ევროპული PGA-ის ტურნირი
01:15 გოლფი. PGA ტურნირი. აშშ
02:15 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
02:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
03:00 ახალი ამბები
03:15 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
04:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა

ფორმულა 1

# რალფის თავის მართლება და მონტოიას ფიქრები

"უილიამსის" პილოტის რალფ შუმახერის მიერ საჯინიბოს ბოსის ფრენკ უილიამსის მისამართით გაკეთებული განცახადება, რომელმაც ფორმულა 1-ის სამყარო სახტად დატოვა, ირკვევა, რომ არასწორი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, "უილიამსის" გერმანელი პილოტი ირწმუნება: ჩემი სიტყვები არასწორად გაიგესო. თუმცა, ფაქტია: მიხაელ შუმახერის უმცროსი ძმის გამონათქვამებს დიდი რეზონანსი მოჰყვა. საქმე ისაა, რომ შუმახერი "უილიამსის" ხელმძღვანელობას, ფაქტობრივად, გამზადებულ კონტრაქტზე ხელმოუწერლობაში ადანაშაულებდა და პირობის დარღვევისთვის გუნდიდან წასვლიდანაც კი იმუქრებოდა: "ფრენკ უილიამსმა იმედი გამიცრუა. მან პირობა დაალვია, როდესაც საკუთარი სიტყვა უკან წაიღო".

ახლა კი რა ხდება? რალფ შუმახერი თავს იმართლებს და აცხადებს, რომ მის სიტყვებს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა: "არ ვაპირებდი, შეწყვეტილი მოლაპარაკებები ისე წარმომეჩინა, თითქოს ეს კონტრაქტის დარღვევის ტოლფასი ყოფილიყოს. არასწორად გამიგეს. ჩემი სიტყვების წასვლის მუქარად აღქმა არ ღირს... ერთადერთი, რაც მსურდა, ისაა, რომ ბოლო დროს გავრცელებულ ინფორმაციებზე მეპასუხა. უფრო სწორად, მეპასუხა იმ კითხვებზე, რომლებიც მოლაპარაკებებზე თითქოს ჩემს მიერ მოთხოვნილ დიდ ფულს ეხებოდა. მხოლოდ იმას ვცდილობდი, რომ გავრცელებული ხმები უარმეყო. არც მეტი, არც ნაკლები".

რალფ შუმახერისგან განსხვავებით, სხვა საკითხებითაა დაკავებული მისი თანაგუნდელი ხუან-პაბლო მონტოია. "უილიამსის" კოლუმბიელ პილოტს მიაჩნია, რომ ახალ ბოლიდს – FW26-ს ჩემპიონატში გამარჯვების სერიოზული შანსი აქვს. საკუთარ არგუმენტებს კი ახალი ბოლიდის შესაძლებლობებით ამყარებს: "შარშან BMW-ს ძრავები მხოლოდ ძლიერი კი არ იყო, საიმედოობითაც გამოირჩეოდა. ასე რომ, ისევ წინ ვართ".

რაც შეეხება კარს მომდგარ სეზონს, მონტოია აცხადებს, რომ ტიტულისთვის ბრძოლა ძალზე მჭიდრო იქნება. გამარჯვების პრეტენდენტთა შორის არაერთი პილოტი და გუნდი იბრძოლებს. ჩემპიონი კი ის გახდება, ვისაც სათვალავშიც არ იღებენ. არ გამიკვირდება, თუ მოვლენები სწორედ ასე წარიმართებაო.


რალფ შუმახერი "უილიამსიდან" მიდის



# რეფორმაცია და გერმანული მხატვრობა



*ალბრეხტ დიურერი - ოთხი მახარებელი*

მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა მთავარ "რეფორმაციულ" ხელოვნებად ითვლება, ვერ ვიტყვით, რომ მხატვრობამ ვერანაირი განვითარება ვერ პოვა ევანგელისტურ გერმანიაში. უნდა ითქვას, რომ XVI საუკუნის პირველი ნახევრის გერმანული მხატვრობა ძალიან მჭიდრო კავშირს ავლენდა თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან. დროის სპეციფიკის გამო ეს კავშირი საკმაოდ თავისებური იყო, მაგრამ ეჭვიც არაა, რომ რეფორმაციის პირველ ეტაპზევე რელიგიური მსოფლმხედველობის ცვლილებები პირდაპირ და უაშუალოდ აისახა გერმანულ მხატვრობაში.

ზოგი მხატვრული ტილო არანაკლებ ძლიერ გავლენას ახდენდა მნახველზე, ვიდრე ლუთერის მიერ ვიტენბერგის ეკლესიის კარზე მიჭედებული 95 თეზისი. მაგალითად, მ. გრიუნევალდის სურათებში ეპოქის მთელმა ემოციურმა მუხტმა მოიყარა თავი. ერთი გერმანელი ხელოვნებათმცოდნის სიტყვით, თვით ეს სურათები გამოკვეთენ თეზისებს ეკლესიის კედლებზე.

ქრისტეს ჯვარცმა გრიუნევალდმა ტიტანური ძალის მქონე შედევრად აქცია, რომელიც ძალიან ახლოს იყო იმდროინდელი ამბოხებული გლეხების ბაირაღებზე გამოსახულ ჯვარცმებთან.

ალბრეხტ დიურერის სურათი "ოთხი მახარობელი" რეფორმაციული აზროვნების პირდაპირი მოწმობაა. იგივე ითქმის ახალგაზრდა ლუკას კრანახის შემოქმედებაზე, რომელშიც გამოიხატა რეფორმაციული მოძრაობის მთელი სიმკვეთრე და იმ დროისათვის თავბრუდამხვევი ტემპი. ყველა ეს შემოქმედი ერთ თაობას ეკუთვნის, იმას, რომელმაც გერმანიას ლუთერი და მელანქტონი მისცა.

და მაინც, რენესანსული ხელოვნების ხანმოკლე ბრწყინვალე ყვავილობა ადგილს უთმობს ღრმა დაცემას. ზოგჯერ ამ მოვლენას 1524-1525 წლების გლეხური ომების დამარცხებას უკავშირებენ, მაგრამ ეს თვალსაზრისი არ უნდა იყოს მართებული. გლეხური ომის გამარჯვება ვერ მოუტანდა ვერანაირ შეღავათს ფრესკულ და დაზგურ ფერწერას — იმთავითვე ხელოვნების ელიტარულ ჟანრებს. რენესანსული სულისკვეთების შესუსტება ფერწერაში სწორედ რეფორმაციის პროგრესულ განვითარებას უნდა მივაწეროთ, როცა რომისადმი დაპირისპირებამ უკვე კულტურათა კონფლიქტის სახე მიიღო.

ვერც გერმანიის წვრილ სამთავროებად დაყოფა ახსნის ფერწერის სწრაფ დაკნინებას, რადგან იტალიური რენესანსის უთვალსაჩინოესი ნიმუშები სწორედ სამთავროებად დაქუცმაცებულობის ხანაში შეიქმნა. იტალიური ტიპის მომცრო სახელმწიფოები და მათ სათავეში მდგომ საჰერცოგო კარზე შექმნილი ჰუმანისტური ატმოსფერო ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა ხელოვნების აყვავებისათვის. გერმანული მხატვრობის დაკნინება კი უფრო ლუთერის თავდაპირველ, დემოკრატიულ სულისკვეთებას უნდა მივაწეროთ, როცა იმარჯვებს ფუფუნების წინააღმდეგ მიმართული განწყობა და პირველ პლანზე გამოდის იმ დროისათვის ყველაზე დემოკრატიული ჟანრი: საგუნდო სიმღერა.

პროტესტანტიზმი, უპირველეს ყოვლისა, ღმერთსა და ადამიანს შორის უშუალო ინდივიდუალურ კავშირზე აქცენტს ნიშნავს. ამ პირობებში ყოველი ცალკეული პიროვნება ღვთის წინაშე ერთგვარ დამოუკიდებლობას იძენს და ინსტიტუციების სოციალურ-კულტურული როლი იცვლება. არისტოკრატიის ელიტურობას ბიურგერთა დემოკრატიული განწყობები და მარტივი მოთხოვნები ცვლის. ამ თვალსაზრისით კი სახვითი ხელოვნების იდეალური ჟანრი გრავიურაა.

1520-იანი წლის გერმანიის იმედისმომცემი ფერწერული კულტურა სულ რაღაც ოციოდე წელიწადში, 1540 წლისთვის ჩაიკარგა გერმანული სამთავროების ფილისტერულ, ობივატელურ გარემოში. სულაც არაა გასაკვირი, რომ ეტიმოლოგიურად "კიჩი" სწორედ გერმანული სიტყვაა.



*მ. გრიუნევალდი - ჯვარცმა*

# ლუთერის ტრიუმფი




*ლუთერი და მისი მეუღლე კატერინა*

თავი რომ დავანებოთ გერმანული ნაციონალური გრძნობის გამოღვიძებას, ლუთერანული რეფორმის გამარჯვება ხელსაყრელმა პოლიტიკურმა პირობებმაც განაპირობა. კათოლიკური ეკლესიის სამხედრო მხარდაჭერა, უპირველეს ყოვლისა, რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის, კარლოს V-ის მოვალეობა იყო, მაგრამ ესპანელი წარმოშობის ეს მონარქი, ერთი მხრივ, საფრანგეთის მეფის, ფრანსუა I-ის წინააღმდეგ კონფლიქტში იყო ჩართული, მეორე მხრივ კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოსმალების გააქტიურებას ადევნებდა თვალს. ოსმალები, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ დაიპყრეს უნგრეთი, უკვე პირდაპირ ვენას ემუქრებოდნენ — იმპერიის დედაქალაქს. ამ ბრძოლაში კი კარლოსს ძალიან სჭირდებოდა გერმანელები, რის გამოც თავის თავს ვერ მისცემდა მათი დისკრიმინაციის უფლებას.

მაგრამ სამხედრო ძალადობის არარსებობა ბევრს ვერაფერს ხსნის და განმარტავს. გასაგებია, რომ რეფორმაცია სისხლში ვერ ჩაახშეს, მაგრამ ეს არ კმაროდა გამარჯვებისთვის. გაუგებარი რჩება, რატომ პოულობდნენ პროტესტანტები გერმანიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ასეთ მხურვალე მხარდაჭერას. მთავარი იდეოლოგი, მელანქტონი, როცა ტრიუმფალურ სვლას ადევნებდა თვალს, ვერ ფარავდა თავის სკეპტიციზმს: "ამ ჩვენს მიმდევრებს რელიგია სულ ფეხებზე ჰკიდიათ: მათ მხოლოდ ეპისკოპოსთა ძალაუფლების დამხობა და მათი სიმდიდრის დაპატრონება სწადიათ".

ამაში სიმართლის დიდი წილი იყო. განსაკუთრებით, თუ ამ თვალსაზრისს გერმანელ თავადებს მივუყენებთ. თავადთა პროტესტანტიზმზე მოქცევის ძირითადი ბერკეტი სწორედ ეს იყო. მათ ესიზმრებოდათ, როგორ აგროვებდნენ თავიანთ სალაროებში თავიანთ ქვეშევრდომთა შემოსავლის იმ მეათედს, რომელიც ოდესღაც რომისკენ მიფრინავდა. იცოდნენ, რომ ეპისკოპოსთა მხრიდან კონტროლის გაქრობა იმპერატორის შესუსტებასაც ნიშნავდა და, აქედან გამომდინარე, ფეოდალური სამთავროების ფარგლებში მათი აბსოლუტური ძალუფლების დამკვიდრებას. ლუთერანული სამღვდელოება უკვე ზენაციონალურ კათოლიკობას კი არ მიეკუთვნებოდა, არამედ ეროვნული სახელმწიფოს ქმნილება და მისი მორჩილი იყო.

სწორედ ამის გამო მოხდა, რომ გერმანელი მთავრები შეერთდნენ, ჩამოაყალიბეს ლიგა და ასე არა მარტო გამოხატეს თავიანთი სოლიდარობა რეფორმატორ სამღვდელოებასთან, არამედ რეფორმაციის პოლიტიკურ გამტარებლებადაც იქცნენ. ამგვარად, ლუთერანულმა უმცირესობამ კათოლიკე უმრავლესობასთან დაპირისპირებაში მნიშვნელოვანი მხადაჭერა მიიღო.

1529 წელს იმპერატორმა გამოსცა საოცარი ედიქტი: ლეგიტიმაცია ეძლეოდა ლუთერანულ წესს ყველა სამთავროში, სადაც ის უკვე გაბატონებული იყო, ოღონდაც კათოლიკეებისათვის არ დაეშალათ ღვთისმსახურება. ამის საწინააღმდეგოდ, ჯერ კათოლიკურ სამთავროებში აიკრძალა ლუთერანული წესი. ლიგაში შემავალი მთავრები მწვავე პროტესტით შეხვდნენ ამგვარ დისკრიმინაციას და ამის შემდეგ არა მარტო ლუთერანებს, არამედ კათოლიკური ეკლესიისგან გამოყოფილ ყველა აღმსარებლობაზე გავრცელდა ზოგადი სახელწოდება: **პროტესტანტები**.

როგორც კი ლიგამ მხარდამჭერთა უმრავლესობა უზრუნველყო, მაშინვე გამოაცხადა პრეტენზია საეკლესიო კრების მოწვევაზე. ეს ნიშნავდა, რომ საუბარი მხოლოდ გარკვეული წეს-ჩვეულების შემოღებაზე კი აღარ იყო, არამედ ახალი დამოუკიდებელი ქრისტიანული ეკლესია ყალიბდებოდა. ლუთერი აღიარებდა ერთგვარ საეკლესიო დემოკრატიას: ყოველი რელიგიური თემი გარკვეული აზრით დამოუკიდებელ ერთობას წარმოადგენდა. ამ პირობებში კი ძალიან დიდი იყო ახალი ეკლესიის სხვადსხვა სექტად დაშლის შესაძლებლობა.

ჯერ კიდევ ლუთერის ცხოვრებაში დაიწყო ნაირ-ნაირ ინტერპრეტაციათა წარმოშობა. მელანქტონი ამაოდ ცდილობდა მოძღვრების უნიფიცირებას. ეს ყოველივე კი კათოლიკეებს ნაყოფიერ ნიადაგს აძლევდა ნიშნისმომგები გამოსვლებისთვის. კათოლიკეთა მთავარი არგუმენტი შემდეგი იყო: ამგვარი ანარქია იმით დასრულდება, რომ რელიგიური ნიადაგიდან დისკუსია მალე პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში გადაინაცვლებს და საზოგადოებრივი ინსტიტუტების საბოლოო დაშლას გამოიწვევს.

ბოლოს და ბოლოს საქმეში ისევ მთავრები ჩაერივნენ და გამოაცხადეს, რომ ლუთერის მიერ თავდაპირველად ცალკეული ერთობებისათვის გადაცემული უფლებები, სინამდვილეში მათ, სამთავროთა მმართველებს ეკუთვნით. ამ დროიდან სწორედ მთავრები განსაზღვრავდნენ მათ სამთავროებში მისაღები რელიგიური წესის ფორმასა და შინაარსს, მელანქტონის მიერ შემოთავაზებული დირექტივების საფუძველზე. აქედან წამოვიდა მრავალ პროტესტანტულ ქვეყანაში არსებული ტრადიცია, როცა ქვეყნის საერო მთავრობის ხელმძღვანელი ერთდროულად ეკლესიის მეთაურიცაა.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ თვით გამოთქმა "სახელმწიფო რელიგია" პროტესტანტული წარმოშობისაა და როცა ჩვენში მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ითხოვენ, ამის მიზეზი ისტორიის არასაკმარისი ცოდნა და უცხო გავლენის ქვეშ ბრმად მოქცევაა.

მთავრები წესის ერთიანობაზე შეთანხმდნენ და პროტესტანტ ღვთისმსახურთა წინააღმდეგობა ძალით ჩაახშეს. მცირედი ყოყმანის შემდეგ ამ გადაწყვეტილებას თვით მარტინ ლუთერიც დათანხმდა და ახალ ეკლესიას სახელწოდებაც შეურჩია: ევანგელური.

ამის შემდეგ ახალი საფრთხე წარმოიშვა: შესაძლებელი იყო, რომ ეს ახალი სამღვდელოება, ასე მჭიდროდ დაკავშირებული საერო მთავრობასთან, ბოლოს და ბოლოს ბიუროკრატიის ფორმად გადაგვარებულიყო. ამ ბიუროკრატიაში შესვლას ალბათ მხოლოდ კასტური შერჩევა ან პოლიტიკური ფაქტორები განსაზღვრავდა. კათოლიკეები მოულოდნელად ელოდნენ ასეთ დასასრულს, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. იმის საწინააღმდეგოდ, რასაც მელანქტონი ამბობდა, პროტესტანტული რეფორმაციის ძირი- [illegible] ებს აღარ სურდათ ღვთისმსახურებაზე გაუგებარი ლათინური ენის მოსმენა, არ სურდათ გამორიცხულნი ყოფილიყვნენ ღვთის სადიდებელი მოქმედებისაგან. ისინი საეკლესიო ცხოვრებაში უფრო აქტიურ მონაწილეობას ესწრაფვოდნენ.

ლუთერანი სამღვდელოება გაგებით მოეკიდა ხალხის ამ სურვილს და მცირე გამონაკლისის გარდა პატიოსნებისა და უანგარობის მაგალითადაც იქცა. კათოლიკე მღვდლებთან შედარებით ისინი ნაკლებად განათლებულნი იყვნენ, ჰუმანისტური კულტურა საერთოდ არ გააჩნდათ, თეოლოგიისაც ცოტა რამ გაეგებოდათ. მაგრამ კარგად იცოდნენ საღვთო წერილი და არც თავმდაბლობა და მოკრძალება აკლდათ.

რა თქმა უნდა ევანგელისტური ეკლესიები იტალიის ტაძრების ბრწყინვალე არქიტექტურას ვერ გაუწევდნენ მეტოქეობას: მათ გარეგან სახეს ესთეტიკური კანონები კი არა, ღვთისმსახურების ასკეტური და მომჭირნე იდეალები განსაზღვრავდა. კათოლიკური წესიდან ევანგელისტებმა ბევრი რამ აიღეს: ღვთისმსახურების სადღეღამისო ციკლი, ძირითადი წესების სტრუქტურა, საკურთხეველი, ნაწილობრივად შესამოსელი, ჯვარი და სანთლები. მაგრამ წირვის აღსრულებისას საერთო საღვთისმსახურო აქცენტმა უსისხლო მსხვერპლის შეწირვიდან ღვთის სიტყვის ქადაგებაზე გადაინაცვლა. ამიტომაც ევანგელისტური ტაძრის ძირითადი ფორმა გალერეაა: ამგვარად უკეთესადაა უზრუნველყოფილი უმრავლესობის ერთიანი მონაწილეობით.

გალერეები გათვალისწინებული იყო საგუნდო გალობისათვისაც. გალობაში განსაკუთრებული მომღერლები კი არა, მთელი საეკლესიო თემი მონაწილეობდა. ერთი იეზუიტი წერდა: "პროტესტანტებმა უფრო მეტი სული მონადირეს გალობით, ვიდრე ქადაგებით".

ამგვარად, თუ იტალიური კათოლიციზმი თავის გარეგან გამოხატულებას ფერწერით, ქანდაკებითა და არქიტექტურით ახდენდა, გერმანული პროტესტანტიზმი თავის მრწამსსა და სულიერებას მუსიკის საშუალებით გამოხატავდა. XVIII საუკუნისთვის ამ გამოხატულებამ თავის პიკს მიაღწია იოჰან სებასტიან ბახის შემოქმედებაში. მანამდე კი თვით ლუთერი გარდაიქმნა კომპოზიტორად და თავისი ახალი ეკლესიის გასამარჯვებლად მრავალი მიმზიდველი ჰიმნი და საგალობელი შექმნა.

რა ადამიანი იყო ბოლოს და ბოლოს ქრისტიანული რეფორმაციის ფუძემდებელი?

ბოლო დრომდე კათოლიკე მკვლევრები ლუთერს წარმოადგენდნენ როგორც სხვადასხვა ფობიითა და ღამეული კოშმარებით შეპყრობილ ფსიქოპათს. ჯონ ოსბორნი, მაგალითად, აღწერს ლუთერს როგორც "მამის კომპლექსით" დაავადებულ დეპრესიულ მანიაკს, რომლის სულიერ მდგომარეობას ამძიმებდა მუდმივი ყაბზობა და ბუასილი. ლუთერის პირად წერილებში მრავლად მოიპოვება ამის საფუძველი. ერთხელ, თირკმლების განსაკუთრებით მწვავე სპაზმით წელში მოხრილმა ლუთერმა თურმე ულტიმატუმიც კი გამოუცხადა ღმერთს: "უფალო, თუ ეს შეტევა კიდევ გაგრძელდება, შენს ყოვლისშემძლეობას აღარ ვირწმუნებ!".

მაგრამ ბოლო დროს ყველაზე ჭკვიანმა კათოლიკეებმა შეწყვიტეს ეს სულელური მცდელობა, რომელსაც სურდა ლუთერის დაყვანა პათოლოგიურ შემთხვევამდე. ახლა უკვე იეზუიტი ისტორიკოსი კორტნი მიურეი წერს: "ლუთერი გენიოსი იყო, თუმც კი რიტორიკა გადმოსდიოდა, მაინც სავსე იყო სულიერი ნათებით".

ლუკას კრანახის მიერ შესრულებულ ორ პორტრეტზე ლუთერი გამოსახულია როგორც საკმაოდ ჩასუქებული და ძლიერი აღნაგობის მქონე ოდნავ უხეში გარეგნობის ადამიანი. მიუხედავად მტანჯველი ავადმყოფობისა, ეს კაცი აღსავსე იყო ცხოვრების სიხარულით. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სტანჯავდა ნაყროვანებისა და გემოთმოყვარეობის ცოდვები: კარგად და გემრიელად ჭამა უყვარდა, რისთვისაც ხშირად სამდღიან მძიმე მარხვასაც უნიშნავდა საკუთარ თავს და შოლტსაც იტყლაშუნებდა ზურგზე.

არც სმაზე ამბობდა უარს. მელანქტონი იგონებს, საათების განმავლობაში როგორ ამხელდა ლუთერი გერმანელების ეროვნულ მიდრეკილებას ლუდისადმი და თან კათხას კათხაზე ცლიდა. როდესაც არათანამიმდევრულობაში დასდეს ბრალი, ლუთერმა ამოიოხრა: "თუ ღმერთმა კათოლიკე ბერად ოცწლიანი ყოფნის ცოდვა შემინდო, მის სადიდებლად შესმულ ორიოდე ჭიქას ნამდვილად მაპატიებს".

1525 წელს ლუთერმა ცოლი შეირთო. მელანქტონმა გაკვირვება გამოთქვა მისი ამ ნაბიჯის გამო. ლუთერმა მიუგო: "ეს მამაჩემის საამებლად და ეშმაკის ცუდ გუნებაზე დასაყენებლად გავაკეთე". მაგრამ ასე არ ყოფილა. ლუთერს ყოველთვის მიაჩნდა, რომ სექსი ქორწინების დროსაც მძიმე ცოდვაა. ლუთერი ამბობდა: "ღმერთს რომ ჩემთვის ეკითხა, ვეტყოდი, რომ ადამიანების გამრავლება ყოველი მათგანის ხელახალი შექმნით იქნებოდა უკეთესი". და მაინც, მეუღლესთან ხორციელი კავშირი მაინც ნაკლები ცოდვა იყო.

თვითონ მუდმივი უმანკოება განიზრახა, მაგრამ ერთხელ რამდენიმე ქალზე ზრუნვამ მოუწია. ამ ქალებმა ევანგელისტურ მრწამსზე მოქცევა განიზრახეს და კათოლიკური მონასტერი მიატოვეს. საჭირო იყო ამ ცხოვრებაში მათი მოწყობა. ლუთერმა ყველას უპოვა ქმარი ერთის გარდა. ეს კატერინა ფონ ბორა იყო. ქალმა თქვა, რომ მხოლოდ ვინმე ამსდორფს გაჰყვებოდა ცოლად, ან თვით დოქტორ ლუთერს. ლუთერმა ამსდორფს მიმართა და მისგან უარი მიიღო. მაშინ ორმოცდაორი წლის ასაკში თვითონ გადაწყვიტა, ეცადა ბედი. კატერინა ოცდაექვსი წლის საკმაოდ უშნო ქალი იყო, მაგრამ შესანიშნავი ცოლი გამოდგა.

საქსონიის ჰერცოგმა ახალშექმნილ ოჯახს ის მონასტერი აჩუქა, სადაც მარტინი ბერად იყო. ლუთერმა მაშინვე დაასახლა იქ ექვსი თავისი შვილი და თორმეტიოდე ძმისწული, რომელთა აღზრდა და განათლება თვითონ ითავა. მართლია, კატერინას ეს მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა, მაგრამ ბედს შეურიგდა, რადგან მის ქმარს ყველაფერს ერჩივნა ბავშვების ხმაურიან გარემოცვაში ყოფნა. ლუთერის ხასიათის ეს მხარეც მშვენივრად გვიჩვენებს, რამდენად ცდებიან ისინი, ვინც მას ეშმაკით შეპყრობილ მარტოსულ მანიაკად წარმოადგენს.

მის სახლში გაზრდილი შვილები და ნათესავები ნელ-ნელა იწერდნენ გამზრდელის სიტყვებს. ასე შეიქმნა "სუფრული საუბრების" გვარიანად მოზრდილი ტომი. აქ ვხედავთ ლუთერს როგორც მოსიყვარულე და მზრუნველ მამას. როდესაც მისი საყვარელი უმცროსი გოგონა ავად გახდა, ლუთერი ექვსი დღის განმავლობაში პირქვე იყო განრთხმული და ლოცულობდა. მერე ჰკითხა პატარას: "ლენი, ჩემთან დარჩენა გინდა, თუ შენს სხვა, ზეციურ მამასთან გირჩევნია წასვლა?". გოგონამ უპასუხა: "თუ მეძახის, უნდა წავიდე". ამის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე იხსენებდა ლუთერი თავის პატარა ლენის და ამბობდა: "რა უცნაურია, იცოდე, რომ ის ახლა ყველა ჩვენგანზე ცოცხალი და ბედნიერია და მაინც იტანჯებოდე!".

ცოლთან ურთიერთობას ერთადერთი რამ აძნელებდა: ლუთერს სულ არ გააჩნდა პრაქტიკული ჭკუა, ვერ უვლიდა ფულს და რასაც იშოვიდა, მაშინვე ფლანგავდა. მაგალითად, მისმა წიგნებმა გაამდიდრეს გამომცემლები, ლუთერი კი საავტორო უფლებებზე უარს აცხადებდა. ბოლომდე თავმდაბალი დარჩა და საკუთარი თხზულებების კრებულის გამოცემა აკრძალა, რადგან ეს ბიბლიის კითხვისაგან მოაცდენდა მორწმუნეებს. მისმა იუმორმა ბოლომდე შეინარჩუნა გლეხური უშუალობა: "ჩემი მტრები მუდამ მითვალთვალებენ და თუ ვიტენბერგში გავაკუე, ცხვირზე ხელს რომში იჭერენ".

1546 წლის თებერვალში ლუთერს კუჭის წყლული გაურთულდა. აღსასრული იგრძნო და შინ მეგობრები მიიპატიჟა. ერთ-ერთმა მათგანმა ჰკითხა: "მამაო, ხარ თუ არა ერთგული ქრისტესი და იმ მოძღვრებისა, რომელიც მისი სახელით იქადაგე?". "დიახ" — მიუგო ლუთერმა და მაშინვე განუტევა სული.




*მელანქტონი*

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# ნაკლებად შიშველი, მაგრამ ძალიან ქალური

### მილანის მოდის კვირეული ჯორჯო არმანიმ გახსნა






ალესანდრო დელაკუასა და ბლუმარინის მოდელები

REUTERS

მოდის თაყვანისმცემლები მილანის კვირეულს სულმოუთქმელად ელოდნენ. ცხადია, ყველას თავისი ფავორიტი ჰყავს. ასე, ტომ ფორდის მოყვარულნი ამ ამერიკელი დიზაინერის მიერ "გუჩისთვის" შექმნილ უკანასკნელ კოლექციას ანიჭებენ უპირატესობას. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ნაჩვენებ ნიმუშებს რეკორდული ფასები ექნება და "საკულტოს" სტატუსსაც კი მოიპოვებს. ჩვენების ბოლოს ფორდი წვეულებას მართავს, რაც ცნობისმოყვარეებისთვის არანაკლებ მიმზიდველი ამბავი იქნება.

საკუთარ ფირმაში ტრიუმფალური დაბრუნების შემდეგ შექმნილ მეორე კოლექციას ჟილ სანდერიც მილანში აჩვენებს. არანაკლებ ინტერესს იწვევს მიუჩია პრადას შემოქმედებაც, რომელმაც გასულ წელს "ფიტნეს-მოდაში" სცადა ბედი.

წლევანდელ მილანის მოდის კვირეულს ახალი ვარსკვლავი ჰყავს: ის მაღალია, ტანადი, მუქი ქერა თმით დამშვენებული და, რაც მთავარია, პრესლის კლანის წარმომადგენელია. ამ შესანიშნავი ატრიბუტების წყალობით 14 წლის დანიელე რილი კიოფი "დოლჩე და გაბანას" მოდელი გახდა.

ვინაიდან დედამისი, ლაიზა მარია პრესლი, იტალიელი დიზაინერების დუეტის დიდი მეგობარია, გოგონას მილანის მოდის კვირეულის დროსაც ექნება პოდიუმზე გავლა-გამოვლის საშუალება. ის დოლჩე და გაბანას ორივე პრეზენტაციაში მიიღებს მონაწილეობას – ოთხშაბათს და კვირას. "ის დედასავით ლამაზია და ბაბუამისის შარმი აქვს. ის ნამდვილად ვარსკვლავი იქნება," თვლიან მოდელიერები.

კვირეული ჯორჯო არმანიმ გახსნა. მილანში გამართულ პრეზენტაციაზე მოდის დიდოსტატმა შეკრებილებს აუწყა, რომ მისი ზამთრის კოლექცია "ოდნავ ექსცენტრულია". მართლაც, კოლექცია მაინცდამაინც ექსცენტრული არ აღმოჩნდა. თვალშისაცემი მხოლოდ აბრეშუმისა და ხავერდის ელეგანტური კაბების უჩვეულოდ ღრმა ჭრილი იყო: ნაწილობრივ – მუხლამდე, ნაწილობრივ – თეძომდე.

სამაგიეროდ, ქსოვილების არჩევანი არმანისთვის ტიპურია. მისი ქალები ფუფუნების საგნებს არც ამჯერად იკლებენ და ზამთრის ცივ დღეებში ხავერდსა და ბეწვეულში არიან გახვეული. ფერებიც "არმანულია" – მისთვის დამახასიათებელი შავი სამოსი ნაზი იისფრითა და ყინულივით ცივი ლურჯითაა "გაცოცხლებული". ეს ტენდენცია განსაკუთრებით საღამოს კაბებში იგრძნობა.

ეს საღამოს კაბები ხაზგასმით მდიდრულადაა მორთული: კლასიკური ხავერდისა თუ აბრეშუმის ქსოვილი დიზაინერმა ბრჭყვიალა ბროლით გაწყობილი ყვავილოვანი ორნამენტით დაფარა. შავი ხავერდი და მკრთალი ვარდისფერი ტიული, მართლაც, ჯადოსნურ კომბინაციას ქმნის.

ჭორი დაირხა, რომ ღილების მწკრივით დამშვენებული კაბა, რომელიც არა მარტო ყველა ვარსკვლავის მშვენიერ მხრებსა და დეკოლტეს, არამედ რიგით მოკვდავ მდედრსაც "დედოფლის დარ დიდებას" შეჰმატებდა, შეიძლება "ოსკარის" გადაცემის ცერემონიაზეც ვიხილოთ.

გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ მოდელიორი ჯორჯო არმანი და მისი დუბაიში დაფუძნებული პარტნიორი ორგანიზაცია, Emaar Properties PJSC, შვიდი წლის შემდეგ მსოფლიოს ათ უმაღლესი კლასის სასტუმროს და ოთხ დასასვენებელ კომპლექსს შესთავაზებენ. მშენებლობები ლონდონში, პარიზში, ნიუ იორკში, ტოკიოში, შანხაიში, მილანსა და დუბაიშია დაგეგმილი. არმანი მოჰყვა, რომ უკანასკნელ დროს ის ავეჯისა და ქსოვილების ესკიზებსაც ქმნის: "მრავალი წლის განმავლობაში ვორჭოფობდით, მაგრამ ახლა გადავწყვიტეთ, რომ დიზაინისა და სტილის არმანის ფილოსოფიას სასტუმროებშიც დავნერგავთ".

ეს პატივმოყვრული გეგმები არმანის პარტნიორების დახმარებით განხორციელდება. ინვესტიცია არცთუ მოკრძალებულია – საუბარია ერთ მილიარდ ამერიკულ დოლარზე.

Emaar პროექტთან დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებს იღებს საკუთარ თავზე, დიზაინისთვის კი არმანია პასუხისმგებელი. პარტნიორები ფულის გაკეთებას არა მარტო სასტუმროების ქსელით და არმანისეული ავეჯის გაყიდვით აპირებენ, მათ კოსმეტიკური საშუალებების გავრცელებაც აქვთ გადაწყვეტილი, როგორიც, ვთქვათ, ჯორჯო არმანის საპონი იქნება.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

25 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "პორტო"-"მანჩესტერი" **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "თორმეტი სკამი" **11.15** დოკ. სერიალი "ცეკვის ბრწყინვალება" **11.50** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **14.40** თქვენი უფლებები **15.15** მხ. ფილმი "სანუკვარი ოცნებები" **16.50** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.05** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** "არტე" წარმოგიდგენთ **21.50** სერიალი "ქალბატონები ზღვისპირეთიდან" **23.45** მხ. ფილმი "ძვირფასი ტვირთი"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "დოქტორ დულიტლი-2" მთ.რ-ში ედი მერფი, კრისტენ უილსონი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "დრუიდების ძმობა" მთ.რ-ში ელზა კიკოინი, ენდრე უილიამსი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00** მხ. ფილმი **13.25** მხ. ფილმი **15.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **15.10** მხ. ფილმი **18.30** მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "მტირალი მკვლელი" (მარკ დაკასკოსი) **23.00** მხ. ფილმი "გზაჯვარედინი" (რიჩარდ გირი)

### მეორე არხი

**19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი **19.35** კინოსეანსი "ლიფტის მარცხნივ" **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "ჯურღაის ფარი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "როგორ გახდე პრინცესა" **14.00** მხ. ფილმი "გაიცანით ჯო ბლექი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "სახის გარეშე" **00.30** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** მხ. ფილმი "ბეთჰოვენი" **12.15** სილუეტი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **13.30** ბალეტი **14.50, 18.30, 21.50, 23.30, 01.05** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "სამი ფერი - თეთრი" **17.30** მულტფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.25** მხ. ფილმი "ბეთჰოვენი 2" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "სამი ფერი - წითელი"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 17.50, 19.40, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "მოკალი ბილი". **14.00** მულტფილმი "კონკია" **14.50** ევროპის სტადიონებზე **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "ინდიგოს მიწა" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" **17.00** მხ. სერიალი "ჯონ-როსი" მე-7ს. **18.00** მულტფილმი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ინდიგოს მიწა" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** ქართ. ფილმი **01.00** მხ. ფილმი "ვარსკვლავთა ომები".

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 00.45** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** დოკ. სერიალი "სტილის ამქრები" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სპ. პროგრამა "ასი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** ეროვ. საკალათ. ასოციაცია **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** არტ-ბულვარი **22.50** მხ. ფილმი "მზე შემოდგომისა"

### არხი

**08.00** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** ბოევიკი "ვინა ვარ" **11.30** მუსიკა **12.20** "პოზიცია" **13.40** მუსიკა **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხატვრული ფილმი "ვასაბი" **15.35** მუსიკა **16.20** მულტფილმი "ზულაზული" **16.40** თრილერი "მერია" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.20** კომედია "მარტოხელა ვარსკლავის შტატი" **21.45, 05.55** მუსიკა **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მელოდრამა "შეყვარებული შექსპირი" **03.00** დოკუმენტური ფილმი **04.00** თრილერი "ინსტინქტი"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **09.50** Выборы-2004 **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 11.20 Сериал "Клон" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.20 Худ.фильм "Сибириада". Фильм 2 14.40** "Сканер" **15.10** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Просто смех!" **19.50** "Выборы-2004" **20.00 Сериал "Клон" 20.50 Худ.фильм "Моя граница" 22.00, 00.30** "Время" **22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 23.40** "Тайны века". "Женщина "красных": А.Коллонтай" **01.00** "Теория невероятности". "Лечение животными" **01.30** "Брачные игры животных", часть 6. "Загадка пола" **02.00** "Идолы". Карел Готт **02.30 Комедия "Операция "Нижняя юбка" 04.40** "Что? Где? Когда?"

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "Любовь слепа" 10.50** "Короткое замыкание" **11.50, 14.50, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Вокзал" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Кобра. Антитеррор". "Таллинский экспресс" 19.00 Сериал "Небо в горошек" 19.55 Сериал "Тайны следствия-2. Роль жертвы" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "Любовь слепа" 23.00 Сериал "Вокзал" 00.00** Вести+ **00.20 Сериал "Идиот" 01.40 Детектив "Алмазы Шаха" 04.05 Дорожный патруль 04.20** Агентство одиноких сердец **04.45 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.55** "Генералы XX века" **11.00** "Сегодня утром" **11.25** "Кулинарный поединок" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "Все наоборот" 15.10** "Время есть" **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.40 Сериал "На вираже", 2 с. 21.50 Худ.фильм "Серебряная свадьба", 1 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45 Сериал "Без следа: Синее небо" 00.50 Сериал "На вираже"**

# სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

MBA
MSc

მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950 სანქტ-პეტერბურგ 16.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მოსკოვის განყოფილება
ტელ: 253045, 230284 მობ. 893-352067
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk


# ჰოლივუდის სიძულვილი

80-იან წლებში ის ჰოლივუდის ვარსკვლავი იყო: Lost Boys-სა და Flatliners-ის გმირს დიდ მომავალს უქადდნენ. დღეს კიფერ საზერლენდი კინოინდუსტრიას ძალიან კრიტიკულად უდგება.

37 წლის მსახიობმა განაცხადა: "მე ჰოლივუდი მძულს. მმართველებს იქ სრული და შეუზღუდავი ძალაუფლება აქვთ, ისინი მანამ გიყენებენ, სანამ რამედ ვარგიხარ, თან არად გაგდებენ და ისე გექცევიან, თითქოს ადამიანი კი არა, ნაგავი იყო". ამიტომ საზერლენდი ლოს ანჯელესიდან კანადაში, ტორონტოში გადასახლდა.

კიფერი დარწმუნებულია, რომ ჯულია რობერტსთან ურთიერთობის გაფუჭებაში კინოსამყაროს დიდი წვლილი მიუძღვის: "ჩვენ ორი შესანიშნავი წელი გავატარეთ ერთად. მაგრამ მედიის მიერ გავრცელებულმა ჭორებმა და იმ ფაქტმა, რომ ამას ვერ შევეწინააღმდეგეთ, ყველაფერი დაანგრია".

ამჟამად საზერლენდი სატელევიზიო სერიალში "24" ტერორისტების წინააღმდეგ მებრძოლი აგენტის, ჯეკ ბაუერის როლს ასრულებს. ახალ სერიაში ის ლოს ანჯელესს ატომური ბომბისგან გადაარჩენს.

ის, რომ კინოსამყაროდან ტელევიზიაში მოხვედრა "დაქვეითებას" ნიშნავს, მსახიობს ნაკლებად აღელვებს: "ამაზე არც მიფიქრია. ლოს ანჯელესში გადაღებები იმიტომ მაწყობს, რომ ჩემს ქალიშვილ სარასთან ერთად მეტი დროის გატარება შემიძლია".



კიფერ საზერლენდი

# გლასტონბერი გადამყიდველებს ებრძვის

გლასტონბერის ფესტივალის ისტორიაში პირველად აკრძალეს ბილეთების საკრედიტო ბარათებით გაყიდვა. ეს სიახლე, რომელიც დიდი უსიამოვნებაა ბევრისთვის, იმ მასშტაბური კომპანიის ნაწილია, რითაც ფესტივალის დირექტორი მაიკლ ივისი აპირებს ბრძოლა გამოუცხადოს ბილეთებით სპეკულაციას.

წინა წლებში ბილეთებით გადამყიდველების მომრავლების გამო იმდენად გაიზარდა ბილეთების ღირებულება, რომ მუსიკის უამრავი თაყვანისმცემელი იძულებული იყო უარი ეთქვა ფესტივალზე. წელს მყიდველს არ შეეძლება ორზე მეტი ბილეთის შეძენა – გამონაკლისი დაშვებული იქნება მშობლებისა და არასრულწლოვანი ბავშვების თანმხლებთათვის. 112 ფუნტის ღირებულების ბილეთების შეკვეთა ამჯერად დაშვებული იქნება მხოლოდ ტელეფონითა და ინტერნეტით.



გლასტონბერის სტუმრები


# სწავლა დიდ ბრიტანეთში

(ELL Ltd)

(IELTS, TOEFEL, FCE, CAE)
2-12 თვიანი კურსები.

Work Experience/Internship

A-Level 10-11 კლასელთათვის და სკოლადამთავრებულთათვის 1-დან 2 წლამდე.
Foundation სკოლადამთავრებულთათვის 1 წლით.
MBA 1 წლიდან 2 წლამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com


# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
MS Word.
MS Excel.
Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ჭ. ჭონქაძის № 72
ტელ: 29-48-61



# ჯეოსელში სულ-პრიზებია!

ჯეოსელის საავანსო და საკრედიტო სისტემის აბონენტებო!

1 თებერვლიდან თქვენ მონაწილეობთ ჯეოსელის სულ-პრიზების აქციაში და ღებულობთ:

- 2 უფასო წუთს თუ თქვენი ტელეფონი ერთი თვის განმავლობაში ორმხრივადაა ჩართული
- 4 უფასო წუთს ყოველ დახარჯულ 50 ლარზე
- და კიდევ თითო უფასო წუთს ჯეოსელის აბონენტად ყოფნის თითოეული წლისათვის.

ისარგებლეთ დაგროვილი უფასო სალაპარაკო დროით.

ჯეოსელის სულ-პრიზების წამზომი ჩართულია.



საინფორმაციო სამსახური
928 36 822 770177
www.geocell.ge

ჯეოსელი უფლებას იტოვებს შეცვალოს აქციის მოქმედების ვადა და პირობები.